




ISSN 0132—1307

# საბჭოთა სელოვნება

1981

7





კმირთა დიდების მემორიალი გამარჯვების პარკში „მადლიერი ღელა“. შოქანდაეე გ. ონიუტრი.


„საბოთა საქართველოს ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში, თეატრში, კინოში, არქიტექტურაში არის უმანისუნაპირი მნიშვნელობა, რომელზემაც გაამდიდრა მრავალეროვნული საბოთა კულტურა“.

ლ. ი. ბრემწმწმ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბოს საჯირო სდოგაუა წარმომქმული სიბუქიბან.

# საბოთა საქართველოს გუიბი

დიდბული, დრმად შოამბექდავი იყო საქაროველოში საბოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქაროველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთვის აღსანიშნავი ზეიმი. ეს გახლდათ ქეშმარ, ჭად სახალხო დღესასწაული, რომელიც კართველ ხალხთან ერთად იზიიმეს ჩვენი დიდი, მრავალეროვანი სამშობლოს მოძმე ხალხებმა. საიუბილეო დღესასწაულს გან-



დეკორატიული სტელა კახეთის გზატკეცილზე, მხატვარი ზ. წერეთელი



საკუთრებული მნიშვნელობა შესძინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ანხ. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სტუმრობამ, მისმა ღრმად შინაარსიანმა სიტყვამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო ახლომაზე. ამ გამოვლავში, რომელიც გამსჭვალული იყო საბჭოთა ქვეყნის დღევანდლობასა და მომავალზე ზრუნვით, მიღწეულის, მოპოვებულისა და შემდგომი ამოცანების ღრმა ანალიზი დაუკავშირდა არა მხოლოდ მშვიდობიან აღმშენებლობასა და პროგრესს, არამედ სადღესო საერთაშორისო ვითარებასაც, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების სასიცოცხლო პრობლემებს. თავის სიტყვაში ლ. ი. ბრეჟნევემა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა საქართველოს მშრომელთა შრომით და შემოქმედებით საქმიანობას, იმედი გამოთქვა, რომ ის აღმავლობა, რაც

დღესდღეობით ჩვენს რესპუბლიკაში სუფევს, კვლავაც ოვალსაჩინო წინსვლის სანინდარი იქნება.


თავისი სიტყვის დასასრულს მან თქვა:

„ღირფასო ამხანაგებო! მშენიერი დღესასწაული გაქვთ და თქვენს იუბილეს ღირსეულადაც აღნიშნავთ. თქვენი საიუბილეო ზეიმიობა, შეიძლება ითქვას, გამსჭვალულია ხალხთა მეგობრობის, კარგი შრომითი აღმაქვლობის სულისკვეთებით, ნაღვანისათვის სიამაყით და დიდი სამერძისო გეგმებით. და ეს ძალიან კარგია. წინ ხომ ყველას დიდი, დაძაბული შრომა მოგველის“.


საბჭოთა საქართველოს სახელოვანი აღმშენებლობითი გზა გააშუქა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. ამ მოხსენებაში, ასევე, არა მარტო შეჯამდა და შეფასდა განვლილი, არამედ დისახა მომავალი განვითარების პროგრამა. „ჩვენ ვიმოქმედებთ კიდევ უფრო გაბე-

დღულად, ვიმუშაებთ კიდევ უფრო მუყაითად და კვლავაც გავზრდით საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტს. საბჭოთა დამიანებს შეუძლიათ დარწმუნებულ იყვნენ: ჩვენი რესპუბლიკა შეეცდება კიდევ ბევრჯერ გაასაროს ქვეყანა ახალი შრომითი გამარჯვებებით!" — აღნიშნა მან.

ჩვენი რესპუბლიკის ამ წარმატაც საიუბილეო ზეიმს წინ უძღოდა დიდი სამზადისი, რომელშიც, სოფლები-სა და ქალაქების მშრომელებთან ერთად, განსაკუთრებული აქტიურობითა და შთაგონებით იყვნენ ჩამულნი ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლები. მათი შემოქმედებითი შრომის ნაყოფმა, რომელიც სწორედ დღესასწაულის დღეებში იხილა ხალხმა — ზეიმის მონაწილე სტუმრებმა თუ მასპინძლებმა, — აღამაღლა, საოცრად გააღამაზა საიუბილეო დღეები, ლიტერატურის, ხელოვნების, არქიტექტურის ახალმა ქმნილებებმა კვლავაც გაამდიდრა ეროვნულ მონაპოვართა საგანძური. ჩვენს დედაქალაქს, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებს შეემატა შთამბეჭდავი ძეგლები, მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებშიც განდიდებულია სახელოვანი რევოლუციური წარსული და დიდი სამამულო ომის გმირთა ხსოვნა, სახვით ენაზე ხორცშესხმულია დღევანდლობის უდიდესი მიღწევანი. რესპუბლიკის სადღესასწაულო თარიღისთვის შეიქმნა ახალი კინოსურათები, სპექტაკლები, მას მიეძღვნა სამხატვრო გამოდენები, მუსიკალური პროგრამები...  
საიუბილეო ზეიმობა საქართველოში გასული ათწლეულების მანძილზე მოპოვებულის საამაყო შეჯამებად და შესანიშნავი შემოქმედებითი სიახლეებით აღმრულ დიდ სიხარულად იქცა.



გ. მაისურაძე  
შებენიანი მცირეფიგურების  
რ. კეპუშაძე  
როველი  
რ. სტურუა  
ენგურაქსი



იოსებ ნინოშვილი



მუშნი ლაშვილი



გურამ ფანგიძე

## საქართველოს კომპარტიის ზენსრალური კომისიისა და შოთა რუსთაველის სახელობის 1981 წლის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წარდგინება შოთა რუსთაველის სახელობის 1981 წლის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ და ადგინეს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსე-

ბული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება, რომ შოთა რუსთაველის სახელობის 1981 წლის პრემიები მიენიჭოთ:

### ლიტერატურის დარგში


ნინოშვილი იოსებ ელიოზის ძეს (სიკვდილის შემდეგ) — 1978-1980 წლებში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ლექსებისათვის.

ლაშვილის მუშნი ტაის ძეს — აფხაზურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისათვის.


ფანგიძეს გურამ ივანეს ძეს — რომანისათვის „აქტიური შპის წელიწადი“.

### მუსიკის დარგში

ცინცაძეს სულხან თვედორეს ძეს — IX კვარტეტისა და თორმეტი სავარტეტო მინიატურისათვის.




რობერტ სტურპა




გია ყაშვილი




მირიან სველიძე



ლუბან ცინცაძე



გივი თოიაძე



რევაზ თავტავაძელი

## და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ

### სახვითი ხელოვნების დარგში

თოიძეს გრიგოლ (გივი) ვახტანგის ძეს — ფერწერული პანოსათვის ბიჭვინთის დ. გულუას სახელობის ლიტერატურთა სახლის კონფერენცდარბაზში.

### კინოსა და ტელევიზიის დარგში

თავტავაძელს რევაზ შალვას ძეს — დოკუმენტური კინოდოკუმენტისათვის „ქართველები იტალიაში“ („სკვალი ნათელი“ და „აღლური ვარსკვლავი“).

### თეატრალური ხელოვნების დარგში

სტურუას რობერტ რობერტის ძეს — დამდგმელ რეჟისორს.

ჯანიელს გია ალექსანდრეს ძეს — კომპოზიტორს, შველიძეს მირიან პავლეს ძეს — დამდგმელ მხატვარს.

ჩხიკავას რამაზ გრიგოლის ძეს — მთავარი როლის შემსრულებელს — თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრში დადგმული სპექტაკლისათვის „რიჩარდ III“.


### არჩმამტყრის დარგში

უავლაშვილს შოთა დიმიტრის ძეს — ქალაქ თბილისის ბარათაშვილის ქუჩის ისტორიულ განაშენიანების რეკონსტრუქციარეგენერაციისათვის და კოლმეურნეობის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელის არქიტექტურისათვის.


### საბავშვო და სამედიცინო ლიბრატურისა და ხელოვნების დარგში

დავითაშვილს მარიამ (მერი) შალვას ასულს — საბავშვო ოპერისათვის „ნაცარქექია“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **წ. შავერდანიძე**  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **წ. პაბრიძე**



რამაზ ჩხიკავაძე



შოთა უავლაშვილი



მერი დავითაშვილი



ზურაბ ნიჟარაძის სახელი დღეს ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენს ქვეყანაში. ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამ საინტერესო მხატვრის შემოქმედება მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს თანამედროვე ქართული ფერწერის განვითარებაში. მკურებელმა შეიყვარა მისი გამომსახველი პორტრეტები და ეანრულ-თემატურად მრავალფეროვანი კომპოზიციები.

თამაში ფერადოვანი შეხამებებით შესრულებული ტილოები, თანამედროვეთა პორტრეტები, მსუბუქი პაროდული სცენები... და იქნება ეს გამოგონილი, თუ რეალური ნატურა, ჩვენს წინაშე იშლება ერთიანი დიდი სამყარო, მხატვრის მიერ დანახული და ნაგრძნობი, ამ სამყაროს ახალი სიცოცხლე, გადმოცემული ამ რთული და საინტერესო შემოქმედის მიერ.

ნიჟარაძის ხელოვნების თვალის გადავლენა კი ცხადივით წარმოგვიდგენს მუდმივ ძიებებში მყოფ შემოქმედს, რომელიც არასოდეს კმაყოფილდება მიღწეულით, სხვადსხვა, ზოგჯერ საწინააღმდეგო გზებზე ცდის თავის ძალებს. ამასთან, მხატვრის მოღვაწეობას ახასიათებს ინტერესების ფართო სპექტრი. შესაძლოა, მისი ნამუშევრები აზრთა სხვადასხვაობასაც იწვევდეს, მაგრამ უდავოა ერთი რამ: ზურაბ ნიჟარაძე ფაქიზი, ღრმა და დახვეწილი ხელოვანია, რომელსაც აქვს მაღალი მხატვრული და პროფესიული კულტურა, გამოირჩევა თავისებური და საინტერესო აზროვნებით.

„მხატვრის სახლში“ გახსნილ ზურაბ ნიჟარაძის ნამუშევართა გამოფენა, პირველი რიგში, ფერმწერის გამოფენას წარმოადგენდა. ექსპოზიციაზე უარობდა ფართო დიპაზონის საღებავით — ზეთით შესრულებული ტილოები. მაგრამ მხატვარი მუშაობს სხვა მასალებითაც — პასტელით, ტემპერით, გუაშით, სანგინით, სოუსით, ფანქრით, ნახშირით, შერეული ტექნიკით, მაგრამ რითაც არ უნდა იყოს შესრულებული ნამუშევარი, იგი ფერმწერის ხედვითაა აღბეჭდილი და მთლიანად ექსპოზიციაზე ფერადოვანი და ცხოველხატულია.

# ზურაბ ნიჟარაძე

## ლიკა მამალაძე

ზურაბ ნიჟარაძე დაიბადა თბილისში 1928 წელს, ბავშვობის წლები ბათუმში გაატარა, სადაც მუშაობდა მისი მამა, ინჟინერი არჩილ ნიჟარაძე. 1941 წელს ოჯახი კვლავ გადმოიძის საცხოვრებლად თბილისში. აქ ზურაბი სამხატვრო სასწავლებელს ამთავრებს და 1948 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიაში შედის.

სწავლის პერიოდში შესრულებული მისი პატარა ტილოები მტკვრელებზე იმაზე, რომ ავტორი უკვე ფლობს შესრულების ტექნიკას. იქნება ეს ნატურა, თუ პეიზაჟი. იგი ისახავს კონკრეტულ მხატვრულ ამოცანას და ცდილობს შესაბამისი შემოქმედებით პრინციპების შერჩევას.

სამხატვრო აკადემიაში ზურაბ ნიყარაძე თავდაპირველად მოსე თოიძის სახელოსნოში მეტადინეობს, ხოლო შემდეგ კურსებზე მას კ. სანაძე და ა. ქუთათელაძე ასწავლიან. იგი საფუძვლიანად ეუფლება ნახატის ხელოვნებას. სტუდენტის მაღალ პროფესიულ დონეზე მიუღივებამ ამ პერიოდის ნამუშევრები, განსაკუთრებით კი სადიპლომო ნაშრომი.

1955—1956 წლებში გამოფენებზე წარმოდგენილი ნამუშევრები ცხადყოფენ, რომ ნიყარაძე უკვე საკმარის ჩამოყალიბებული შემოქმედია, ინტერესთა ფართო დიაპაზონით. მისი ძიებანი და მხატვრული მისწრაფებანი სულ უფრო გარკვეულ სახეს იღებს, ერთიან სისტემაზე, მხატვრის ინდივიდუალურ სახედ ყალიბდება.

პორტრეტი იქცა ზურაბ ნიყარაძის წამყვან თემად, თუმცა, იგი არ შემოფარგლულა ამ თანართ. შემოქმედს აინტერესებს თანამედროვე ადამიანი, მისი ხასიათის მკაფიო გადმოცემა; ინტერესით მუშაობს ნატურმორტებზე, შიშველ ნატურებზე, თემატურ ტილოებზე, უკანასკნელ წლებში კი დიდ ყურადღებას უთმობს თავისუფალ კომპოზიციებს. პეიზაჟი კი შედარებით იშვიათად გვხვდება მის ნამუშევრებს შორის.

როგორც აღინიშნა, ზურაბ ნიყარაძე, პირველ ყოვლისა, ფერმწერია და ეს მელანდენბა როგორც პორტრეტებში, ნატურმორტებში, ისე თავისუფალ კომპოზიციებში. მხატვარმა შექმნა თავის თანამედროვეთა პორტრეტების მთელი გალერეა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ პორტრეტების უმრავლესობა მაღალმხატვრულია. რა ტექნიკითაც არ უნდა იყოს შესრულებული ნაწარმოები, იგი გამოირჩევა გამოუმსახველობის დიდი ძალითა და მკაფიო სახეობრიობით. პიროვნების შინაგანი სამყაროს ღრმა ფსიქოლოგიურ დახასიათებას, მისი გარემოდან ყველაზე უფრო მთავარის ხაზგასმას მხატვრის ზუსტი თვალი, ნახატის ფლობის კულტურა და ინტუიციური ალღო განაპირობებს.

ეს პორტრეტები რეალისტურია, იმ თვალსაზრისით, რომ თითოეული მოდელი — ცოცხალი ნატურაა, მხატვრისათვის მახლობელი ადამიანია, მისი თვალით დანახულია. ისინი, შესაძლოა, ზოგჯერ რამდენადმე იდეალაზებული არიან. მაგარა სწორედ ესაა ნიყარაძისეულობა. მის პრიზმაში გატარებულ სინამდვილე. ხასიათის ვასნას, ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოყენებას ნიყარაძე, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო დეტალის, წარმავლის, მომენტალურის დაფიქსირებით აღწევს\* და სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი პორტრეტობებისათვის; და მაინც. ვფიქრობთ, ეს ტილოები არ წარმოადგენს ფსიქოლოგიურ პორტრეტებს. ნატურის ყველაზე დამახასიათებელი, კონკრეტული დეტალის განზოგადებით, მასზე აქცენტის გაკეთებით მხატვარი იძლევა პიროვნების ზოგად დახასიათებას.

60-იანი წლები დიდად ნაყოფიერია ზურაბ ნიყარაძის შემოქმედებაში. მისი მხატვრული სტილი იხვეწება. ამოცანა, მიზანი მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სახეს იღებს. ამ ეტაპზე მხატვარი ვატაცებულია საგნის მყარი, მოცულობითი, მკვირი ფორმის გადმოცემით, რომელიც უყურად, თამამი ფერადოვანი შეხამებებით მიიღწევა. ამგვარი ამოცანებია დასახული 60-იანი წლების ნამუშევრებში (მხატვრობრი ხის თასით\*, 1959 წ.). საგნების ფორმით დაინტერესება, ფერის საშუალებით მათი მოცულობისა და ფაქტურის გადმოცემა ჩანს 1962 წელს შესრულებულ ნატურმორტებში „ბოთლებითა“ და „სამზარეულო ფიციოთ“. მათში კარგადაა მონახული კომპოზიცია, რომელიც კლასიკური გაწონასწორების პრინციპზეა აგებული. ეს გაწონასწორება მიღწეულია სიმბრტყეზე საგნებისა თუ ფერადოვანი ლაქების განაწილებით.

ზურაბ ნიყარაძე კომპოზიციის ოსტატად გვევლინება 60-იანი წლების პორტრეტებშიც. მათ შორის მხატვრის მეუღლის — ციცონი ციციშვილის, ოთარ ჭილაძის, ლიანა ასათიანის, მანანა თავაძის, მანანა შენგელიას და სხვ. ყველა ამ ტილოში ფერი ფორმის გამოყენებას იმსახურებს და ინტერპერ ნახატთან ერთად გამოყენებულია პორტრეტობების მკაფიო დახასიათებასათვის. ფერთა ინტენსივობაზე აგებული შეხამებებით


აღწევს იგი მოცულობითი ფაქტურული ფორმის გადმოცემას. სულ უფრო მკაფიოდ გამოისახება მხატვრის ინდივიდუალური ხელწერის ნიშნები. ფერწერულობა მატულობს: ტილოებში გაბატონებულია მუქი, თბილი კოლორები და თითქოს ხელოვნური ვანათება, რაც ექსპრესიულს ხდის ფერწერულ ტილოს. დივერა უმრავლეს შემთხვევაში მუხლამდე გამოსახული, მომენტალურ, თითქოს შეჩერებულ მოძრაობაში. ფონსა და ჩაცმულობაში მხატვარი მიმართავს ფერადოვან შეფარდებებს, ხოლო სახისა და სხეულის შიშველი ნაწილების (კისერი, ხელები) მოდელირება ტონალურად თავშეკავებულია.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ნიერაძის ტილოების ფერადოვნება მდიდრდება. მონასში მსუყე, პასტოზური ხდება. ამ წლებში შეიქმნა ნამუშევრები, რომლებმაც ფართო მყუერბლის აღიარება და სიყვარული დაიმსახურა. ნატურმორტები თუ პორტრეტები, ცნობილი „ჩიტების გამყიდველი“, „მოხუცი, რომელსაც თავისი საწოლი მოაქვს“. სწორედ ამ პერიოდის ნამუშევართა უმრავლესობამ შეადგინა ბელგიაში მოწყობილი გამოფენის ექსპოზიცია. უკვე სავსებით ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობს მხატვრის მიერ დასმული ამოცანები.

თუ თვალს გავადევნებთ პორტრეტის ხელოვნების განვითარებას ნიერაძის შემოქ-



ღლე იწყება



ოთარ იოსელიანის პორტრეტი

მედებაში, დაინახეთ, რომ ისევნება მხატვრული ფორმა, ფართოვდება სახით საშუალებათა დიაპაზონი, მაგრამ შემოქმედის მიდგომა მხატვრული ამოცანებისადმი იგივე რჩება. სწრაფვა ფერწერული გამომსახველობისადმი მატულობს, კოლორითი მდიდრდება, მხატვრის პალიტრაზე უხვად ჩნდება ცივი ტონები, კომპოზიცია სადა და ლაკონიურია, გამოსახულება ხშირად მოცემულია წელს ზემოთ, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, ხელების გარეშე. თამამი ფერადოვანი შეფარდებები პორტრეტს ექსპრესიულობას და სახოვანებას ანიჭებს.

ნანა ხატისიას პორტრეტი (1965 წ.) ნიუ-იარკის ერთ-ერთი თელასაჩინო ნამუშევარია.

ფიგურა სამ მეოთხედში, მკერდს ზემოთ არის გამოსახული, მოოქროსფერო-მოწითალო, თბილი ფერებით დაწერილ ფონზე. ქალის პოზა თავისუფალია. ცოცხლად, ხელშესახებადაა გადმოცემული დეტალები — საშისი, თმა, სახის ფორმები. მხატვარი თამამად მიმართავს სუფთა ფერს და ამასთან ინარჩუნებს კოლორიტის სიმდიდრეს. მთლიანობას. დამაჯერებლად გადმოსცემს მკერდს, მოცულობით ფორმას და ფაქტურას. ეს მიღწეულია მსუყე, ლამაზი ფერწერით. ნანა ხატისიას პორტრეტის საერთო მაჟორული ფერწერული გადაწყვეტა თითქოს ქმნიდა თვით ინდივიდუალური პორტრეტული დახასიათების შესუსტების საშიშროებას, მაგ-

რამ მხატვარი აქცენტს აკეთებს სწორედ სახეზე და მას უმორჩილებს პორტრეტის საერთო სახით ვადაწყვეტს. მეტი თმა გამოყოფს სახეს, რომლის ელფერები ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს მას ცეცხლის ალის ანარკლი ეცემა.

ამავე პერიოდში შექმნილი მანანა კორძაისა და ლია ელიავას შესანიშნავი ფერწერული პორტრეტები.

საინტერესოა ზურაბ ნიყარაძის ძიებები შინაგანი მოდელის ასახვისას. მხატვარი მშვენიერად ფლობს ნახატის ტექნიკას და ცდილობს მოცულობითი მკერძი ფორმითა და ელფერით ფერწერით გადმოსცეს ცოცხალი სხეული.

ზურაბ ნიყარაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია თავისუფალი ფერწერული კომპოზიციებს. აქ მხატვარი ძირითადად იყენებს უკვე მიგნებულ ფორმებს. ისტატურად იმერებს ნაცნობ მოტივებს: ტილოებიდან მაყურებლის თვალში იშლება ერთგვარი ზღაპრული სამყარო. ასეთია „ჩიტების გამყიდველი“ (1968 წ.), სადაც თითქმის ყველაფერი არარეალურია: უუპერსპექტივაში გამოხატული ტახტიც, რომელზეც სძინავს მოხუცი, თეთონი მოხუცი, ძველი საათიცა და ჩიტებიც. თითქოს პარში ჩამოყიდებულ იმითი ვალები სასურათე სიბრტყის ნახვარზე მტვს იკავებენ. ამ რეალურობის შთაბეჭდილებას მხატვარი აღწევს პირველ რიგში იმით, რომ ყველაფერს აბსტრაქტულ გაერმოცემაში გამოსახავს. ფონი ნეიტრალურია, სურათის საერთო ფერწერული გადაწყვეტა — დეკორატიული. მოცინფრო, მოყვითალო, ნარიჩისფერი, მოციმციმე ელფერაი ფერები აბლიერებენ ზღაპრულობის შთაბეჭდილებას.

პოეტურია და ოდნავ სევდიანი განწყობილება ახლავს სურათს „მოხუცი, რომელსაც თავისი საწოლი მოაქვს“ (1971 წ.). მიღრთული ოქროსფერი კოლორით, ხახულუპას ფონზე მოხუცი, რომელიც თითქოს ზღაპრიდან მოსულაო — ამასხორდება მაყურებელს.

კიდევ ერთი „ჩიტების გამყიდველი“ (1972 წ.), მავრამ ამჯერად ახალგაზრდა. პატარა სახლების ფონზე გამოსახულ ბიჭუნას თავზე ჩიტებით სავსე ვალია დაუღამის და ისიც თითქოს ლამაზი სამეფო ზღაპრიდან მოსულა. ირგვლივ ყველაფერი ციმციმებს, მოძრაობს, ოქროსფერი გამა რეალურობის საერთო შთაბეჭდილებას აბლიერებს.

ასეთივე განწყობილებით ხსათიდება კომპოზიცია „ქუჩის სცენა“ (1972 წ.). ზღაპრულობასთან ერთად, ამავე დროს, თითქოს ყველაფერი რეალურია: სურათის ცენტრში გამოსახულია სოკო, რომლიდანაც მოხუცი

ქალი წყალს ასმევს დიდ, ლამაზ მამალს. იქვე ახალგაზრდა ქალი და ცისფერკამბინი პატარა გოგონა დგას. ფონზე, შორს, სახლებია გამოსახული ლია აბენებთა და ერთიანეოზე მიწყობილი კრამიტინი სახურავეებით. სურათის ფერწერული გამა აბლიერებს ამ უბრალო სცენის პოეტურობის შეგრძნებას.

მოხსენიებულ სურათებში მხატვრული გამომსახველობა მიღწეულია არა კონტრასტული ფერებით, მოდელირებითა და მკერძო, ფაქტურული ფერწერით. არამედ ლამაზი ფერადოვანი შეფარდებებით, რამდენდემ სტილიზებულ ფორმებით, გამომსახველი კონტრითა და ფერწერული ლაქების კომპოზიციური განაწილებით ტილოზე.

თანდათან მხატვრის წინაშე დასმული ამოცანები რთულდება. თვალსაჩინოდ მიღწელება ნაწარმოებთა ფერწერული ელფერადობა. მხატვარი აღარ მიმართავს ნახ ტონალურ ვადასელებს. საღებავებს მასტისინით ღებს ტილოზე სუფთა სახით. მაღალი ელფერადობის ფერებს აწონასწორებს ასეთივე სიძლიერის, ოღონდ მისი საწინააღმდეგო კონტრასტული ფერით და მიზნად ისახავს ფერწერული ტილოს მხატვრულ გამთლიანებას.

ასეთი ამოცანაა დასახული თვა გაბუნის პორტრეტში (1971 წ.). კომპოზიცია სადა და ლაკონიურია. ახალგაზრდა ქალი გამოსახულია მხრებამდე. ეს არის სუფთა, ელფერად ვერთა ნამდვილი ფიფიერეკი. ფონი და ქალის კაბა ცივი მწვანე, მოყვითალო ფერებითა დაწერილი. თმა, სახე და კისერი კი ალისფერებითა და ყვითელი ელფერით. თუმცა, წონასწორობისათვის, სახეზეც ციმციმებს ცივი, მწვანე ჩრდილები. მხატვარი ესწრაფვის, ერთის მხრივ, სახეზე აქცენტის ვაკეთებას, მეორეს მხრივ, მიზნად ისახავს ტილოს ელფერადოვან წონასწორობაში მოყვანას. ნიყარაძის პორტრეტებში მთავრდება ექსპრესიულობა, რაც, როგორც აღინიშნა, ფერთა ინტენსიურობით არის მიღწეული. მოცეკვავე ქალის — ლ. ბაბკოვას პორტრეტი (1976 წ.) მთლიანად ფერწერულ ლაქათა თამაშზეა აგებული. ამრიგად, მხატვარი აქ პერიოდის შემოქმედებაში აღინიშნება ახალი ფორმალური ძიებები; მისწრაფება — მიუახლოვდეს და ჩაწყდეს ფერწერის არბთულს პრობლემებს.

ბოლო ათწლეული მხატვრის შემოქმედებაში უკვე მიგნებულის ერთგვარ რეტროსპექტულ შეგამებას წარმოადგენს. იგი ხშირად უბრუნდება ნაცნობ ფორმებს. თუმცა, განმეორება, პრესბითად, ახალ თვისობრივანია. რიგი პორტრეტებისა სახეით ხვრებით ერთმანეთისაგან განსხვავდება. ზეგვდება როგორც კონტრასტული, ისე ტონალური ფერწერით შესრულებული პორტრეტები.

ნანა კანდელაკის პორტრეტი (1975 წ.)  
ვერტიკალურად მოგრძობილი ტილოა, რომელზეც ყვავილით ხელში ახალგაზრდა ქალის ფიგურაა გამოსახული. პორტრეტი კონტრასტული ფერწერითაა შესრულებული. მხატვარი კვლავ მკვეთრი ფერდღოვანი შეფარდებებით გადმოგვეცემს ფორმას, იგი აგრძელებს ძიებებს ამ მიმართულებით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბაბკოვასა და ვაბუნიას პორტრეტებისათვის დამახასიათებელი სიმსუბუქე აქ რამდენადმე იცლება. ტილო ფერწერულად უფრო მძიმეა და, ჩვენს აზრით, პორტრეტის გამომსახველობაც ნაკლებია.

მ. სარიშვილის პორტრეტი (1977 წ.) ტონალური ფერწერის პრინციპითაა შესრულებული. ღრმა, ელვრადი წითლით დაწერილი ტანისამოსი კარგად იკითხება ნეიტრალურ ფონზე. გოგონას ფსიქოლოგიურად გამომსახველი სახე კიდევ უფრო შთაბეჭდავს ხდის პორტრეტს, რომელიც გადაწყვეტილი მხატვრის 60-იანი წლების პორტრეტებს გვაგონებს. მხოლოდ, მათგან განსხვავებით, გოგონას პოზა მკაცრად ფორმულურია, კომპოზიცია სადა და ლაკონური.

ასეთივე ხერხია გამოყენებული მხატვრის ქალიშვილის — ანას პორტრეტში (1981 წ.). კომპოზიციური აგებით ეს პორტრეტიც გასული წლების პორტრეტებს გვაგონებს. ტილო კონტრასტზეა აგებული. ნეიტრალური ფონი და, თითქმის, დაუმთავრებელი სხეული, მკრთალი მოციფრო-მოწინისფრო ტონებით დაწერილი ჩაცმულობა უპირისპირდება მკაფიოდ, გულდასმით დაწერილ სახეს. აქცენტი გაკეთებულია თვალზე. პორტრეტში მშვენივრადაა შერწყმული ბავშვური სათნობა, სისპეტაკე და ნატივი ქალურობა.

მკაფიოდ სახასიათოა ვახუშტი კოტეტიშვილის ფერწერული პორტრეტი (1977 წ.).

უკანასკნელ ხანს მხატვარი ბევრს მუშაობს თავისუფალ კომპოზიციებზე. ეს გახლავთ გამოგონილი, ზღაპრული, თუ პაროდული სამყარო, აღბეჭდილი ძირითადად პატარა ზომის ნამუშევრებში, რომლებსაც თვითონ მხატვარი ხშირად „სახუმაროს“ ეძახის. სურათების თემატური და სახვითი დიპაზონი ფართოა, ვგვხვდება სხვადასხვა მასალაში განხორციელებული ერთი და იგივე კომპოზიციაც. თვით ზეთის ტექნიკას მხატვარი მრავალგვარად იყენებს, თითქმის პასტელური სინაზიდან პასტოზურ ფერწერამდე. თავისუფალ კომპოზიციებში დეკორაციულობა ვაცილებით უფრო ძლიერია. კონტრასტული ფერწერით შესრულებული კომპოზიციები, ძირითადად, ფერთა „თამაშის“ ეფექტზეა აგებული. ზოგადადაა მონიშნული



ანა ნივარაძის პორტრეტი

ქალი თეთოყვება



საგნების ფორმაც, რომელიც ხშირად მოცულობითია. კომპოზიციების მსუბუქე, პაროდულ შინაარსს კარგად ესადაგება მათი ფერადვანი გადაწყვეტა, რისთვისაც ეფექტურადაა გამოყენებული თავისთავად დეკორატიული, ლამაზი დეტალები: მამლები, ჩიტები, ყვავილები, ვალები, გირლიანდები, ბამბები, ნიღბები, ფერადი ბუმბულები და სხვა.

კომპოზიციების სახელწოდებათა ჩამოთვლა კი მივანიშნებს მათ თემატურ და შინაარსობრივ მრავალფეროვნებაზე. „ღღე იწყება“ (1975 წ.) — სარკმლის ფონზე ორი ახალგაზრდა ქალის ნახევარი ფიგურაა გამოსახული: ერთი ყვავილების თიავლით, მეორე — ჩიტების ვალებით ხელში. პოეტური, იდილიური განწყობილების შექმნას ემსახურება მონაცრისფრო-მოვერცხლისფრო ვამა. ტილოზე „სამი გრაცია“ (1980 წ.) გამოსახულია სამი ქალის ფიგურა. კომპოზიცია სინტერესოდაა გადაწყვეტილი. ნეიტრალურ ნაცრისფერ ფონზე გათამაშებული მწკნე და ყვითელი ტონები, ისევე როგორც ფიგურათა გრაციოზული პოზები, ნახ, ლირიკულ განწყობილებას ქმნის.

„საუბარი“ პირობითად გადაწყვეტილი გამომსახველი ფერწერული კომპოზიციაა, ხოლო მითოლოგიურ სიუჟეტზეა შექმნილი

„იოდითი“ (1974) — წამოწოლილ, პროფილში გამოსახულ ქალს ხელში უჭირავს უფრო ნიღბი, ვიდრე მოკვეთილი თავი. ეს გახლავთ კონტრასტული ფერწერით შესრულებული პაროდული სცენა.

„აკრობატები, „მეზარღე“, „მოხუცი ქალი მაპლით“, „ცეკვა ნიღბებით“, „მუსიკოსები“, „ჩიჭების გამყიდველი“, „შობებქდილება სამხატვრო გამოფენაზე“, „ქუჩის სცენა“, „გასიერება“ — ეს კომპოზიციები, უმრავლეს შემთხვევაში, ასოციაციური მოგონების ხასიათისაა, სევდას, ზოგჯერ ღიმილის აღძრავს და ლირიკულ-პოეტურ განწყობილებას გადმოსცემს.

მხატვარმა ს. მოციან წლებში შექმნა „ცისფერი მაიმუნი“ (პასტელი). თხუთმეტე ქალის შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება ამ თემას. ამჯერად კონტრასტულ ფერწერას მიმართავს. ცხოველის გამოსახულება საკმაოდ პირობითია, გადაწყვეტა — დეკორაციული.

კვლავ იზიდავს მხატვარს შიველი ნატურის გამოსახვა. მხატვრული ამოცანები სხვადასხვაგვარია: შეგვადებიტონალური ფერწერით შესრულებულ ნატურებს, სადაც ნახატი და ფორმის მოდელირება ტრადიციულია („ნატურა ყვავიფერი ქლით“, 1978). კონტრასტული ფერწერითაა შესრულებული „ნატურა საყვით“ (1977 წ.) და ა. შ.



ზეთის საღებავის გარდა, ზურაბ ნიქარაძე ფართოდ იყენებს სხვა საღებავსაც: პას-ტელს, გუაშს. მხატვარი გრძნობს თითოეული მათგანის თავისებურებას. თანაბრად გაბნეული შუქ-ჩრდილი და რბილი, ნაზი გადასვლები სიმსუბუქესა და გამკვირვალეობას ანიჭებს ნამუშევარს. მხატვრის გრაფიკული ნამუშევრების უმრავლესობა ფერადოვანი და ცხოველხატულია.

ნანახისა და განცდილის პოეტური წარმოსახვით ღრმად შთამბეჭდავი და ემოციური „იტალიური სერია“ (1962 წ.), რომელიც ამასთან, კომპოზიციური აგების ოსტატობითა და მსუბუქი, გამკვირვალე ცხოველხატულობით გამოირჩევა. ლამაზი და ხატოვანია ნიქარაძის სხვა კომპოზიციებიც: „ქალიშვილები დოქებით“, „მუსიკოსები“, „ცეკვა ნიღბებით“, „გასეირნება“, „ჩიტების გამყიდველი“, „ლირიკული მოტივი“, „აერობატები“, „კონკერტი“ (1980) და სხვ.

სხვადასხვა ტექნიკითაა შესრულებული შესანიშნავი პორტრეტების მთელი სერია: შია ბაქრაძის (1955 წ.), მარინა ციციშვილის (1962 წ.), ლ. ბაბკოვას (1966 წ.), ლ. გაბუნიას (1967 წ.), თ. გედევანიშვილის (1974 წ.), გურამ ქუთათელაძის (1976 წ.) და სხვ.

ფანქრით ან ნახშირით შესრულებული



ქუჩის სენა  
ჯამაზი  
ესკიზი ფილმისათვის „ალოობა“  
ნანა კანდელაკის პორტრეტი  
აერობატები





პორტრეტების თვალის გადავლებითანვე აშკარა ხდება, რომ ნიჟარაძე ნახატის ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატია. მხატვარი სრულყოფილად ფლობს ხატვის ტექნიკას. ღრმა გამომსახველობით ხასიათდება „სენი გოგონას“, მანანა ხიდაშელის, ჯემალ შანშიაშვილის, ბორის ანდრონიკაშვილის პორტრეტები. თუ შემოქმედების ადრინდელ ეტაპზე მხატვარი დეტალებზე, უფრო ხშირად,

წყმის პრინციპზე: იქმნება სკულპტურულობა, მინიშნული დეტალები პორტრეტს განსაკუთრებით ლირიკულსა და შთაგონებულ იერს ანიჭებს. შთაგონებული და გამომსახველია ოთარ იოსელიანის პორტრეტი (1975 წ.).

ზურაბ ნიჟარაძე ძალზე ნაყოფიერი მხატვარია, რომლის ნამუშევრებს შევხვდებით თითქმის ყველა გამოფენაზე. მის მიერ შეს-



სკინო ციკლაურის პორტრეტი

თვალზე ამახვილებდა ყურადღებას, პორტრეტირებულის ხასიათის მკაფიოდ გამოსაყვანად, უკანასკნელი პერიოდის ნახატებში იგი ცდილობს დეტალების ნივლიანობის გზით გვიჩვენოს ფორმის საერთო სკულპტურულობა. იგი დეტალს კი აღარ გამოყოფს, არამედ მთლიანს უმორჩილებს. ასეთია თენგიზ მირზაშვილის, თამარიკო კედევანიშვილის, საშა რეხვიანიშვილის პორტრეტები. კიდევ ერთი საინტერესო გადაწყვეტაა მიგნებული ოთარ ჭილაძის პორტრეტში (1980 წ.), რომელიც აგებულია ადგილ-ადგილ ძალზე მუქი, ღრმა, სქელი კონტურისა და მეორეს მხრივ, თითქმის წაშლილი დეტალების შერ-

რულებული მონუმენტური ფერწერული პანოები ამკობენ დედაქალაქის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, მხატვარი თანამშრომლობს ეურნალებში, გამოცემლობებში, მუშაობს კინოფილმებისა და სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაზე. საინტერესოა მისი შემოქმედება საბავშვო წიგნის გრაფიკის სფეროშიც. ბავშვური სამყარო, ზღაპრული, გამოგონილი, პარიდიული, — ახლოა ნიჟარაძის ბუნებასთან. ამიტომაც სარგებლობს დიდი წარმატებით ნიჟარაძისეული დასურათებანი საბავშვო წიგნებისა, რომელთა შორის აღსანიშნავია ლუის კეროლის ზღაპრის — „აღისა საოცრებათა ქვეყა-


ნაწი“ მშვენიერი, მზიარული ილუსტრაციები.

ზურაბ ნიჟარაძეს ეკუთვნის ილუსტრაციები მთელი რიგი ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის. მათ შორისაა ოთარ ჭილაძის რომანი „ყოველმან ჩემმან მხოველმან“, იაკობ ცურაველის „შუშანიკის წამება“, ფრანგული რენესანსული ლიტერატურის შედეგის, ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“, არისტოფანეს „ფრინველები“, შექსპირის პიესა „ჰენრი VI“ და სხვ. წიგნის ილუსტრაციებში ნიჟარაძე მუდამ ავსებს ნაწარმოებისათვის შესატყვის სახვით ენას, სახერად ვადმოსცემს მის ხასიათს, არსს, განწყობილებას. თავისუფალი, ისტატურად შესრულებული ნახატი, პირობითობა, ზოგჯერ გარკვეული სტილიზაცია ფერცილის სიბრტყის შეგრძნება, მეტყველებს იმაზე, რომ მხატვარი ფლობს ენარის სპეციფიკას.

მონუმენტური ელვადობის ტილოების შექმნის უნარი გამოავლინა ზურაბ ნიჟარაძემ ტრიპტიქში „გამარჯვებულნი“ (1969 წ.). ეს არის ჰიმნი. მიძღვნილი გამარჯვებული ხალხისადმი, რომელიც იბრძვის, აწინებს და იმარჯვებს. ნაწარმოები აღსავსეა საგმირო პათოსით. დამატებულია მისი ცენტრალური ნაწილი, რომელიც ეძღვნება საბჭოთა ხალხის გმირულ გამარჯვებას ფაშისტურ გერმანიაზე. შესანიშნავად არის მოწახლული ტრიპტიქის კომპოზიცია, როგორც მთლიანობაში, ასევე მის ცალკეულ ნაწილებში. მრავალფეროვანი ცენტრალური ნაწილის კადრთან მოახლოვება აძლიერებს მოზღვავებული ძაღის შთაბეჭდილებას. ფიგურათა დიდი მასებით დამუშავება, ომგადახდილი, მოზეიმე ჯარისკაცების პოზები, ზედაპართული ხელები, მათ სახეებზე აობექტილი შემახილი — ყოველივე ეს იმდენად ცოცხალ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ჩავესმის მათი გულებიდან ამოეთქილი „ვაშა“. ტრიპტიქის მარჯვენა ფრთაზე ასახულია „შენება“ სასურათო არე აქ უფრო თავისუფალია. ცენტრისაკენ მიმართული სამი მომის ფიგურა კომპოზიციას ჯაჯს მარჯვნიდან. ასევე, ცენტრისაკენა მიმართული მარცხენა ფრთაც, რომელზეც ორი კოსმონავტის ფიგურა გამოსახული. გვერდითა ფრთების დიაგონალური კომპოზიციური გადაწყვეტა აძლიერებს საერთო ექსპრესიის შთაბეჭდილებას. სინტერესოა ტილოს ფერადოვანი გააზრებაც. მაკორული, მზიარული, ფერები ხელს უწყობს ამალეგებული განწყობილების შექმნას. ზურაბ ნიჟარაძის ტილო — „გამარჯვებულნი“ თანამედროვეობის თემაზე შესრულებული ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია საბჭოთა მხატვრობაში.



გამარჯვება



საბჭოთა ხელოვნება



მონუმენტურ-დეკორატიული მხატვრობიდან აღსანიშნავია თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის პოლის მოხატულთა (1971 წ.); გურამ ქუთათელაძესთან ერთად მოხატა რუსთაველის გამზირზე პატარა კაფეს კედელი (1972 წ.); პროფკავშირების სპორტულ კომპლექსში, მანეჯზე აშისახულია ატლანტების რბოლა; შუა აზიის ქალაქ ჭიხაქში ზურაბ ნიყარაძემ მოხატა მუსიკალური სასწავლებლის კედელი რომელზეც სიმბოლურ-ალეგორიული კომპოზიცია — მფრინავ ხალჩაზე სხედან მუსიკოსები. ეს ნამუშევრები თვალსაჩინო მეტყველებენ, რომ მხატვარი დაუფლებულია ამ ენარის სპეციფიკას, კარგად გრძობს კედლის სიბრტყეს და მას უქვემდებარებს გამოსახულების საერთო გადაწყვეტას.

ზურაბ ნიყარაძემ კინოშიც სცადა თავისი ძალები. რეჟისორ ლ. გორდელაძესთან ერთად შექმნა ფილმი „ალოობა“ (1967 წ.). საინტერესოა ფილმისათვის შექმნილი ესკიზი „მოთბავეში“.

რეჟისორ შადიმან ჭავჭავაძესთან ერთად 1975 წელს ზურაბმა იმუშავა მულტიპლიკაციური ფილმზე „ჯადოსნური ცრემლი“. მსუბუქი, გამომსახველი ესკიზები გახდა ილიაშვილის წარმატების საწინდარი. 1979 წელს იმავე რეჟისორთან ერთად გადაიღო მხატვარმა მულტფილმი „ნიუტონის ვაშლი“, ახლახანს დამთავრდა კიდევ ერთი მულტფილმის „პრელი პეპელას“ გადაღება.

საინტერესოა ზურაბ ნიყარაძის სათეატრო მხატვრობაც. 1969 წელს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში მან გააფორმა რეჟისორ ნანა ხატისკაცის მიერ დადგმული სპექტაკლი „ტოპაში“ (თანამედროვე ფრანგი ავტორის მარსელ პანიონის პიესის მიხედვით). გასულ წელს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის და ბალეტის აკადემიურ თეატრში დაიდგა ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „პირველი სიყვარული“. ოპერის სახუმარო სიტუეტები, მსუბუქი გამჭვირვალე მუსიკალური ენა კარგად შეერწყა მხატვრის მიერ შექმნილ ნახევრად ზღაპრულ, ნახევრად ალეგორიულ სახვით გადაწყვეტას. ოპერის ფინალის ბრწყინვალე დეკორაციონებს წარმოადგენს დეკორატიული ფარდა. მასზე გამოსახულია მფრინავი ალეგორიული ფიგურები. მშხინავი, ვერცხლისფერი ვამა გვეუწყებს ამ მხიარული ზღაპრის დასასრულს. სპექტაკლის ხასიათში მოხიბვლილი მხატვრული აქცენტების სახით, ორგანულადაა ჩამჯდარი კოსტიუმები, რომლებიც ხელს უწყობენ პერსონაჟთა ხასიათის გახსნას. წარმოდგენის სახეობა, მხიარული განწყობილების შექმნაში დიდი როლი შეასრულა ნიყარაძის მხატვრულმა ვაზარტებამ.

დაწყებული 1955 წლიდან ზურაბ ნიყარაძე ყველა რესპუბლიკური და საკავშირო გამოფენის მონაწილეა; მისი ტილოები ექსპონირებული იყო საბჭოთა კავშირის მთლიან რიგ ქალაქებში: კიევიში, ვილნიუსში, რიგაში, მინსკში, ლენინგრადში, ტარტუში და სხვ.

1959 წლიდან დაწყებული, სხვადასხვა წლებში, ზურაბ ნიყარაძის ნამუშევრებმა, ქართველ მხატვართა ნაწარმოებებთან ერთად, მოიარა ევროპის ქვეყნები: პოლონეთი, შვეიცია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, იუგოსლავია, საბერძნეთი.


1974-79 წლებში ზურაბ ნიყარაძის პერსონალური გამოფენები გაიმართა ბელგიაში, ავსტრიაში, ლუქსემბურგში, დასავლეთ გერმანიაში, იტალიაში.

ჩეხოსლოვაკიაში, 1978 წელს ფერწერის საერთაშორისო გამოფენაზე „ბიენალე“ ზურაბ ნიყარაძეს პრემია მიენიჭა: აქ გამოფენილი იყო მისი ორი ტილო: „ჩიტების გამყიდველი“ და „ქუჩის სცენა“. ჩეხური პრესა, აღარებს რა მისი ტილოების განწყობილებას ფიროსმანის სამყაროს, მალაქ შეფხეხვას აძლევს ქართველ მხატვარს.

მხატვრის ნამუშევრები შექმნილი აქვთ მოსკოვის აღმოსავლური ხელოვნების მუზეუმს, ვილნიუსის, ოდესის, დნეპროპეტროვსკის, კიევის მუზეუმებს. ერთ-ერთი ტილო ინახება ბრაზილიის ნაციონალურ მუზეუმში.

ნაწარმოებების მიხედვით მესაძლებელი ხდება ზურაბ ნიყარაძის შემოქმედი პიროვნების დანახვა, მისი მისწრაფებების, სურვილებისა და ცხოვრებისეული ინტერესების წყაიხვა. ხელოვანს ინტერესთა ფართო სფერო გააჩნია. იზიდავს სამყარო ფორმათა დაუსრულებელი მრავალკვარობით. მის შემოქმედებას შთააგონებს სილამაზე, სიყვარული, სიხარული, მშვენიერება ბუნებასა და ადამიანში, აინტერესებს ადამიანთა ურთიერთობანი. სწორედ ამ ცხოვრებისეული სისავის ასახვას ცდილობს მხატვარი, რომლის მთელი შემოქმედება მიგვიითობებს პიროვნების რთულ სტრუქტურაზე; შემოქმედის ინტერესები მოიცავს, ერთი შეხედვით, ზოგჯერ შეუთავსებელ, საწინააღმდეგო მხარეებს, მაგრამ ყოველივე ამას ერთიანი საფუძველი გაჩნია — ეს გახლავთ მხატვრის პიროვნება, რომელიც ილტვის არსებულ მრავალფეროვანი და უმდიდრესი სამყაროს ასახვისაკენ.

ემპედაკლე  
პირველი ოსური  
კროფისიული  
თეატრის  
50 წლისთავს



მოქმედი დროს ტეატრის

# ოსური თეატრის საწყისები

რუბენ ჩეთიი

უძველესი დროიდან, მთიელი ხალხის თიქმის ყველა სოფელსა და დასახლებულ პუნქტში, რელიგიური და საზოგადოებრივი დღესასწაულების, ქორწილებისა და ნადიმების გამართვის დროს მათი აუცილებელი თანმხლები იყო ხალხური სანახაობა, ხალხის წიალიდან გამოსული, თვითონ საზოგადოების მიერ შექმნილი სახალხო ხელოვნება და, მასთან ერთად, საიმპროვიზაციო თეატრი, რომლის ძირითად რეპერტუარს წარმოადგენდა ადამიანთა სოციალური უთანასწორობისა და ხალხის ქვედა ფენების შიმშილმდგომარეობის ასახვა, მიჯგერელებისა და ჩაგრულთა განსახიერება.

ოსთა ხალხური კულტურისა და ხელოვნების შესახებ სათანადო მასალები შემოგვინახა ოსურმა ზეპირსიტყვიერებამ.

მართალია, ხალხური სანახაობანი ძირითადად ზორციელდებოდა საკულტო-რელიგიურ და საზოგადოებრივ ნადიმებთან დაკავშირებით, მაგრამ არცერთი სანახაობა, (მხედველობაში თუ არ მივიღებთ სახალწლო და აღდგომის სიმღერებს, მტაცებელ ნადირობა ღმერთის თუთირისადმი მიძღვნილ ტექსტებს), არც სანახაობის სიუჟეტით და არც მოქმედებით უშუალოდ არ იყო დაკავშირებული იმ ღვთაების სახელთან, რომლის პატივსაცემადაც იკრებიებოდნენ იმ დღეს, ან ზოგჯერ მთელი კვირის განმავლობაშიც კი; რელიგიური დღესასწაული მხოლოდ საბაბი იყო იმისა, რომ თეატრალიზებული სანახაობა ეჩვენებინათ. სწორედ ამის გამო ქვემოთ ჩვენ შევხვებით მხოლოდ იმ დღესასწაულებს, რომელთა დროსაც იმართებოდა სახალხო სანახაობები, კერძოდ, იმპროვიზირებული თეატრი.

უძველესი დროის საკულტო-რელიგიური დღესასწაულების წარმოშობის (თეთრი, ახალი წელი) დროის დადგენის საფუძველზე და ოსური მდიდარი ზეპირსიტყვიერების მემკვიდრეობით დღასტურად, რომ ოსური ხალხური ხელოვნების ცალკეული ძანრები შეიქმნა ნართების ეპოსის წარმოშობის დროიდან. თეატრალურ სანახაობაში ძირითად როლს ორი მთავარი მოქმედი პირი, ეგრეთწოდებული, ნიღბოსანი, ასრულებდა. ერთი იყო დათვის ნიღბოსანი, მეორე მაიმუნის ნიღბოსანი, რომლებიც ხშირად მოქმედებდნენ ერთად. იყო შემთხვევა, ისინი ცალ-ცალკე გამოდიოდნენ (დათვის ნიღბოსანი გამოდიოდა მაიმუნის ნიღბოსნის გარეშე, ან პირაქით). ოსურ ხალხურ სანახაობებში ცნობილია სხვა ნიღბებიც (ცხენის, ხარის, ცხარის, თხის, ძაღლის, კატის, მამლის, მტრედის, მგლის, კურდღლის, მელისის, არწივის, ირმის, ჭიხვის და სხვ.) სანახაობაში გამარჯვებულისთვის დაწესებული იყო საჩუქარი — პრიზი. საუუეთესო მონაწილე ღებულბოდა ყველზე უეთეს პრიზს — საცუთესო ცხენს (ბუღარს, არაბულს); მომდევნო პრიზები იყო: ნოხა-ახალუხი, ვერცხლის ქამარი-ხანჯალი, ნაბადი, ქურქი, ყაბალახი, წინდები, თოფი, დამბა და ა. შ.

ენიკ საპროზო პირველ ადგილს დამისახერებდა, ე. ი. ვისაც ცხენს მოაკუთვნებდნენ, მას უფროსები მიაბითუებდნენ საპატიო სასმისს (რომელიც ფლუკლორში ფიქსირებულია „ეკაცამნგას“ — სახელწოდებით) — ჭიხვის რქას სასმელი (არყით) და. გამარჯვებულ მადლობას მოახსენებდა საზოგადოებას ყურადღებისა და მისი ხელოვნების მაღალი შეფასებისათვის და სვამდა მოწონებულ სასმისს. შემდეგ სანახაობის მთავარი ხელმძღვანელის ნებართვით აჟღერდებოდა საცეკვაო მუსიკა და პრიზიორის მისთვის სასურველ ქაღალწილთან ერთად უნდა ეცეკვა აუცილებლად. სანახაობის ასეთი ფორმით ხატარება უფრო მეტ ინტერესს იწვევდა მოზარდთაობაში, აქებულბოდა მათ ნიჭისა და უნარის სრულყოფილი და თავისი შემოქმედების საზოგადოების წინაშე წარმოსადგენად. ამიტომ იყო, რომ ვასულ საუუენებში ოსებში სანახაობა სანახაობების რიგები სავაობ დიდი იყო. ისე, რომ თეატრისადმი სიყვარული ოსებს უსსოვლოდ დროიდან მოსდევდა. თუმცე ხშირ შემთხვევაში ისინი არასრულყოფილად. პრიმიტიულად. მაგრამ მაინც ახერხებდნენ დამტკბარიყენენ იმპროვიზირებელი სანახაობები. სანახაობები გარმდებოდა მთელი დღე-ღამის განმავლობაში, უფრო ადრინდელ პერიოდში კი (ზეპირსიტყვიერი გადმოცემაში) მთელი კვირის განმავლობაშიც. ხალხს სისხლ-ხორციო ჰქონდა ვამჯდარი სიყვარული ხელოვნებისადმი, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა როგორც შემსრულებლებისათვის, ისე მაყურებლისათვის ასეთი ხანგრძლივი დროით როგორც შესრულება, ისე ყურება, ან მოსმენა. ზოგ შემთხვევაში თეატრალური სანახაობა სრულდებოდა მაყურებლის

გარეშე, ე. ი. თვითონ შემსრულებლები მაყურებლის რიგში გამოდიოდნენ.

როგორც ვხედავთ, წარსულში რელიგიურ-კალენდარული დღესასწაულები მაქსიმალურად დატვირთული იყო ყოფის რეალობით, რომლებიც წარმოადგენდა ადამიანთა სულიერი და პრაქტიკული ცხოვრების თავისებურ შერწყებას. ამ მხრივ აღსანიშნავია სამიწათმოქმედო წიღური კალენდარი, რომელიც მჭიდრო კავშირშია ოსების სამიწათმოქმედო რელიგიის გენეზისთან. იგი დაყოფილი იყო ციკლებად: საზამთრო, საგაზაფხულო და საშემოდგომო. ამ პერიოდების მიხედვით იმართებოდა იმპროვიზირებული სანახაობანი, რომელიც მტკიცედ იყო დაკავშირებული სამიწათმოქმედო კულტების დღეობებთან. უძველესი დროის ქართულ დამატებულ სანახაობებსაც ხშირ სამიწათმოქმედო დღეობებს უკავშირებენ. ადრინდელ პერიოდში დღესასწაულებს (რელიგიურს თუ საზოგადოებრივს) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ადამიანთა სულიერი კულტურისა, ურთიერთდამოკიდებულებისა, შინაგანი მსოფლმხედველობისა და ხელოვნების განვითარებისათვის.

ოსების რელიგიური დღესასწაულები გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით და სიმრავლით. ამას თავისი საფუძვლიანი ახსნა აქვს. წარსულში ადამიანის მიერ ბუნების ძალების შეუცნობლობის პირობებში ფართოდ იყო გავრცელებული ცრუმორწმუნეობა. მათ სჭირდათ, რომ ქვეყნად არსებობს ღმერთი და სხვა უხილავი ზეციური ძალები, რომლებიც წარმართვენ ადამიანთა ცხოვრებას და სამავთიერ მოითხოვენ პატივისცხას.

ოსებში ზეციური ძალების საპატენსაციოდ გამართული ანთლოგიური რიტუალი იყო შემოღებული. ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალები, ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ნაშრომები საშუალებას იძლევიან გამოიტანათ დასკვნა იმის შესახებ, რომ ოსებში არსებობდა საერთო სახალხო მასობრივი დღესასწაულები: ნიგ ბონ (ახალი წელი), ქუეკან (აღდგომა), თეთირ (თევღარიობა), ხორხორ (მისვლის აღება) და სხვ. გარდა ამისა, ოსებში იყო ცალკე სასოფლო დღესასწაულები, რომელიც იხილდნენ ცალკეული სოფლები, საოჯახო დღესასწაულები. — მონაწილეობას ტებულობდნენ ჰილოდო ოჯახის წევრები. საზოგადოებრივი დღესასწაულებიდან აღსანიშნავია ვლახის ბონ (გამარჯვების დღესასწაული) და ნიშვარა (ახალდაბადებულის სახელის შერწყმევა). აღნიშნული დღესასწაულების გასამართავად სათველი, აული, ხანდაზან მთელი ზეობაც კი ერთიანი ძალით წინასწარ ემზადებოდნენ: ადულებდნენ ლუღს, ხილდნენ არაყს, კლავდნენ წერილუჯხა და მსხვილუჯხა საქონელს, აცხობდნენ ხაჭაპურს. დღესასწაულისადმი მიძღვნილი სანახაობის მონაწილენი კი სადმე არჩეულ ადგილს ამზადებდნენ ხელოვნების ახალ-ახალ ნიმუშებს, რომლებიც შემდგომში მოკავდათ ერთ მთლიან-

ნობაში, რათა დანიშნულ დღეს მყურებლის წინაშე წარმოედგინათ დამუშავებული და საინტერესო თეატრალური სანახაობა.

დანიშნულ დღეს იმართებოდა ერთიანი, საერთო-სახალხო დიდი ზემი საკანგებოდ ნაღობისათვის განკუთვნილ მიწაზე, ზამთრობით კი ნახასისათვის აშენებულ და მომზადებულ საზოგადოებრივ შენობაში. წესის თანახმად, სუფრაზე დაჯდომის უფლება ჰქონდათ მხოლოდ ხანიშესულებს, ახალგაზრდები კი იქვე სხვადასხვა სანახაობებით, სპორტული თამაშობებით, ხელოვნების სხვადასხვა ქანრის ჩვენებით ართობდნენ მონადიმე ხალხს. ეს წარმოდგენები, პროფ. ბ. ალბროვის აზრით, ძირითადად აგებულ იყო დრამატული ელემენტების საფუძველზე: „დრამატულ ელემენტებს შეიცავს აგრეთვე ბევრი სადღესასწაულო ადათ-წესი, — ვითხვებით ბ. ალბროვის ჩანაწერებში, — როგორცაა, მაგალითად, წვიმის მოყვანისა და მეხის დაცემის ადათ-წესები, რომლებშიც აქტიურ მონაწილეობასღებულოზე ქალები, ისინი ცეკვები და გუნდურ სიმღერას ასრულებენ. იგივე ხდებოდა ბავშვის საფენებში გახვევისა და ხაჯვანის დღესასწაულების დროსაც. ბიჭები შობლებზე ულოცავდნენ და გუნდურ სიმღერას მღეროდნენ: „სოი, ცაო, სოი, ოი, სოი, სოი!“ იგივე ხდებოდა სხვა დღესასწაულების, განსაკუთრებით საქორწილო რიტუალების დროსაც.

ოსურ დღესასწაულებზე წარმოდგენილ სახალხო სანახაობებზე და კერძოდ ოსურ ხალხურ თამაშობებზე, თუცა არასრულად, მაინც საინტერესო კვლევით მუშაობა ჩაატარეს სერგო ვაკიევი და ვიქტორ ჭუსოევიც. არა მარტო დღესასწაულების დროს აწუხდნენ, უჩვენებდნენ იმპროვიზირებულ ხელოვნებას, არამედ სანახაობის მოწყობა მონაწილეთა მუდმივი გვფეხები (დასეგბ) ჰყავდა ოსთა მეფის სასახლეს, რასაც მკაფიოდ ვეაუწყებს ოსური ზეპირსიტყვიერება, რის საფუძველზე მართებელი დასკვნა გამოიტანა ცნობილმა ქართველმა მწიგნობარმა ზაქარია ჭიჭინაძემ (1854—1931). მისი აზრით, ამტკიც უცხო სანახაო ყოფილან დაით სოსლანის ოსთა მეჩანენი, მგოსანნი, მოშაირნი, მოთაძაშენი, მოსაპარუნენი, მეჩიოთ-მებურთენი და სხვაც ამგვარნი, რაც მაშინ თურმე ოსებში და ნამეტურ ოსთა დიდებულ ოსთის კარგად ყოფილა გაჩალებული. ქებით ამბობენ მართა სასიმღერო კოლონი და XII საუკ. ოსებშიც თურმე სახალხო სიმღერებს ისე იტყობდნენ და იმღერდნენ, როგორც ეს მაშინ ქართველებს სცდნოდა. დაით სოსლანის მომღერალთა ჯგუფიც თურმე სანაქებო ხმოვან მომღერალთა კაცთაგან შესდგებოდა“.

როგორც აღვნიშნეთ, სანახაობის წარმოსადგენად მისი მონაწილე ღონისძიებთათვის წინასწარ ემზადებოდნენ, მათ ჰყავდათ თავიანთი ხელმძღვანელი. ეს ხელმძღვანელი თამაშობების მსვლელობის დროს

მორიგის მოვალეობას ასრულებდა. ამ უქანასკნელის გარეშე არც ერთ მოქმედ პირს სანახაობაში მიღების უფლება არ ჰქონდა.

ოსი ხალხის დრამატული სანახაობებისა და სიმპროვიზაციო თეატრის შეხებაზე მდიდარი მასალა შემოგვინახა ნოვ ბონის სამაწათმოქმედლო საკულტო დღესასწაულმა, რომელიც თუმცა განსხვავებით, მაინც რეგულაციის შემდეგაც იმართება. სწორედ ამის გამო, როგორც თეატრალური ხელოვნების საწყისების ძირითად საშუალებას, უფრო ფართოდ განვიხილავთ ამ დღესასწაულის მსვლელობას. ისები ახალი წლები — ნოვ ბონის დღესასწაულს მთავა და ბარში ყველგან აწუხობენ, ამასთან, ერთიანი ფორმით. თუმცა სანახაობების ჩვენებით არამარტო ხეობებში, არამედ სოფლებშიც კი განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

ოსებში სახალწლო სუფრისთვის ბასილის საბატიცხაეცხომოდ სპეციალურ კეკს აცხობდნენ, მგოსობებს შორის შევიპრიც კი იყო გამოცხადებული, კინ უფრო მამავასებდა გამოცხადებარ კეკის ბასილის სახეს. ამის საფუძველზე გააძლეს ოსურ ზეპირსიტყვიერებაში დღემდე შემორჩენილი მხატვრულობის თვალსაზრისით ბრწყინვალე ლეგენდა „ბასილი და ოლია“.

ლეგენდის მიხედვით, ბასილი სობრძნათ, ვეკაცობითა და სიდაბრბისლი საზოგადოების დიდი სიყვარული დიმიხსებრა, მისი სახელი ქვეყანას მოედო. ბასილი ამის გამო ირისთონის (ოსეთის) მეფე გახდა. მან სიკეთე და ბედნიერება მოუტანა თავის ხალხს, მოსპო მავენ ზენჩეულებები, უსარგებლო ადათ-წესები და ადამიანები დააყენა ნათელი ცხოვრების გზაზე. ხალხმა უსაზღვროდ შეიყვარა თავისი ბრძენი და კეთილი მეფე. ყველა უსიტყვიოდ ასრულებდა მის სამართიან განკარგულებას. ბასილის სიკვდილის შემდეგ მისი სახელი ლეგენდად იქცა ირონებში. ირისთონის ყველა კუთხეში შეთხზეს სიმღერები, თქმულებები და ლეგენდები თავიანთ საყვარელ გმირზე. შესაძლებელია ოსებში სახალწლო კვირი შემოღებულთა ოსი ხალხის ლეგენდარული გმირის ბასილის საბატეცხაეცხომოდ, მას ბურკების გვფეხი უმღეროდა.

ბერკები სახალწლოდ წინასწარ ემზადებოდნენ. ახალწლის ღამეს და ახალწლის დღეს სოფლებში კარდაკარ დადიოდნენ, სხვადასხვა ფორმისა და სახის იმპროვიზაციულ სცენებს აწუხდნენ. მასპინძელი ბერკებს აძლევდა წინასწარ მათთვის გამოხადებულ წილს (სასმელ-საჭმელს): სწორედ ამიტომაც ოსური ნათეკამი „ბერკილი ზოლენ“ — ბერკაზე კარდაკარ სირაული, ვინაიდან ოსებშიც მტკიცედ იყო დამკვიდრებული ახალგაზრდების სახალწლოდ კარდაკარ სირაული, რომელიც სრულდებოდა სიმღერით, ცეკვით, სხვადასხვა სანახაობების ჩვენებით. ბერკები მასპინძლის ულოცავდნენ ახალი წლის მობრძანებას.

სადღესასწაულო სანახაობის ჩვენებისათვის ახალგა-

რღები ათი დღით ადრე იწყებდნენ მზადებას. სოფელში იქნებოდა ორი-სამი ჯგუფი, ათი, ოცი ან ოცდაათი კაცის შემადგენლობით. ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ისეთი პირი, რომელიც ყველაზე უკეთ შეიძლო ცეკვა-თამაში, სიმღერა და ოხუფნობა. სხვა მონაწილეებსაც ათვისებულად უნდა შესძლებოდათ სიმღერა და ცეკვა.

ხელმძღვანელი ჯგუფს წინასწარ აცნობდა სამოქმედო სცენარს და თან აფრთხილებდა, რომ ადგილზე მდგომარობისდა მიხედვით, სიტუაციის შესაფერისად სცენარიც შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ისინი არ უნდა დაიბნენ, უნდა გაუგონ მთავარ მოქმედ პირს და ხელი შეუწყონ, რომ სანახაობა უკეთ ჩატარდეს და მასურ რეზუს მოწონება დაიმსახუროს.

ყმაწვილები ნიღბებშია მოთავსებული დალიოდნენ კარდაკარ და „ბასილობას“ (ახალ წელს) ულოცავდნენ თანასოფლელებს, საღამოთი კი მათ ცვიოდნენ მოზრდილი ვაჟაკები, ისინიც ნიღბებშია მოთავსებული იყვნენ. ჰქონდათ მხოლოდ თეთრანაკეთი ნიღბები, შეკერილი შავი, ან ნაცრისფერი ქსოვილისაგან, რომელზეც დამაგრებული იყო წვერ-ულვაშები და გრძელი რტები ჯიხის, თხის ან ირმისებურად. ნიღბს უწოდებდნენ „ირმის თასს“.

უზონთან მთელი ჯგუფი სანახაობას სიმღერით იწყებდა:

მასპინძლებო, მასპინძლებო,  
ოჯახი თავმა მოჰქვას ირემო,  
ღიასახლისმა შობის ვაჟაკი,  
ბაბილის მარჯვენა იფოს ჩვენ!

მასპინძლები მაშინვე არ უღებდნენ ალაყაფის კარს, ჯგუფი კვლავ იმეორებდა იმავე სიმღერას, ზოგჯერ სხვა-სხვა და სიმღერით აიძულებდნენ, რომ კარი გაეღოთ. თუ სულ არ გაუღებდნენ კარებს, მაშინ სიმღერითვე გაგრწევიდნენ მასპინძელს ძუნწობისათვის, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა, ძენლად შეხედებოდათ ოჯახს, რომელიც სახალწლო მილოცვლებს არ უშვებდა შინ. მხოლოდ აჩერებდნენ იმ მიზნით, რომ სანახაობა და, ცეკვა-თამაში, საოხუნჯო სიმღერები დიდხანს გაეგრძელებინათ. უზონი უსუსლო ბერიკები ცდილობენ ხმის შესვლას, რომ მასპინძლებმა ისინი ვერ იცნონ. მათ ნიღბები აქვთ სახეზე. ქურტუბიც გადმობრუნებული აცვიათ, რომელზეც შემორტყმულია ვანიერი ქაშარი, მასზე კი უშვერულად ხის ხმალი ჰკიდიათ. შემოსულები მაშინვე აიძულებენ ვარძის და იწყებენ სახუმარო ცეკვების შესრულებას, ანსახიერებენ დღეებს, დათვებს, მგლებს, შინაურ და გარეულ ცხოველებს. შემდეგში ორი მონაწილე ერთმანეთს ვითომ შეეკამათება. კამათი გადაიზრდება ჩხუბში. ერთ-ერთი იმიშვლებს ხის ხმალს და ჩაართკამს მოწინააღმდეგეს. „დაპირილი“ ეცემა მიწაზე და „ეცდება“. „მეცდება“ თავის მსხვერპლთან ამა-

ყად დვას და მონანიებით იძახის: „ოი, რა ექვნი ესაა! ამ დროს ოჯახის უფროსი ინსტიტუტურად ეკითხება:

მასპინძელი: მართლაც რა ქენი, შე ოჯახიო?  
ნიღბოსანი: ავადილი და შევდილი!  
მასპინძელი: ნუთუ არაფრით შეიძლება, რომ მას სოცოცლებ დაუბრუნოთ?  
ნიღბოსანი: შეიძლება, როგორ არ შეიძლება.  
მასპინძელი: ახა ცენი და საქაროდ დობტურთან კაცი ვაჟ-არინო.

ნიღბოსანი: დობტური მაგას ვეღარ უშველის.  
მასპინძელი: ახა, ვინ უშველის?  
ნიღბოსანი: მხოლოდ შენ, მასპინძელო, შენა გაქვს მაგას წა-მალე მომეცე ერთი აბაზი და ერთ წაშობი ვაჯაცოცლებ.  
მასპინძელი: აიღე, შე კი ცაცო, აბაზის გულისთვის კაცს როგორ ვაწაყავ?

მასპინძელს გამოაქვს ფული და აძლევს ნიღბოსანს. „მეველი“ იღებს ვერცხლის მანეთს და ვახარებულ ცეცით შემოუღებს „მეველას“, თან მანეთთან სახესთან მიუტანს; „მეველი“, როგორც კი გაივებს ფულის აღებას, მაშინვე „სოცოცლება“, წამოდება და ხმაალა; იძახის: — „ოი, რამდენი მეძინა!“ და მაშინვე „მეველი“ და „მეველი“ გადაეხვევიან ერთმანეთს და კვლავ ერთად გააგრძელებენ ცეკვას. მასპინძლები სფერასთან მიიპატიებენ სანახაობის მონაწილეებს, ისინი შორიღებით სეავენ და ჰქმენ, ისე, რომ მასპინძლებმა მათი ვინაობა არ იცნონ. გამოსვლის ბავშვები ცდილობენ ნიღბები ააცალონ, მაგრამ ბერიკები არ ნებდებიან. ამ მოქმედების დროს ისმის ყვირილი, უცნაური შემახილებით.

მ. თულანოვს ეს სანახაობა თავის თვალით უნახავს და დამაზარადდა სამი ნიღბი: ირმის, მამლის და თხის ნიღბი, რომელთა დებაცა ვაწაყავით.

სახალწლო სანახაობის თითქმის ყველა მონაწილეს ჰქონდა ვაკეთებულ მინაფორი ან ვაკეთული ცხოველის, მხვიც ნიღბი. ვისაც ნიღბი არ ჰქონდა, იმას მფრთის სახეს უღებავდნენ, ცხენის ძვისაგან წვერ-ულვაშს უკეთებდნენ, აცვავდნენ ბანჯგლონი მხვიც ტუაყის ქურტებს და ასე გამოჰყავდნენ სანახაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამგორ, ჯგუფი, ჯგუფთან თანასოფლელები თითქმის ვერც ერთს ვერ ცნობდნენ. ასეთ შემთხვევაში სანახაობა მასურებელში უფრო დიდ ინტერესს იწვევდა და უფრო გულდასმით უყურებდნენ მათ მოქმედებას. სახალწლო მილოცვის ძირითად სანახაობას წარმოადგენდა „დათობანა“. ამ სანახაობას საქართველოშიც უჩვენებდნენ, მაგრამ არა სახალწლოდ. ქართულ-ოსური ტექსტების მიხედვით თითქმის ახლო დგანან ერთმანეთთან. პროფესორ დიმიტრი ვანელიძის ნაშრომის მიხედვით საქართველოში დათობანას თამაში ხტელოდ წე-ლირეაში ერთხელ, აღდგომის წინ, სანამ 48 დღიანი მარხვა დაიწყებოდა, ხოლო ოსებში „დათობანას“ აწყობდნენ ახალ წელს.

როგორც ვხედავთ, საახალწლო ალილოები (მგალო-ბლები) მრავლად იყვნენ ოს ხალხშიც. თითქმის ყვე-ლა სოფელში იკრიბებოდნენ ალილოების ჭფუფები და ქმნიდნენ იმპროვიზირებულ სანახაობებს. ისინი ახა-ლი წლის დღეს და ღამეს ჭარ მეზობელ სოფლებში უჩ-ვენებდნენ თავიანი ხელოვნებას და ხორავით დატვირ-თულნი ბრუნდებოდნენ შინ. ეს ხორავი წინასწარ შერ-ჩეულ შენობაში მიჰქონდათ, ევატყვიზოდნენ თანასო-ფელეებს და ერთად კოლექტიურ ნადიმს იხდიდნენ, ამავე დროს, სხვა ჭფუფს გახანინდნენ სოფელში, რომე-ლიც უჩვენებდა საახალწლო სანახაობას, ადრე ნაშოვნ სანივავეს ახალს უმატებდნენ და ღრეობა გრძელდე-ბოდა მთელი ეკირის განმავალობაში. სანადიმო შენობა — ნიხასის საერთო სახლში დღე და ღამე მუსიკის, ცე-კვა-თამაშის და სიმღერის ხმა არ წყდებოდა. სანახაო-ბა ერთიანი ფორმით სწორედ ამ შენობაში ტარდებო-და. დანა აკვისაში მცხოვრებმა არსენია ზაგავეამ ვაღ-მოგვცა თავის მამის ბარზო ზაგავეის ნაამბობი, რომლის მიხედვითაც, ნიხასის საერთო შენობაში სანახაობებს სხედანსხვა ჭფუფები უჩვენებდნენ სანადიმოურ. ვინც უკეთ წარმოადგენდა ამა თუ იმ სანახაობას, ცეკვას, სი-მღერას, უნიკის დაწვეტილი იყო პირი — ცხენი, ყონი, თვაირი, ქამარ-ხანჯალი და სხვ. თვითონ მამა-ჩემმა ბარზომ ვერცხლის ქამარ-ხანჯალი მიიღო ჯილ-დოდ. ამ ნიღბებით (ინფორმაციამა მანქენა პრინციპიუ-ლად დამზადებული დათვის, ღორის, თხისა და ცხენის ხის ნიღბები) ბარზომ ოსტატურად გაითამაშა შემდეგი სცენები:

- 1) დაჭრილი დათვი გამეცეხებულ ეომება გარეულ ნადირებს და, კრძოდ, გარეულ ღორს.
- 2) მგლისგან შეშინებული თხა პატრონს ავრინებს, რომ საშოში მტერი მოსვენებას არ აძლევს, რომ საშოვარზე წასვლისას მგელი აუცილებლად შესჭამს მას. პატრონი გამივ, თოფს ისევრის, გაისმის მგლის ბღაველი, თხა სიხარულით საშოვარზე გარბის და სხვ.

თეატრალური სანახაობების ჩვენებით გამოირჩეო-და ალდგომის დღესასწაული. ალდგომის საღამოსაც სო-ფლის ახალგაზრდობა კარდაკარ დადიოდა. ამერად მით უწოდებდნენ კონაზე მოსიარულეებს. ზაქარია ჭიჭინა-ძის გადმოცემით, ალდგომის ღამეს, ოსეთში, ახალგაზ-რდები მოელ ღამეს სიმღერით სოფელ-სოფელ დადიან. მათ ქისტეს ალდგომის მახარობლებს ეძახდნენ, ამი-ტომ რომელ ოჯახშიაც მივლენ, იქ უნდა აჩუქონ წილად შეღებლი კვერცხები, ყველი, ანდა სხვა რა-ბე.

კონაზე მოსიარულე ახალგაზრდების რიცხვი 20-40 კაცს შეადგენდა, ძირითადად მამაკაცები მონაწილეო-ბდნენ, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ქალიც გამოჰყავდათ ხოლმე, მხოლოდ მამაკაცის კოსტიუმში. მონაწილეთა წლოვანებას გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

საალდგომო რიტუალის, ეგრეთ წოდებული კონაზე

მოსიარულეთა სანახაობის სიუჟეტების ტექსტის ვარი-ანტები ხელო თხოუმეტამდე გვეკვს, ვინაიდან ისინი თით-ქმის ერთი და იგივე პრინციპზეა აგებული და ერთმა-ნეთს იმეორებენ, ამიტომ საილუსტრაციოდ მოგვეკვს მხოლოდ ერთი ვარიანტი.

წარსულში კონის აქტიური მონაწილენი, 93 წლის გიორგი კიოვეის (ქარევის რა-ნი მონაწილე) და 70 წლის ზურბეგ ზოზროვის (ლენინგორის რა-ნი სოფ. წირი) გადმოცემით, საალდგომო კონაზე გასასვლელ სამ-ზადის ათი დღით ადრე იწყებდნენ.

მიხეილ ჩუბინიძის შემოქმედებაში საინტერესო ადგილი უჭირავს კინოფილმებში განსახიერებულ როლებსაც. ასეთია ამ მრავალშრივი მსახიობის მიერ ნათამაშევი ნუგზარ ერისთავის სახე-სახეისბერ გოჩაში“ პეტრე „მიხაში“, ესპანელი გლეხი „შავ თოლიაში“, ქართველი მგზავრის ეპიზოდური როლი სპექტაკლში „არ დაიწყეს სადგური ლუგავია“, გამცემიძე „ოგაიონის ნ“-ში.

შემოქმედებითი ბიოგრაფიით, ფანრობრივ გმირთა გალერეის მრავალსახეობით ხვდება რესპუბლიკის სახალხო არტისტი მიხეილ ჩუბინიძე დაბადების სამოცდამეათე წელს. როდესაც თვალს ვავლებთ მსახიობის განვლილი ცხოვრების ჩაბ, დაწყებული პირველი როლიდან ჩამოყალიბებული სცენის ოსტატის მიღწევებამდე, ნათლად იკვთება მ. ჩუბინიძის აქტიორული მდიდარი შესაძლებლობები როგორც კომედიაში, ასევე დრამებში. ამიტომ მ. ჩუბინიძის შემოქმედება განსახიერებული გმირის არსებაში წვდომით, მხატვრული ზომიერების გრძობითა და მეტყველი პლასტიკით გამოირჩევა. შემოქმედებითი ენთუზიაზმით ანთებულ ამ უკვე ჭარმაგ ადამიანს, ახალგაზრდული ენერგითა და ჭეშმარიტი ხელოვნებით აღსავსეს, ჯერ კიდევ არ ამოუწურავს თავისი მდიდარი და ხალხი ნიჭი. ცხოვრობს აქტიური სცენური ცხოვრებით, გრძნობს გმირის ხასიათის სირთულეს და სიმარტლის გრძნობით განიცადის მის სულიერ სამყაროს. ამიტომაც თეატრალური ხელოვნების თაყვანისმცემლები მისგან კვლავ მრავალ საინტერესო ნამუშევარს მოეილიან.

**შენიშვნები:**

- 1 ს. გერსამია „სოხუმის თეატრი“, 1951 წ. გ. 104.
- 2 გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, 1943 წ. № 74.
- 3 გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, 1959 წ. № 248.
- 4 გაზეთი „სოკუესტკია აფხაზია“, 1957 წ. 7 მარტი.
- 5 გაზეთი „სოკუესტკია აფხაზია“, 1960 წ. № 33.
- 6 „საბჭოთა ხელოვნება“ 1965 წ. № 10 გვ. 45.
- 7 გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“ 1972 წ. № 77.

# მოქანდაკის პერსონალურ გამოფენაზე

## ნანა დრიაშვილი

„მხატვრის სახლის“ საგამოფენო დარბაზში მოეწყო რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის — მოქანდაკისა და გრაფიკოსის კიმი ტაბატაძის ნამუშევრების გამოფენა. ექსპოზიციის თვალის გადავლგებისთანავე ნათელი ხდებოდა შემოქმედის მრავალმხრიობა, ფართო ინტერესები როგორც ჩანაფიქრის, ნაწარმოებთა შინაარსის, ისე მასალისა და შესრულების ტექნიკის მხრივ. წარმოდგენილი იყო დაზგური და მონუმენტურ-დეკორატიული ხასიათის ნამუშევრები, განხორციელებული ქვაში, თხაშირში, ბრინჯაოში, გრაფიკაში კი გუაშით, პასტლით, აკვარელით, ფანქრით, ტუშით და ფლომასტრით.

სხვადასხვა დროს შესრულებული თითქმის ყველა ამ სკულპტურული ნამუშევრისთვის ნიშანდობლივია თანამედროვეობის შეგრძნება, პლასტიკური ოსტატობა, სახოვანი კომპოზიციები, მერწყვის თავისებურება. მოქანდაკის ძალღმს გარეგნული პათოსის გარეშე გახსნდა და გადმოსცეს განწყობილება. მისი კომპოზიციები ზოგჯერ უბრალო და მშვიდია, ზოგჯერ რთული და დინამიკური.

შეიძლება ითქვას, მოქანდაკის შემოქმედების მაგისტრალურ ხაზს წარმოადგენს სოფლის მშრომელის მხატვრული სახე. ეს თემა მისთვის ამოუწურავია, და არა მხოლოდ ქანდაკებაში. გლახთა სახეებს იგი ძერწავს ხან პორტრეტულ-ფიგურული, ხანაც ეპიკურული კომპოზიციების სახით. ამ თემაზე შექმნილი ნამუშევრებიდან ყველაზე აღრინდელია „მეხნე“ და „მწყემსი“. მეხრეს მხრებზე სახრე გაუდვია და ორივე ხელით ღონივრად აქვს ჩახლუჭული. იგი მყარად დგას მიწაზე, გლუხურ სამოსსა და წალეში ინაკეთება ტახტის დაკუნთული ფიგურა. მის სახეზე ნებისყოფა და ძალაა აღბეჭდილი. ღონივრია ხარის მასიური ფიგურაც.

მოსავლის სიუხვის სიმბოლურ გამოხატულებად იკითხება სკულპტურული ჯგუფი „ოლმეურნეები“. ისევე როგორც მოქანდაკის ზეერი სხვა ქმნილება, ეს ნამუშევარიც სოფლის მშრომელ ადამიანს ეძღვნება. თუ „მეხნე“ სიმშვიდით, სიღრმით გამოირჩევა, „ოლმეურნეები“, პირიქით, დინამიკური ქანდაკებაა. მოქანდაკე დეტალურად არ ამუშავებს სახეებს, მ:გრამ საერთო სახეიმი განწყობილება მათ საერთო იერში ადელი ამოსაცნობია.

ქანდაკეები „მეფუტკრე“ და „იმერელი წაღლით“ ძალზე საინტერესოა ტიპაის მხრივ. „მეფუტკრე“ — ტიპური იმერელია სახის თხელი ნაკეთობით, გრძელი უღვაშებით, მოკლედ შეჭრილი წვეთი და შუბლზე ჩამოფხატული იმერული ქულით.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგვაჩნია „უღელი“, რომელშიც თითქმის კიდევ უფრო მკაფიოდ შესისხა ხორცი მოქანდაკის იდეურ-მხატვრულმა ინტერესებმა, თანდათან რომ კლინდებოდა სხვადასხვა ნაწარმოებში.

„უღელი“ ალეგორიულადაა ჩაფიქრებული და მხატვრულ ხეიხად მომარჯვებულია ხარის შესაბამელი უღლის აზრობრივ-კომპოზიციური გ-მოყენება — ცოლ-ქმარულ-მეგობრულ უღელზე მისანიშნებლად. სწორედ ამ უღელ-

ზეა ჩამომდარი მოხუცი ცოლ-ქმარი. სხედან ვლებურად, — კაცს მუხლებზე უბრალოდ დაუწყვია ხელები, ქალს კი გულზელი დაუკრფვია. იშორებიან პირდაპირ, შორეთში. მრავალქირახულ სახეებში იკითხება ერთობლივი წარსული, ერთხარის ფიქრები და მიზნები. მათ გამართულ, თხელ ფიგურებს შემორჩენია ძალა და ენერჯია; — ერთი უღლის ქვეშ რომ დაუხოვავად შეალიეს მიწას ოჯახს, შეილებს და კვლავაც რომ შესწევთ უნარი ერთად გასწიონ ცხოვრების მიიმე ქაპანი.

ფიგურების პლასტიკურ დამუშავებაში ადვილად ამოიკნობა მხატვრის ჩვეული ხელწერა — სახის დამახასიათებლად მომარჯვებული ჰიპერბოლიზაცია. მაგრამ ეს ხერხი აქ უფრო შერბილებულია. მოქანდაკე ფაქიზად გადმოგვეცემს ხანდაზმული მამრალი ადამიანების გამხდარი სხეულის ფორმებს. კვლავ მეტყვევია ტიპაჟი, სახეთა იერი, სამოსით; თავსაბურავით, ისინი იმერეთის წარმომადგენელი არიან.


გამოფენაზე ყურადღებას იზიდავდა აგრეთვე ისტორიულ პიროვნებათა საინტერესო პორტრეტული სახეები: „დავით აღმაშენებელი“, „მეფე ფარნაჯი“, „არსუციე“, „ბესიცი“

ქანდაკებები სხვადასხვა მასალაში შესრულებული და კომპოზიციურად გახსხვავებულად გადაწყვეტილი, მაგრამ აქვე ერთი საერთო ნიშანიც: ეს გახლავთ ღრმა რეალისტური გადაწყვეტა. შინაგანი ძალა, ნებისყოფის სიმტკიცე და სულიერი წონასწორობა, რაც საერთოდ ახასიათებდათ ამ პიროვნებებს. დიდებულ სიმშვიდეს და მონუმენტურ სიდიადეს ანიჭებს პორტრეტებს.

მათგან სრულიად განსხვავებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის სახე. ფიგურა გამოირჩევა დინამიკურობით, მისი ფორმები, ხაზები მღვლეარე, მოძრაია. პოეტის შთაგონებული პოზა—მკვეთრად ვერძზე გადახრილი თავი, მაღლა აწეული ხელის ფესტი, სახის გაიმეტყველება გაძლიერებულია ქარისაგან აწეული თმებისა და გააფრიალებული მოსახსნით, რომელიც პოეტის მშფოთვარე სულითან ასოცირდება.

მოქანდაკე სეულბტურულ სახეებში ხორცს ასხამს თანამედროვეობისა და ისტორიულ მნიშვნელოვან მოვლენებს. ომისადმი მძაფრ პროტესტს გამოხატავს ქანდაკება „არა — ომს!“ ეს საინტერესოდ გადაწყვეტილი კომპოზიცია გამოხატავს შუაზე გახლეჩილ დედა-მიწის სფეროს. ატომური აფეთქებით ავარ-

არა — ომს!  
ფარნაჯი



დწილი ალის ფონზე დგას ხელეგამწილი მამაკაცი, რომელიც განწირულად კივის: არა და თიქოს თვისი სხეულით სურს დაიფაროს კაცობრიობა ომისგან, ატომური განადგურებისგან. ტრაგიზმითაა გამსჭვალული მთელი ქანდაკება და ამ ტრაგიზმს აძლიერებს ქოლგასავით გწილი პლასტიკური მასა, ცეცხლის ალის ეწებს რომ წარმოსახავს.

და როგორც ადამიანის მარადიული არსებობის, მისი ლამაზი სიცოცხლის რწმენა, გამოფენაზე ერთმანეთს ცვლიდა დედაშვილობის, შთამომავლობის, სიცოცხლის გაგრძელების თემები. სწორედ ამ თემებზე მოქანდაკეს შექმნილი აქვს რამდენიმე მეტყველი ნაწარმოები, მათ შორის „მეგვიდრე“, „ბაბუა და შვილიშვილი“, „დედა და შვილის“ ორი კომპოზიცია.

თუ პირველი ორი ნაწარმოები რეალისტური დაზგური ქანდაკების პრინციპითაა გადაწყვეტილი, დედაშვილური სიყვარულის თემაზე წარმოდგენილი ქანდაკებები დეკორატიულ-აბსტრაქტული ხასიათისაა. პლასტიკური მოცულობანი გამარტივებულია და ვანზოგდებულ-განყენებულ ხასიათს იძენს. გამომსახველობითი ენა გამოირჩევა პირობითობით. ერთის მხრივ, მკვეთრად გამოიყოფის ნაწილები, რომლებსაც არსებითი დატვირ-



აკვარიუმი  
ბაბუა და შვილიშვილი  
დელობა





თვა ენიჭებათ შინაარსის გახსნაში, ხოლო, მეორეს მხრივ, უარყოფილია სხვა, მნიშვნელოვანი ანატომიური დეტალები, კერძოდ სახის ნაკეთები. «დღეა და შვილი» ხასიათდება უკიდურესი სისადავიო და განზოგადებით. იგივე გამომსახველობითი ხერხებია გამოყენებული მეორე, ანალოგიურ თემაზე შექმნილ, მაგრამ კომპოზიციურად განსხვავებულ ქანდაკებაში.

არანაკლებ მხატვრულ ისტატობას აქვდა ნენეს კომი ტაბატაძე გრაფიკაში. იგი თანაბარი სიძლიერით ფლობს სხვადასხვა ტექნიკას — გუაშს, აკვარელს, ტუშს, ფანქარს, ფლომასტერს. ისევე, როგორც ქანდაკებაში, გრაფიკაშიც შემოქმედის შთამბავნიბელია სამშობლოს, თავისი ხალხის დღევანდელი და სახელოვანი ისტორია.

ერეკელია საქართველოს პეიზაჟების თემაზე შექმნილი გრაფიკული ციკლი. ამ ნამუშევრებში, ფერებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონტურებს. თითო კომპოზიციური წყობაც ორიგინალურია: საფუძვლად უდევს გრაფიკულ-დეკორატიული პირობითობა. კლანკილია ხაზი ქმნის თავისებურ ჩარჩოს, რომელშიც მოქცეულია ძირითადი პეიზაჟური მოტივი. მაგრამ კადრს მიღმა გატანილია საგნების, დეტალების ცალკეული გამოსახულება.

ამ პრინციპითაა გადაწყვეტილი პეიზაჟები — ხედები „საქართველო“, „წისკვილი იმერეთში“, „ხარაგოლი“ და სხვ.

კომი ტაბატაძე ვაჭაყვითი მუშაობს რთულ გრაფიკულ კომპოზიციებზე, რომლებშიც იგი გაბედულად მიმართავს პირობითობას, ასოციაციების პრინციპს.

ერთ-ერთი მებრველი გრაფიკული ნამუშევარია „რიტმი“ (გუაში), რომელშიც მხატვარს სურს აღბეჭდოს პლასტიკურ-ფერადოვანი რიტმის სილამაზე და გამომსახველობა. მუქწითელ-მწვანე ლაქების ფონზე ვხვდებით ჰორიზონტალურ მწკრივად განლაგებულ შიშველ ფიგურებს, ნაირნაირი პოზებშია და მოძრაობებში. დინამიკას აძლიერებს მოძრავი თეთრ-ვარდისფერი ფიგურების შავი კონტურები. ადამიანების ფიგურებს ვხვდებით სულ სხვადასხვა ბრუნით: ფასში, პროფილში, სამყოფთხედში, ზურგით. იქმნება დამაბნობელი იტალიური რიტმი.

გრაფიკულ პორტრეტებში ფაქიზადაა გადმოცემული განწყობილება, რასაც ხელს უწყობს ფერადოვანი გამის ემოციურობა. მუქ-ლურჯ და მომწვანო ტონებშია გადაწყვეტილი „აკვარიუმი“ და „განცვიფრება“. ტიპაჟის მხრივ საინტერესოა „მეცხვარე“ — რელიეფურად ნაძერწ ნაკეთებით, ჭაბუკის გულურყვილი გამოიმეტველება გულბო-

ლად განაწყობს მნახველს, ადამიანური სითბო გამოსკვივის „იმერელის“ სახეშიც.

ამალღებული პოეტურობით ხასიათდება შოთა რუსთაველის და თამარის პორტრეტები. დღევანდელი სახის ნაკეთები ხაზს უსვამს მათი შინაგანი საწყაროს სინატიფესა და პოეტურობას. მომწვანო-მოლურჯო და მოლურჯო-ყავისფერი ტონალობა ამ ნაწარმოებებს თავისებურ იდეალუბას ანიჭებს.

ხანდაზმული ადამიანის დსიკოლოგიური მდგომარეობა დამაყვრებლად არის გადმოცემული ნამუშევარში „მოხუცი“. მოხუცი კაცობის ნამჯდარა, იდაყუები მუხლებზე დაღურდნია და ხელის დიდი მტევენები მუშტებად შეურავს. რაღაც დარდისა თუ ფიქრის გამო თავი მხრებში ჩაურგავს. სახე თუმცა არ უჩანს, მაგრამ გრძობს მის სულიერ მდგომარეობას. ნაწარმოები ძალზე ფერწერულია — შინაარსის გახსნა ფერებითაც დიდადაა გაპირობებული. ფიგურის პლასტიკური ფორმები ამოყვანილია მოწითალო-ვარდისფერი, ღია ვარდისფერი, თამბაქოსფერი ტონებით. ფუნჯის ფართო მონასმები ლაქებს წარმოქმნის და თითქოს ეხმინანება მოხუცის სულიერ მდგომარეობას. მოწითალო-ვარდისფერი ფონი აქა-იქ შერბილებულია მწვანით და ღია ყავისფერით.

გამოფენაზე მრავლად იყო წარმოდგენილი გრაფიკული ჩანახატები, ეტიუდები, ესკიზები ქანდაკებებისათვის, მცირე სკულპტურული რელიეფები, შესრულებული ხეში, ქვასა და თიხაში. ყოველ მათგანში იგრძნობა მოქანდაკის გაწაფული ხელი. თითოეული თავისებურად საინტერესოა.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ ამ გამოფენიდან უკვე ნაცნობი იყო დამთვალიერებლისათვის. კომი ტაბატაძე ხომ უკვე მრავალი წელია მონაწილეობს რესპუბლიკურ, საეკშირო თუ საერთაშორისო გამოფენებზე. მისი ნამუშევრები არაერთხელ ყოფილა პრემიერული, კონკურსში გამარჯვებული, ან საპატიო დიპლომით აღინშნული, მაგრამ მხატვრის პერსონალურმა გამოფენამ სრული შთაბეჭდილება შეგვიქმნა ამ მებრველ საინტერესო და მრავალმხრივ ხელოვანზე.

# მკაცრი

# სიმაკრილი

## ეთერ გალუსტოვა

სტენაზი გამოსვლას „პრემიერა“ კარგა ხანს ელოდა. დაყენებამ, საბედნიეროდ, ორი შემოქმედი — დრამატურგი ლალი როსება და რეჟისორი მედეა კუჭუხიძე ერთმანეთს შეახვედრა, ამ შეხვედრით მოგებულნი დარჩნენ ყველანი — თეატრი, მაყურებელი, დრამატურგა.

ამჟამად უკვე მათი ერთობლივი „პროვიზიციული ამბავი“ გათამაშდა, გათამაშდა და მისდამი ინტერესი სპექტაკლიდან სპექტაკლამდე იზრდება. ლალი როსებას სახელი თბილისელ თეატრალთა საბუღალროშია დაკავშირებული.

დაიხ, დრამატურგმა უმაღლეს ალაპარაკა საზოგადოება, გაიჩინა როგორც მოკავშირე-მომხრენი, ასევე მძაფრი მოწინააღმდეგენი. ერთი ამბობს, ახალი ნიჭიერი დრამატურგი გამოჩნდაო, მეორე ედავება, როგორ შეიძლება ამგვარი პიესის თეატრის რეპერტუარში შეტანაო. გულგრილი კი მის მაყურებელთაგან არაიან დარჩენილა.

ლალი როსებას დრამატურგის ოპონენტთაგან მავანიც საქმიად მკვეთრი საფუძვლიანობით მსჯელობს: მისი თეატრული ინტერესები მარტოოდენ თეატრალური სამყაროთი შემოფარგლდება, ამ ცხოვრებასაც არატიპიურად გვიჩვენებს, ყველგანს შავი სათვი-

ლით უყურებოს. აქვე ისანი თავისებური განსვით განაგრძობენ: ასე ვიწრო სამჭრული ინტერესებით ერთობ სპეციფიურად ხომ არ წარმოვიდგება თეატრალური სფერო და, საერთოდ, არის კი საჭირო, ამდენად გავაშვილოთ სცენის მსახურთა სულმდაბლობა, სიღარიბე სულისა, ჩამოვგლიჯოთ მას ის რომანტიული საბურველი, მაყურებლის წარმოდგენით რომ გააჩნია მსახიობის პროფესიას, შრომა-გარჯასა და ქვეშარტ ინტერესებს?

მაინც ვინ არიან როსებას გვირბენი? ნიჭიერი, მაგრამ ცხოვრებაში არეულ-დარეული, მოუწყობელი, ადვილად გულდაკადილი მსახიობები, ცეცხლადი ბუნება-ხასიათის, შერიანი, ბევრ რამეს რომ იკადრებენ, ოღონდაც თავისი გვარი სახელგანთქმული ლიტერატურული ან დრამატურგიული გმირის სახელის თანახმად სტრიქონთან იხილონ. ისინი არ იღლებიან საკუთარი ზედ-იღბლის სამდურავ-წუწუნით, სიტყვით წყველა-კრულვით ავსებენ „სახიზლარ“ თეატრს, მაგრამ თუ უთეატროდ რჩებიან, სიკვდილმისცილებს ემგავსებიან. მათ შორის ცოტა თუ ბევრად ბედნიერი აღამაინი თითქმის არავინაა. მით უფრო, ისეთი მოღვაწე, თავისი ეპოქის უპირველეს გარსკვავად რომ ანათებს, ვის სადღივადღადაც მაღლიერი მაყურებელი სცენას ყვეილების ნიღვრით ავსებს, ვინც მხაცების „წითელ წვიშიში“ ეხვევა.

არა, ასეთი საზეიმო, თვალწარმაცვი, ლამაზი სცენები როსებას პიესებში არ გვხვდება, რადგან მას არ აინტერესებს თეატრალური ლეგენდები, არ იზიდავს სცენის გენიოსთა და, საერთოდ, ხელოვნათა მითები. მართალია, იგი ხმას იმალებს, მაგრამ მხოლოდ თეატრის რიგით მუშაკებზე, თანაც არადედაქალაქის მასშტაბით, სამიზნეზე გეოგრაფიულად ზუსტად პროვინციული ქალაქი უჩის.

ლალი როსებასთვის თეატრი — ბავშვობაა, მსახიობები — ცხოვრების თანამოსაზრბენი არიან, სცენა — შობილების, ახლობლების, უმრავლესად ნაცნობების პროფესიული სახალია. იგი თეატრში შევიდა კლუბისებრი, ზედმიწევნით რომ იცის და ემოციურადაც ახსოვს ყველაფერი ტყვილის განცდით, სულის ვიცილობ, სიძულვილის აფეთქებით. ამას ემყარება ფერების გამქეპება, მძაფრი ხასიათები, შეულამაზებელი კოლორიტი. ყოველგვარი თეატრალური დამქერი ფინჯელი გულისყური საშუალებას აღწევს მას გამჭოლი მხერით ღრმად ჩაიხედოს მსახიობის გულში, გაიგოს მისი სულის რბევა,

განალიზოს გრძობების ბუნება, ვაზომოს ყოველდღიური განწყობილება.

რისგანაც ცხოვრებაში თეატრალური შემოქმედება ისტორიითაც, ლიტერატურის წყაროებითაც და, განსაკუთრებით, დრამატურგიის მეშვეობით. იგი პიესებს მათი ცრხა ცოდნით წერს, თავისი აზრებისა და ცხოვრების გამოცდილების საყრდენს დრამატურგიის მსოფლიო შედეგებში ეძებს. თუ დრამად გავანათავუთ, მათში გამოკრთება გავლენა ჩეხოვისა, გოტკისა, იბსენისა... შეიძლება სხვა სახელებიც გავგეხსენებინა, მაგრამ სრულებითაც არა იმ აზრით, თითქოს მათი მიზანია, ცნობილ სქემათა და დრამათიკების ფორმალური ნიმუშების განმეორება იყოს ლალი რისგანაც პიესების ღირსება. ცხოვრება, რომელსაც იგი შემოაჩვენებს სცენაზე, იმდენად ჭეშმარიტი და აწერულად გაზარებულია, რამდენადაც მასხიობებისა და მთლიანად თეატრალურ ხელოვნებაზე დაწერილი ყოფილი პიესა გადაიზრდება საერთოდ საზოგადოების ზნეობრივი თემის სერიოზულ განსჯად. ასე ვადადის მეორე პლანზე ის, თუ რა პროფესიისა არიან მისი გმირები, წინ წამოიწევეს საერთო ბრძოლა ზნეობრივი გმირისათვის და ლამაზი ადამიანური იდეალებისათვის.

„პროფინციულ ამბავში“ ხელი მოქმედი პირია, აქედან ითხი მსახიობია, მეხუთე კი — ტენობი ლოთი. მაგრამ, როგორც „პროფინციურში“, ლ. რისგანაც აქაც მოქმედების ადგილად თეატრს არ ირჩევენ, თეატრს თეატრში არ ათავაშებენ. სცენაზე ომისშემდგომ წელთა მძიმე პერიოდის ჩვეულებრივი ბინაა, რომელიც შეიძლება ყოველგვარი პროფესიის ადამიანებს ეკუთვნოდეთ. ასე ახლა აღარაქნის ცხოვრობს, მაგრამ რეჟისორი მედია ექვტუხიძე და მხატვარაა სამეულ მისაზა გათანამედროვებამ ვერ აცთუნა, მთი უფრო მეტადრო ინტერიერი არ შემოკვავავს. დარწმუნენ რა ავტორის რემარკას ერთგულნი, მათი მოიოცნებეს ყველაზე უბადრეუკი, მისაზახტრებული ბინა.

თვითონვე განსაჯეთ. პიესის მოქმედება იწყება და მთავრდება წვიმის წვეთების წყარუნით, რისთვისაც საგანგებოდ დგას ტამბტი. წვიმის წვეთები თავისებური არზია აქაური ცხოვრების. ეს მარტო წვიმის წვეოები არც არის, თითქოს ამ სახლის ბინადართა წუთოსდელიც ტირის და მისი ცრემლები ცვივა სულის ტამტზე ასე წყარუნით. წარზოდგენაში ასევე „მოქმედებენ“ ნავთქურა, სარკების თოკი, წინა პლანზე კი სხვადასხვა კომუნალური დანიშნულების ვერტიკალური მილები. კომპოზიციის ცენტრში — თითქმის მუდამ აულაგებელი სასადილო მაგიდა, ქუქკიანი ჯამ-ჭურჭლის ხროვა, ბინის კუნჭუ-

ლებში გაფანტული სახლის ბინადართა ფრტოსურათები. მაგრამ ისინი არ დომინირებენ ბინის მოწყობილობაში, კი არ ათბობენ ატმოსფეროს, არამედ თითქმის მხოლოდ თავისთვის არსებობენ.

აქ ყველაფერი უნდა და ულამაზოა, მოუწყობელი და მოუხერხებელი, არ სუფევს სიმყუდროვე, მშვიდად ვერ იცხოვრებ, გეგმაზომიორად, სასიამოვნოდ. აქ შემოშეტებული ანონიმური ლოთი სრულდებათაც არ ჩანს ზედმეტი, არ გაღიზიანებთ თავისი არსებობით, ჰარმონიის არ არღვევს. ყველაფერთ ჩანს, რომ ამ ბინის ბინადარი გამოირჩევიან უზრალეგბით. კარი მუდამ ღლია, აქ მუდამ უბერავს ორბირი ქარი, სულეირ სიცივესაც რაზ იწევეს.

მწელი ცხოვრება არ უჭირთ ორმოც გადაცილებულ ლეოს (ო. მეღვინეთუხუცესი), მის ცოლს ნინოს (ნ. გაბუნია) და ახალგაზრდა ზონის (ნ. ჩიქვინიძე). როგორც შემდგომ გაირკვევა, მათ ისევე ანუტრევენ ცხოვრება, როგორც ოლრო-ჩოდრო გზაზე მიმავალი ეტლი. ისინი მარად უქმყოფილონი არიან, უცებ აენთებან ზოლზე, ადვილად ღიზიანდებიან, მაგრამ ასევე ადვილად გადადიან ერთი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან მეორეში (მსახიობის პროფესიული უნარია ეს). ისინი ელოდებიან და ეს მოლოდინი არც არასდროს თავდება, როცა გაუ-

ზონი — ნ. ჩიქვინიძე, მერმანი — ე. მახარაძე





ნინო — გ. გაბუნია

ლიმებთ ზედი, მთავარი რეჟისორი შეამჩნევს და ირწმუნებს მათ ნიკს, გადასცემს სქელი რვეულით დიდ როლს. ასე მოუღება ბოლო უფერულ არსებობას და ისინი ანაზღაურდებიან წარმატებად მოულოდნელად მოვა, ასევე აღიარება, ახრი მიეცემა ცხოვრებას, იზიჰემს ადამიანური სიხარული. მათ უფლება აქვთ შემოქმედებით ბედნიერებისა, ჭეშმარიტი და შესაფერისი სამუშაო სწავლიათ, ისინი ხომ ნიჭიერები არიან.

განვიღომა ცხოვრებამ თითოეულს უკვე დაამჩნია მწელადნამოსარეცი ლაქა. დაუკლებლობამ და ძალ-ღონის უმნიშვნელო აქვებზე პაიპარად ფლანგვამ, გაუთავებულმა მოლოდინმა და ხელმოკარულობამ ლეო აქცია ცინიკოსად, მიაძალა ღვინოს და ქალთა საზოგადოებას, ყოფა-ცხოვრების ზნეობრივი საფუძვლები იმდენად შერევა, ზიზის ლოგინში შეჭრომაც არ ითავილა. არ იცის, რითი დამალოს სულიერი სიცარილე იგი, რომ, ამავე დროს, თავისი მსახიობური თუ ადამიანური რენომე არ დასცეს ძირს. იგი მასპარას ნიღაბს იკეთებს, ოხუნჯობს, ლაზიანდარობს, ასე „იმისებურებს“ უფლებას, ილაპარაკოს თავისი სიმაართლე, იყოს გულწრფელი, უხეშობამდე და უხამსობამდე სწორხაზოვანი. მხოლოდ ამგვარად იძიებს შურს საკუთარი ცხოვრების მოუწყობლობასა და კარიერისტულ ხელმოკარულობაზე.

ყველაზე მეტი დავიდანაბა და წყენა მისიგან ხედება ნინოს, სილამაზე და ხასიათი დაკარგულ ქალს, წვრილმან თეატრალურ და საოჯახო საზრუნავში მთლიანად რომ გათქვეფილა. ამ ქალს ისე უშლია ნერვები, წამდაუწყებ ტირის. იქნებ შეგება სწორედ ცქემლებში მოუღობს? ნინო თავისიანებს ისე უფლის და პატრონობს, როგორც კრუხი

წიწილეს. შინაურების ურთიერთობაში ჩენილ ბზარებს ამოუღესას არასდროს მოხერხდება. საკუთარი თავის მოსაველად ერთობ ცოტა დრო რჩება — უნდა დაამშვიდოს, მერე კი თეატრთან და ცხოვრებასთანაც შეარიგოს აღვირახსნილი ლეო, ზიზი თავისივედ მისი საპატრონოა, ლეოს და ზიზის ურთიერთობის მოგვარებაც მას ევალება. სხე-ქტაკლში ნინო-გაბუნია არასდროს იშორებს შეგებრა მელის ბეწვს, იღბავს ფრჩხილებს. სწავლია, მუღამ გამოიყურებოდა ჩაცმულ დახურული და მოცილი-მოწესრიგებული, თუმცა უკვე უშოდ მიდი-მოდის, გაფარინხელად, და თეატრში წასვლის წინ წინსაფრის მოხსნაც კი ავიწყლებდა...

რაც შეეხება ზიზის, ისეთ ასაკშია, როცა მომავლის რწმენის დაკარგვა არამუნებრივია, მით უმეტეს, მას სცრა თავის ბედს ვარსკვლავისა. სხვა ცხოვრებას იგი სხვებზე მეტად ესწრაფვის, აქედან გაქცივის გზას ეძებს მუღამ. მისი წინააღმდეგობა და აღმფრთხილება ისტერიკაში გადაიზრდება ხოლმე — ეს თავისებური კვილია, მიშველეთო. ზიზიმ იცის, არასაინტერესო ადამიანებას და მოვლენებს როგორ განერიდოს, უყვარს კოდც თავის შემოღობვა გარე სამყაროსაგან, განკერძოება, საკუთარ სამყაროს იცავს და უფლის, შოგ ყველას არ უშვებს. ამავე დროს, გატაცების ადამიანია, გროზნობამერყევი ენებათა ღელისას. ოცნება და მუსიკა ერთნაირად იტაცებს და ატყვევებს, განსაკუთრებით რომანტიკულად ემოციური. ამიტომაც ისმენს ასე ხარბად Miserere-ს ჯ. ვერდის „ტრუბადურდიან“. იგი შეიძლება მხოლოდ საკუთარმა მაქსიმალიზმმა გადააჩინოს.

სამივესათვის, მაგარამ სხვადასხვა განზომილებით, კატალიზატორი გახდა მურმანი (ჯ. მახარაძე), რომელიც მოწმენილი ციდან მების გაგარდნასათვის შემოაჭრა აქ. რაც უნდა მოეუტეოთ, ვაპატოთ, რადან მან მოქმედების განვითარება უშლევ დასძადავილიდან. იგი მოვდა მათი წარსულიდან, სადაც მან გამოიჩინა მტკიცე ხასიათი და არჩვეულებრივ აქტიურულ ნიჭთან შერწყმული ცხოვრებისეული ალღო, ყველასთან დაახლოების უნარი. როგორც ზოგიერთი, მასაც ეხერხებოდა თავის გამოჩენა, მყურებელთა აღფრთოვანებული სიყვარულისა და თავყანისკემის გამოწვევა, მაგარამ გაუეთა რა კარიერა, უცებ დიდქალაქისკენ გაფრინდა. შემდეგ ჩამოდა პაუზა, დიდხანს აღარავის სმენია მისი სახელი და, აი, ახლა უკვე ზიზის ტახტზე წევს. ნამზავი ისევ ნებს.

მისმა ჩამოვლამ თეატრი მოქმედ ველკანს დაამსგავსა — როგორ მოიქცევა, რას

თამაშებს, პარტნიორებდა ვის აიყვანს. გაჩნდა ვარაუდები, ჭორიკული მოთქმა-მოთქმა, მოლოდინი. მურმანის გამოჩენამ ლეო ალმფთია, უმაღლესი შეიზოზა იგი, რაღაც შინაი და თეატრში თავის მეტოქედ მიიჩნია. სამაგიეროდ, ნინოს გაუჩნდა რაღაც იმედო.

მურმანის სახელთან დაკავშირებით ყველაზე დიდი სასიკეთო მოლოდინი ზოზის ჩაესახა გულში. მას ხომ თეატრი ბავშვობიდანვე მურმანის თამაშში შეიყვარა, ყმაწვილქალების დროინდელი მისი ოცნება დიდ სიყვარულსა და დიდ ხელოვნებაზე სწორედ ამ ადამიანის სახედ იქნა პერსონიფიცირებული. ახლა კი თითქოს თვითონ ბედმა გამოუგზავნა ეს სულის თანაზიარ-მონათესავე ნატურა მის მუდმივ მოლოდინსა და სწრაფვათან შესახვედრად. ეს კაცი წარმოესახა სულის გამაჯანსაღებელ და მაცოცხლებელ ნიაჟ-ქადად, მასთან მოვარდნილ ახალ ტალღად. ამ ადამიანთან შეერთება ბედნიერებას გამოტანსო, მაგრამ... მურმანმა არავის ვერპართლა იმედი, თავის თავსაც კი. ადამიანის მგლოური სიხარბის მსხვერპლი, ახლო წარსულში ავერისტი და დამანაშვე, იქცა ანგარიშთან შვიშარად და ახლა უკვე ზნეობრივადაც გაკოტრდა. მურმანს აღარ შეუძლია ადამიანებს შეება მოუტანოს, მით უმეტეს, სიხარული. იგი ერთობ ცვალებადი და არასანდოა. რა სულმდაბლურად გასცა დები, როგორ განერიდა ლეოსთან პირისპირ შეხლას. მორაბურღად დეგრადირებულ ლეოსაც კი არ შეუძლია აპატიოს მურმანს ამგვარი კაპიტულირება. აქ ისიც საგარაუდოა, იქნებ ლეოს სწორედ ახლა პატივით სჭირდებოდა პირისპირ შეტყინება, ჭიდილი და ბრძოლისათვის შემართება. ერთი სიტყვით, მურმანი ოჩოფუნებზე შემდგარი კერპი აღმოჩნდა. მაგრამ ავტორის აქ არ გამოაქვს საბოლოო განაჩენი, მოითხოვს მურმანის იმ შემწყნარებლობას, რასაც გამოითხოვებისას ზოზის ემუდარება იგი.

ურთიერთგაგება და პატიება, ურთიერთგაგება და თანაგრძნობა უნდა შეეძლოს ადამიანებს, ესაა სულის სილამაზე. მაგრამ ცხოვრებაში დღეება ხოლმე კრიტიკული მომენტები, როცა პატიება დღაღის — საკუთარი თავისა, ახლობლების, შენი რწმენის, შენი სიყვარულის — დაღატაკებული ფუნდარდია. თუ შეიყვარებ — პატიებასაც ისწავლო, ეუბნება და ზოზის, მაგრამ იგი არ დაადგება პატიების გზას. აი, მითა უკანასკნელი შეზეება რა სექტაკულში: ზოზი-ჩიქვინიყ პირში მიახლის მურმან-მხარაქეს ყველაფერს, მისი რა სიგლახეც შეიტყო. ერთი ბრალდება, ორი, სამი. ფარხმლდაყრილი მურმანი იმას-

და ემუდარება — არ დამივიწყო. და, აი, აქ მიხვდა ზოზი, რომ მათი ურთიერთობის სასაზღვრო ხაზთან იდგა, წამიერდა თავის გრძნობებს ვერ მთერია, მიუახლოვდა და დაუწყუი პირისპირად აუღრის... წამიც და, იმ ადგილას, სადაც კაცი იდგა, დაბნელდა — იგი მისი ცხოვრებიდან წავიდა.

მოსხა ერთდროულად გარდაუვალი ამავეი და გამოუსწორებელიც. მურმანი დაახკ წვიდა, მაგრამ საღაა წვიდეს ზოზი, როგორღა და ვისთან იცხოვროს? პიესის ამ მნიშვნელოვანი იდეურ-აზრობრივი მომენტის ეამს ლალი როსებას მოქმედების ავანსცენაზე გამოჰყავს სტუმარი, თითქმის მთელი სანი მოქმედება მთავარი რომ იქცა იატაკზე.

სტუმარი ადამიანთა სულმდაბლობისა და უნებისყოფობის უნებლოც ვერ მოხვდება. მის თვალწინ ზოზიმ აფრენა ვერ მოასწრო, ძირს კი თანდათან ეშვება და, ღმერთმა უწყის, კვლავაც რამდენხანს გაგებულდება მისი დაეცემა. ჰოდა, სტუმარი, როგორც ადამიანი, ალაპარაკდა საკუთარი ტყვილით, სხვების ტყვილით, ისეთების ხეაშიდიო, როგორც ზოზია. თუ პირველი მოქმედებისა ადამიანის ღირსების საიდლებად აღვლენილი მთვრალი კაცის პათეტკა ირონიად და ბოღდად აღიქმება, ფინალში უკვე მისი სიტყვები, მიუხედავად გაუმართაობისა, სერიოზულად ქლერს, ფხიზელი გუმინთაა განათებული. იგი გვიჩვენებს, გვაფრთხილებს, გვიხსნის — სხვის დახმარებას ნუ ელოდები, ნურც ბედის ღმილსა და მოწყალებასო, არსებობის ბედნიერებისათვის, მომავლისათვის ცხოვრებაში თვითონვე უნდა იმოქმედო და იბრძოლო. ასეა საჭირო, საჭირო, საჭირო! და, თითქოს თავისთვის რაღაც ვადაწყვიტაო, იგი ენერგული ფაქტუვით აპირებს ოთახიდან გაქცევას და შეცდომით, როგორც მთვრალს სჩვევიათ ხოლმე, სინეულში ჰგონია რა გასასული კარი, კარადის კარს აღებს. გონს მოსული სწრაფად ასწორება შეცდომას, კარის კარს ეტეკვს, მოულოდნელად თავის პირისახეს წააწყდება სარკეში და შეპირუნდება — უსახური სახე შემოჰყურებს მას, ადამიანი — არაადამიანური იერით, ეს არის სახე-ბრალდება, სახე-პროტესტი. შეუყვარებს, შეაგინებს კიდევ თავის თავს, გინებაში ზოზის წინაშე ბოდიშის მოხვდაც შეუტრებს და ტუნ მოუხედავად საღააც გაიქცევა, რათა გაექცეს თავის წარსულსა და აწმყოს. ამ თითქოსდა პატარა რეჟისორულმა შესწორებამ, გზო სიხარულებიყ დიდი ისტატობით რომ გაითამაშა, ეპიზოდს უმაღლეს მასშტაბი და დრამატული დაძაბულობა შესძინა, კერპო პროინციული ამავეი საკაცობრიო ზნეობ-

რივ პარამეტრამდე გაზარდა და გაამსხვილა. მეჩედა, როგორ მოვიგო ამ გაზარებით ამის მომღვეწო მუნჯმა სცენამ — დასკვნითმა აკორდმა, ადამიანისა და ადამიანურობის სერიოზულ თემაზე გამართულმა არცთუ ისე უბრალო საუბარმა.

სტუმრის ვაქცევის შემდეგ ზიზი-ჩიქვინიძე წამოიშართება მაგიდიდან, სადაც უწესრიგოდ დახვედებულია ჩამკურბული, მთელი არამაღის ბოთლებსა და ჭიქებისა, წელს გამართული და თავაწეული სულში იჭერს მურმანის ნაჩუქარ ტოტს და ოდნავი ღიმილით, ცრემლიანი თვალებით უტყუარს მათურებელთა დარბაზს. იგი ამ დროს მთლიანად იმედის შექითაა გასხივისნებული. შიშველი ტოტი ამჟამად აღიქმება გაზაფხულის იმ ჭორბად, ზედ ყლორტები და კვირტები ოდნავ რომ ემჩნევა. ზიზი-ჩიქვინიძემ ამ ტოტს ჰაავს, მას ეწეება ხვალნდელი დღე. ჩვენ ახლად მისი ისევე გვკრია, როგორც მთელი წარმოდგენის განამჯობობაში გვწამდა.

5. ჩიქვინიძემ ვინც არ უნდა ითამაშოს, გვირის უხამსობა თუ ჭუჭუი მას ვერ ეკიდება, არ უტყება. ამ მსახიობს აქვს ბავშვური გულწრფელი მიმნდობლობა, რაც ასე ინადრებს მაყურებლის გულს. წრფელი ემოციის და მართალი სცენური გუნება-განწყობილების წყალობით მისი სულის ჰა რა ძლიერადაც არ უნდა შერბეს, მხოლოდ ზედაპირზე იმღერევა; ფსევრტე კი წყალი მუდამ გამჭვირვალე სიწმინდე ინარჩუნებს. გავხსენოთ, როგორ გაითამაშებს იგი წარმოდგენის ერთ-ერთ ყველაზე ანელ სცენას, ძნელ ზიზის ნაქციელის გამართლების აზრით, როცა სწავლა გვირის გულსიტქმის სიწმინდე ვაკეიზილოს. მსგდელობაში მაქვს ზიზი-ჩიქვინიძისა და მურმან-მახარაძის სასიყვარულო პაემანი.

მორთულ-მოკაზმული ზიზი თავის ტახტზე ზის და ჯ. ვერდის „ტრუბადროს“ მეოთხე მოქმედების დღეტე უსმენს. ეს მუსიკა არა მარტო ზიზის სახეს გასდევს ლეიტმორტივად, არამედ, მთელ სექტეტკლასს, როგორც მასში შესული სიყვარულისათვის, მისი მხვერპლ-შეწირულობისა და სიწმინდისათვის ბრძოლის თემა. ქორალის ფონზე, ცოდვლო სულის შენდობას რომ თხოვს, ლეონორასა და მანრიკოს მშფოთვარე დღეტი ისმის. ვასკლით წარმოდგენაზე ნინოს წასვლის შემდეგ მუსიკა მთელი სიძლიერით ეღერს, საოცარი სურნელებით ავსებს მთელ სცენას და მათურებელთა დარბაზსაც. იგი მსმენელის სულს ეუფლება და უპირველესად — ზიზი-ჩიქვინიძისას. ქალიშვილი ნერვული მოლოდინითაა სასვე, ადვილს ვერ პოულობს. ბოლოს მოჭადობებლევით გაეცდება, და სცენის კიდეში სკამს დაეყრდნობა. ტენორის

პარტია ძლიერდება, დიდებული ნმა მკლა და მალა მიწვევს და სწორედნამდროს რევისორს განათებული გზსწარმდღოს უქანა კედლები ნელ-ნელა შემოკყავს მურმანი — მახარაძე. თითქოს მუსიკიდან ამოიზარდაო, იგი მოდის ტოტი ხელში. მელორის დასასრულს ზიზი გრძნობს მურმანის მოახლოებას და სწრაფად შებრუნებულს ხვდება მისი მივედრებელი-გამკრო თვალში. ამ „წამის-წამიერი გავლების შეჩერება“ რომ შესაძლებოდათ, უეჭველად ერთმანეთს უმაღვე ჩაებვეოდნენ, მაგრამ თავი დაიპირეს და გადალახეს რა ასეთი შეხვედრით გამოწვეული უხერხულობის გრძნობა, ყველაზე ორიგინალური საუბარი წამოიწყეს. თავისი თავი რომ არ გაეცა, ზიზი-ჩიქვინიძემ მას ყავა შესთავაზა და მისი დამზადებისას იმდნად მოეგო გონს, ყავის ლეჭით ყველუცური მკითხაობაც კი დაუწყო კაცს. მსუბუქი, ჩვეული მოძრაობით გასწია შირმა (ეს ზიზისათვის განცალკევების საყვარელი ხერხია) და ასე შემოიზღუდა თვით გარე სამყაროსაგან. მან კაცი თავის ინტიმურ თავშესაფარში შეუშვა და ახლა მისასადაგებლად მისი შესწავლა დაიწყო. ზიზი იგვირებს მამაკაცის ყოველგვარ მოფერება-ალრის და ეუღმინდად, თავისთავადი გაზარებით, თვითონვე უმქდავენებს მას გულთიად გრძნობას, სულს ბოლომდე უხსნის, რადთან კარგა ხანა მისი ყველაზე აღმატებული ადამიანური და პროფესიული იდეალები ამ ადამიანთანა დაეკვირბებულნი. მურმან-მახარაძემ ვერ გაუძლო ემოციის მძლავრ შემოგვებას და ხურჩულით მიიხმო — „მოდი ჩემთანო“ და ზიზი მისკენ ისევე წავიდა, როგორც გარდაუვალი ბედისწერისაკენ. აქ რევისორს დაეხმარა განსაუთრებული ტაქტი, სიმართლის გრძნობა და გამომგონებლობა. სასიყვარულო სცენა ჩვეული ატრიბუტების გამოუყენებლად დაედგა. წამისწამიერი გაზომვით, ერთობ ნელი ირიბი სვლით მიიწევს წინ საგანგებოდ ამ სცენისათვის გამოჩნული ფარდასაფარველი და თითქოს წყვილის განმარტობის ყველაფრისა და ყველასაგან დამალვა ვანუზრახავსო, სცენის სიღრმეში ბოლომდე მიუტრავს. ეს ფარდა ჯერ ტახტის ახლო, ერთმანეთის პირისპირ დარჩენილ მოსიყვარულე წყვილს მოძრაობისა წააწყდება და გადაფარავს, ცოტა მოგვიანებით კი კვლავ გაიხსნება. ახლა უკვე ისინი სხედან ნასიყვარულეზნი და რალაც გაურკვეველობით თუ დაბნეული ცნობისმოყვარეობით საუბრობენ. უფრო მოკლედ, ლაინორედ და მტკვევლად ვერ წარმოაჩენს. თეატრალურიცაა, სახიერიც და არც უხამსობის ჩრდილი ადგას. აი, ფარდა რომ არ იყოს გადატვირთული ფიგურული



ლუ — ი. მელენიუხუცესი

კომპოზიციებით, რომელთა აღქმასაც მაცურებელი ცდილობს და ვერ ასწრებს, თანაც ტექნიკურად იყოს მომართული, მაშინ ეს სცენა, როგორც მხატვრული ვადაწყვეტილი, ასევე მსახიობური განხორციელებით, შეგვეძლოს სრულყოფილად მივგეჩნია.

თუ ნანი ჩიქინიძე მთელი თავისი თამაშის ორგანულობითა და ემოციური გამსქვალულობით პრინციპულად საკუთარი აქტიორული ბუნების ერთგული დარჩა, სამაგიეროდ ი. მელენიუხუცესს საკმაოდ მოუხდა თავისი არტისტული იერის გადასხვაფერება, საკუთარი ბუნება-ხასიათის მთავალნაირად შეცვლა, სხვაგვარი სიყვარული ცხოვრება დასჭირდა. მისი დიდებული თვალტანადობა, ტემპერამენტი, ადამიანური მნიშვნელობა, ძალკანების თვითწმენა — ყველაფერი ეს განულებული, დაწვრილმანებელი და გახავებულია. უფერულ კოსტუმსა და კუბოკრულ შარვალიში გამოწყობილი, ყელზე კაშმუშო-ხვეული, რომელსაც მახიობი უმატებს ორმოცდაათიანი წლების თარგით შეკერილ მაკინტოსსა და ფართოფარფლებიან ფეტრის ქუდას, იგი იმაზე უფრო გამოიყურება, ზინი რომ აგვიწერს და წარმოგვიდგება ულაზათოდ ფაქიზი და უბრწყინვალეზოდ სოლიდური, თუ შეიძლება ასე ითქვას, იცელის რა

გარეგნობას, სიტყვის კლოკავსაც ისხაფურებს, მისთვის ჩვეული მეტყველების თავისუფალ-სახივან-ემოციურ მდინარეებს არღვევს. მელენიუხუცესი ლეოს ანიჭებს მოხდენილი იუმორის პრეტენზიას პათეტიკური ენამორალიზობითა და „გულუბრყვილო“ ტიტინით.

მსახიობი განსაკუთრებული ბრწყინვალეობითა და აღმავლობით თამაშობს ლეოს ხასიათის გაორებას, ზაზუნდარობისა და უხამსობის საბურველით მალავს ამაოდ ვაგლანგული თავისი ცხოვრების ტიკიულსა და უკმაყოფილებას. ამავე დროს, იგი ისეთი გამოგონებლობითა და სილლით ანხორციელებს ლეოს შემთვრალეობას, რომ ადვილად აიყოლიებს მაცურებელთა დარბაზს, რომლისთვისაც ამ როლით მელენიუხუცესი პოტენციურ კომედორ მსახიობად ვაიხსნა. ეს ამაზე უნებლიეთ გვაფიქრებს აქამდე ზედმეტად ცალმხრივობით ხომ არ იყო ექსპლუატირებული მსახიობის ნიჭი ტრაგედიისა და დრამისათვის (ამ უკანასკნელსავე ენათესავენბა მაღალი კომედია), როდესაც მის ხელეწიფება წმინდაწალის კომედიური სვეროვ?

მაგრამ სპექტაკლში არის სცენა, სადაც მელენიუხუცესი მთელი დიდებულებით წარმოგვიდგება. იგი უმაღლეს აოჯებს მაცურებელთა სიცილს, მისგან კიდევ ერთ მშვიდავრე აურხატს რომ ელოდება, და ყველა უღრმავდება გმირის სულიერ არსს. როდესაც კინოსტუდიიდან მოსდის დეპეშა — ახალ ფილმში როლზე არ დამტკიცესო, ანაზად აღმოვაჩენთ ქეშმარილ ლეო-მელენიუხუცესს — გული ადვილად რომ ეკოდეება. უშუალო და ბედკრული. სად გაქაა მისი ვანგებ გათამაშებული უხამსობა, ვეყიაობა, ბოროტი ქიჩქილი და მოურჩილებელი თავხედობა? იგი მთლიანად მოეშვება და დაძაბუნდება, თითქოს მის სახეს ნაღბი ჩამოუტყდარი, მახვილი აქტიორული პლანით დაინახეთ ქრონიკული უბედობით და უპერსპექტივი არსებობით გამოწვეული მწარე ხვედრი ადამიანისა. აი, ლაბადითა და ქუდილი ზის კაცო მაგიდასთან და უაზროდ მიშტერება იერწურტლს მაშინ, როცა წარმოდგენაზე წასვლის დროა. მის გაარშეყო დარბის და ფესფესებს წამდუფუმ ტრიოლწამაკარი ნიწო-გაბუნია, რათა დააწყნაროს და დამშვიდოს ლეო, ის კი ზის და ზის დაწვადებასათი. ის წუთები უმომესად და დაუსრულებლად გვეჩვენება. ბოლოს კი იგი ვადაწყვეტილებით წამოდგება თეატრში წასასვლელად. მოსდის ნელა, ფესათრევი. თითხდან გასვლისას მოულოდნელად ფეხებს იატაკის ტილოზე გაიწმენდავს, მოიხდის ქუდას და საკიდელ დატოვებს. მექანიკური მოქმედებაა ეს? არა, ეტ-



ყომა, რაღაც გადაწყვიტა, რა თქმა უნდა წარსულს უნდა გამოემშვიდობოს, შემოიბერტოს მეტერი, ვადახალისოს გონება, მოიშალოს დამღუპველი ჩვევები, საჭიროა ეს, თუ ვეცაქი ხარ, საჭიროა ეს, თუ ადამიანი ხარ.

აქ კვლავ იჩენს თავს საერთო ზნეობრივი კანონი, საფუძვლად რომ უდევს პესასაც და სპექტაკლსაც — როგორც რისებაც, ასევე კუჭუხიძე პიესის ბინადართათვის განაჩენის ეპოქიდანს ერიდებიან, რამეთუ მათ ტრაგიკულ დანაშაულს ვერ გრწმობენ. ისინი გეთავაზობენ ადამიანური დათმობის, უკანდახევის, უნებისყოფობის და სიხარბის სხვა-დასხვა საფეხურს — რაც პირდაპირ უხსნის გზას ზნეობრივ კომპრომისს, ზოგჯერ კი მთლიანად პიროვნულ დევალუაციასაც.

მაგრამ დაუბრუნდეთ სპექტაკლის დრამატურგიულ სქემას, ლიტერატურულ პირველწყაროს რომ ეფუძნება. აქ, ერთი შეხედვით, წონასწორობა დარღვეულია, რადგან მოქმედებს პრინციპი: ოთხი და ერთი. ოღონდ ასე გვეჩვენება მხოლოდ პირველხილვით. ნამდვილად კი ოთხი გმირი — ლეო, ნინო, ზიზი და სტუპარკი ერთობლივად წარმოგიდგებიან და მათ უპირისპირდება მურმანი. ერთმანეთს ეპიკურება და ბრწყმის ორი სამყარო. პირველი ცხოვრობდნენ თავისი მწელი, მაგრამ ჩვეული ყოფით, სადღე შემოიჭრა მურმანი — სხვაპლანეტელივით უცხო, იგი თვითონაც გრძნობს თავს სხვა პლანეტელივითად მოსულად, სხვაგვარი აღნაგობის ადამიანად. ყველას ზურგზე საკუთარი წარსული ჰკიდია, მაგრამ მურმანის წარსული ორ პერიოდად იყოფა — ადრინდელად, რომელმაც იგი ზიზისა და ნინოს ოცნების გმირად აქცია, და უახლოესად, ამ ქალებისათვის რომ უქცნობია, მას კი ფეხდაფეხ მოსდევს და შოელი სიმძიმით აწევება მხრებზე.

თუ პირველი ბანაკი თავისი ფიქრებისა და გრანობების გამოჩენისას თავისუფალია, მურმანი ფრთხილი და თავშეკავებულია, ეს არის მისი პასუხისმგებლობის მიზეზი, თუმცა, ამავდროს, მოქმედების მასტიმულირებელიც იგია.

მურმანის სიკეთის ამებეს სხვების თამაში წარმოგიდგენს და ვიდრე ნიღბი აეხდება, ეს კაცი წარსული დიღბის ნაყოფს იჭის, ყოველივე ამით აიხსნება, რომ კოტე მახარაძე სხვა შემსრულებელთაგან განსხვავებით, თამაშის შვიდი მანერას ამჯობინებს. მასში მუდამ ფიზიკობს ცენზორი, მის ყოველ სიტყვასა და საქციელს რომ აკონტროლებს. მურმანის თეატრი მუდამ დაოკებულია, გამაჰამოდებული, მურმან — მახარაძეს არ სჩვევია აფეთქებები, დამატყველი მომენტები. მაყურებელს კი, რა თქმა უნდა, სწიდა,

ლევენდიან მოსული მურმანი იხილოს, უნარო მნიშვნელოვანი, ფრიალ წარმტყობილობის მომხიბველი, ერთი სიტყვით, ადამიანი, რომელმაც დაარღვია პროვინციული თეატრის და, ალბათ, მთელი ქალაქის სიმშვიდე. მაგრამ გზა, რომელიც აირჩევა მსახიობისა და დამდევნელმა მურმანის სახის წარმოჩენისას, არსებობის უფლებას ინარჩუნებს, უფმცა, საიდავოც არის, რადგან არ გახლავთ ერთადერთი მართალი და ყოველსომოცველი.

მთლიანად მისი საწინააღმდეგოა ნინოს სახე, გურანდა გაბუნის ნათამაშევი. იგი იმდენად დეტალურად, უწვრილმანესი ნიუანსებითაა მოხატული ყველა მიმართულებითა და განზომილებით, რომ სპექტაკლში ყველაზე მომართბს — სახლს აღავებს, რეცხავს, აუთოვებს, ხარშავს, მუღუნად ეჩქარება, ფუსფუსებს — ერთი სიტყვით, გათქვევლილი საყოფაცხოვრებო ამბებში, შინ უფხსი შემოღებისთანავე ერთვება მასში და მხოლოდ ზღურბლზე გადაბიჯებისას ეშვება ოჯახურ საქმეებს. იგი ამ ოჯახში ბაროკოტიკოვითაა — ტაროსის ოდნავ შეცვლასაც კი უნაღვე გრძნობს.

სული კი ნინო-გაბუნისა მუდამ მოღრუბლულ-წვიმიანი აქვს, თუმცა ცდილობს იმხიარულოს. უჭირს თუ უღიხს, იგი წამდაუწყუმ ტრის. ცრემლებია მისი თანავგრძნობის საწყაო, თავდაცვის საშუალება.

პრინციულად ნინო-გაბუნია შეგებულია თავის ხედვრს და ახლა საკუთარ თავზე მეტად დის მომავალზე ფიქრობს, მისი იმედით სულდგმულბს. ასევე დასრულებს იგი სიოცსკესს, სხვის ბედს შეეწირება. ეს კიდევ ერთი სამუხარო სურათია ადამიანის გაუმართლებლობისა, როდესაც მისი პროტესტი და ოცნებაჲ კი უსისხლბოცო და უნიადავოა. ზომიერების ჩინებული გრანობით თამაშობს მსახიობი ნინოს ყოველ სცენას, გმირის როგორც დრამატულ, ასევე კომიკურ მხარეს წარმოაჩენს სრული ელფერით, თანაც ისე, მაყურებელზე თამაშის ცთუნებას რომ არ აწყვება. უნდა ვეფიქროთ, რომ ნინოს სახე დამაშვინებს გაურანდა გაბუნის მსახიობურ ბიოგრაფიას ისევე, როგორც დანარჩენ შემსრულებელთა ანსამბლურობას მოაქვს წარმატება კ. მარკინაშვილის სახელობის თეატრისათვის. „პროვინციული ამბავი“ ამ სახელოვანი თეატრის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს და სპექტაკლის რეცისობისა და მასში მონაწილე მსახიობების სახელუბი ერთად შეჩერდებიან. ერთ სტრუქტურულ თეატრს არ ემზინა ვერცენის მკაცარი, შეუღამაზებელი სიმართლეთა თავის ყოველგვარ და ესაა მისი სიძლიერისა და ცხოველმყოფელობის უტყუარი ნიშანი.



# რა არის ბარტოკის სიდიადე?

...ხშირად ფიქრობენ, რომ ბილოგის მეცნიერების საბოლოო მიზანს სასიცოცხლო მოვლენათა ფიზიკური და ქიმიური ახსნა შეადგენს. ასეთვე საფუძველი გვექნებოდა გვეთქვა, რომ ფურცის ანალიზს, როგორც ასეთს, ძალუძს სრულად გავიხსნას ბარტოკის რომელიმე კვარტეტის მთელი მომხიბლველობა».

ბ. უტერმანი

## ნოდარ გაბუნია

რადღაც განვიზრახე ბარტოკის მუსიკით გამოწვეული ფიქრები მკითხველსათვის გამეზიარებინა, არ შემიძლო არ დაგებრუნებოდი წარსულს, სიყრმის ეპოსს, როდესაც ყოველი ჩვენგანი ეძებს სათაყვანებელ კერას, და თუ მოაგნებს, კიდევ აღდევნება მონუსხულივით მას და აპყვება იმ დაუსრულებელ წრიალს, სულის საუფლოს ლაბირინთებიდან თავის დასაღწევად რომ ავციტანს და შემოქმედებად რომ იწოდება. მოკვიანებით გვემატება გამოცდილება და მასთან ერთად თავს იჩენს სალი გონება, რომელსაც ხშირად უმართებულად ავიგებენ ადამიანის სიბრძნესთან და ბევრნი თანდათან ეკარგავენ აღფრთოვანების თანდაყოლილ ნიჭს. მაგრამ, საბედნიეროდ, ასეთი რამ ყველას არ მოსდის და მე არ შემიძლია არ აღვნიშნო სიამოვნებით, რომ განგებამ, ეგონებ, სწორედ იმ ადამიანთა რიცხვს მიმაჯოთენა, რომლებიც ამ უნარს მთელი ცხოვრების მანძილზე ინარჩუნებენ. არ ვიცი, რას უნდა მივაწეროთ ეს — მატერული გემოვნებისა და რწმენისადმი ერთგულებას, თუ, უბრალოდ იმას, რომ როგორღაც მოკლებული ვარ განახლებისაკენ სწრაფვის უნარს. ასეა თუ ისე, ჩემი ცხოვრების გზაზე მოვლენათა არაერთგზის გადაფასებას არასოდეს მოჰყოლია იმის დევლაკაცია, რაც ჭეშმარიტ ღირებულებად მიმაჩნდა, და ბარტოკი დღესაც რჩება ჩემთვის ერთ-ერთ მუსიკალურ კერპად.

ყველაფერი დაიწყო ჩემი მოწაფეობის დროს სტატების მომცრო კრებულის გაცნობით. ერთ-ერთ მათგანში დიმიტრი შოსტაკოვიჩი უზიარებდა მკითხველს ბარტოკის VI

სიმებიანი კვარტეტის, „პირველხარისხოვანი ავტორის საუცხოო თხზულები“ შესრულებით მიღებულ შთაბეჭდილებებს. დიდად დავინტერესდი, რადგან მანამდე მეგონა, რომ ვიცნობდი უკლებლივ ყველა „პირველხარისხოვან ავტორს“.

ორიოდე წლის შემდეგ, უკვე მოსკოვში ყოფნისას, ერთ-ერთ სანოტო ბუკინისტურ სალონში აღმოვაჩინე ბარტოკის „15 უნგრული გლეხური სიმღერა“. უმაღვე დავუპატრონე გაცვეთილ დროისაგან გახუნებულ კლავირს, გავეშურე შინისაკენ და სულ მალე მივხედი, რა დიდი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში.

მას შემდეგ გავიდა წლები. მაგრამ ინტერესი ბარტოკის მუსიკის ბედისადმი არასოდეს გამწვანდება. კერძოდ, ყოველთვის მაფიქრებდა და მალეუვებდა ამ მუსიკის აღქმის პრობლემა. მუდამ გულისტკივლს იწვევდა ჩემში მსმენელის ცივი თავშეაყვებულობა ან სტეპტიკური უნდობლობა. ზოგჯერ აღშფოთებას ვერ ვკავებდი, როდესაც ვამჩნევდი ირონიულად შემწყნარებლურ ლიმილს, ხშირად თვითკმაყოფილ უმეცრეებს თან რომ ახლავს და პირიქით, სიხარულით მეცვებოდა გული, როდესაც ვისმე რაიმე მიხედვრის ნიშან-წყალს ვამჩნევდი ამ უენიშნავი ცხოველ დაინტერესებას, ცალკეული ინტუიციური მიგნებებით რომ საზრდობდა. საქმიად ვეკადე, როგორც ჰაინსტიკი, რომ ბარტოკის მუსიკის დიდი ღირსებები უფრო ფართო აუდიტორიისათვის მისაწვდომი გამეხდა. უნდა გამოგეტყუდეთ, რომ საერთო სურაიჩი მანც ნაღვლიან ფიქრებს მგვრიდა. ერთხელ,

როდესაც ბრატისლავაში ჩემი ძველი მეგობრის კომპოზიტორ ი. ზელენკას ბიბლიოთეკაში წიგნებს ვფურცლავდი, რომელიღაც საკმაოდ სოლიდურ გამოცემაში ამოვიკითხე, რომ თურმე ბარტოკის სივლილის შემდეგ უეცრად ნათელი გამხდარა, თუ რა ტიტანი დაპირდა XX საუკუნის მუსიკაში.

როგორ არ უნდა დავანდვლიანოს ამგვარმა „დრამატულმა“ სენტიმენტალიზმმა, რომელიც უეცრად და მაიმიტ მკითხველს თუ შეეცდენ?! განა ბარტოკის სიციცხლეშივე არ იყო ნათელი, რომ იგი დიდი კომპოზიტორია? მაგრამ ბევრს ესმოდა ეს?

და, აი, აჟ, ისტორია, წლიდან წლამდე, ათწლეულიდან ათწლეულამდე, საუკუნეთა მანძილზე მომადუნებელი მონოტონურობით იმეორებს ერთსა და იმავეს: ასე მოუვიდა ბახს, ბეთოვენს, ბიზეს, მუსორგსკის, პროკოფიევს, რომლის თხზულებებში აღტაცებით აღნიშნავდნენ უმთავრესად ტოკატურ სამოსელში გამოწყობილ ცხოველყოფილ დრეკადობას. ისევე, როგორც ბარტოკის ნაწარმოებებში — პირველყოფილი ინსტრუმენტების გაყოცხლებას მუსიკალურ-არქაული „ბაბაროსის“ მეშვეობით. ასე მოუვიდა კიდევ ბევრ სხვას. ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ ასევე იქნება მომავალში.

უბედურება ის არის, რომ როდესაც საქმე ხელოვნების აოიარებას იხება, ჩვენ ჩვეულებრივ ეგვლისხმობთ მსმენელთა მიერ მასას. ამ ურთოლოგი სოციალურ-ესთეტიკური შედეგნილობის სხეულს. უდაოდ ძნელია ამგვარი ადულიტორიის „შემადგენელ წიგრებად“ აღწლა. მაგარი ისიც ხომ ნათელია, რომ შიუძლებელია ხშირ შემთხვევაში შინაგანად სრულიად განსხვავებულ მიდრეკილებათა ერთ მთლიან ართმეტიკულ ვადალ წარმოდგენა, არაერთხელ გამიფიქრია, რომ რატომღაც განსაკუთრებით მტკიცედ არის დამკვირვებული მცდარი აზრი, თითქმის ყველას შეეძლოს მუსიკის ბოლომდე გაგება. რით არის გამოწვეული ამგვარი ელიმიტება? ნაწილობრივ ამის პასუხს ვპოულობთ თიამს მანის ბრუნო ვალტერისადმი მიწერილ წერილში. მანის სიტყვით რომ ვთქვათ, „მუსიკა ახლო მიუშვებს ბავშვებს“, მაგრამ მისსავე სიტყვას რომ მივყევთ, „ძალიან ახლოსაც არ იკარებს მათ“.

მაგრამ მოდი მოვშვათ ბავშვებს, არც თუ ისე გარკვეულ არსებებს, და მივმართოთ უფროსებს. თვისს ლექციებში მუსიკაზე ა. ვებერნის მოყავს დიდი მოაზროვნეების ელიმლიებათა არაერთი შიამბეჭდავი მავალითი:

„გოეთე. ვინ ხიბლავდა მას? — ცელტერი. შუბერტმა გოეთეს „ტყის მეფის“ ხელნაწერი გამოუგზანა — მან არც კი ჩახვდა ნოტებს. რა ხდება?“—გვეკითხება აშკარად ნაწყენი ვებერნი და თვითონვე პოულობს პასუხს: „როგორც ჩანს მუსიკალური იდეის ჩასაწვდომად რაღაც თავისებური ნიჭია საჭირო“.

მართლაც, ხომ არავის მოუეა აზრად მოითხოვოს, რომ ყველას ჰქონდეს რთული მათემატიკური ამოცანების ამოხსნის უნარი?

რატომღა მოვიტხოვთ რასმე მსგავსს მუსიკალური აღქმის სფეროში?

უთუოდ, მუსიკის აღქმის უნარი თითქმის ყველას აქვს. მაგრამ ასეთი აღქმა და ჩაწვდომა ხდება, როგორც წესი, სხვადასხვა ესთეტიკურ დონეზე. მე ვიკნობდი მელომანს, რომელსაც შოსტაკოვიჩის X სიმფონიის III ნაწილი განსაკუთრებით უყვარდა. იგი მუსიკალურ ხელოვნებაში ნაკლებად იყო ჩახედული. ამიტომ ჩემთვის გაუგებარი იყო ეს „ფენონიანი“ მის მუსიკალურ აღქმაში. მაგრამ, როდესაც მან ერთხელ ნაცვლად




დამიკრა.



ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მას შოსტაკოვიჩის ეს მელიდა დაეყვანა ქუჩური სიმღერის დონემდე.

ასევე შეიძლება ჯოკონდა მოგწონდით არა მისი რაღაც გამოუცნობი იდემალებით, არამედ იმის გამო, რომ გარეგნულად მიამსგავსეთ ვისმაც, ვისი მოგონებაც სიამოვნებას გვკრით.

ამგვარად, მუსიკის აღქმისას ჩვენ ვწვდებით მის სხვადასხვა დონეს, რაც, სხვათა შორის, იმაზე მეტყველებს, რომ თვით მუსიკაშია ეს დონე. როგორც ჩანს, ასეა. ამასთან ისიც ნათელია, რომ სხვადასხვა ნაწარმოებში შეიძლება ამ დონეთა განსხვავებული რაოდენობა იყოს დარბოგამებული. მაგალითად, შოპენის ლამინორულ ვალსს ახასიათებს ეანრული ასპექტი. რომლისაც აშკარად მოკლებულია მისივე, ვოქვათ, ლამინორული, მეორე პრილიოიი. ამიტომ მოუშნადმელი, ნაკლებ ფაქიზ მსმენელი „გაიგებს“ ვალსს და ვერ ჩაწვდება პრილილას: ამგობინებს მოკარტის სოლო-მინორულ სიმფონიას მისსავე დო-მეორულს, ხოლო ბეთოვენის „მთვა-



ბელა ბარტოკ

რის“ სონატას უპირატესობას მიანიჭებს „ჰამეტრეკლავირისათვის“ დაწერილ სონატასთან. ამასთან ერთად ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ მუსიკალურ-ესთეტიკურ დონეთა სიმდიდრე ზემოთდასახელებულ ნაწარმოებებში არ შემოიფარგლება ეპარული, სასიმღერო და „მთვარისეული“ ასპექტებით. მაგრამ ბევრი რამ ამ დონეთა სიმრავლიდან ჩვენი მელომანისათვის მიუწვდომელი რჩება.

ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მუსიკის ყველასათვის მისაწვდომობის ილუზიას განაპირობებს მისი მრავალსახოვნება. ჩვენ გვეჩვენება, რომ ჩაუწვდომი მთელს, სინამდვილეში კი მთელის მხოლოდ მცირედი ნაწილი შეუიკანით.

ამიტომ, ბარტოკის აღიარებაზე რომ ვლაპარაკობთ, არ უნდა ავეყვით რომანტიკულ გაზვიადებას: მსმენელთა უმრავლესობა ამ მუსიკის მხოლოდ ზედა ფენებს წვდება და მის ეჭვიც არ ებადება, რომ მასში სხვა, უფრო ღრმა შრეები არსებობს.

მაგრამ უნდა ვიწამოთ ბუნების ძალა იგი წინასწარობისაკენ ისრავებს და თვითონვე ზრუნავს, რათა დროდარო გამოჩნდნენ ჭეშმარიტი მუსიკოსები როგორც მოყვარულთა, ისე პროფესიონალოთა შორის.

ხშირად მომმართავენ კითხვით — მაინც რა არის ბარტოკის გენიალობა, რითი გვხიზლავს მისი მუსიკა?

ასეთ შემთხვევებში მე ყოველთვის რაღაც უმწიგობის გრძობა შეუფლება.

ბარტოკე შექმნილი თანამედროვე ლიტერატურა უარესად მდიდარია. მის შემოქმედებას მიემდინა მრავალი თეორიული გამოკვლევა. ძნელად შეხვდებით მუსიკის დარგში წერილების კრებულს, რომელშიც გარკვეული ადგილი არ ეთმობოდა ბარტოკის მუსიკასთან დაკავშირებულ რომელიმე საკითხს. ყოველივე ამის წყალობით ჩვენ დღეს საკმაოდ კარგად ვიცნობთ ამ დიდი კომპოზიტორის შემოქმედებით შეთოღს. ჩვენთვის უკვე გახსნილია მისი კომპოზიციების მრავალი საიდუმლო. ვიცნობთ „პერკუსიონის“ გამოყენების ბარტოკისეულ ხერხებს. ცნობილია „ლერძის სისტემის“ როლი მის აკორდიკაში; სიმეტრიის როლი ამ ლერძის სისტემაში; ფიზონაჩის რიცხვების როლი მრავალ აკორდულ სტრუქტურაში...

მაგრამ ყოველივე ამას ხომ არ „ძალექს სრულად“ გავიხსნას ბარტოკის რომელიმე კვარტეტის მთელი მომხიბველობა?

მე სულაც არ ვფიქრობ თეორიული გამოკვლევის მნიშვნელობის უგულვებლყოფას, პირიქით!

და მაინც, რომ შემეძლოს, უბრალოდ, სიტყვებით ვაღმოვეცემდი ბარტოკის მუსიკის შინაარსს; ვაგანობოდი ბუნების იდეალურ ხმებს, გაურკვევლად რომ ისმის „ღამის მუსიკაში“; ვაგოზარბნობდი ფიქრებს მსოფლიო სედაზე, რომლითაც გამსჭვალულია „სიმეზიანი და დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის და ჩელესტისათვის მუსიკის“ პირველი ნაწილი, ვაგარბნობნებდით იმ არაჩვეულებრივ ნახ სურნელებას, რომელსაც მუდამ აფრქვევს III საფორტეპიანო კონცერტის პირველი ნაწილი; დატკბებოდი თქვენთან ერთად იმ „პირველყოფილი“ ენერგიით, ურომლისოდაც ადამიანთა მოდგმა, შესაძლოა, ვერც გადაჩენილიყო და რომელიც მოხუცებულთა „დედნაში“ (ციკლიდან „სუფთა პაერზე“) ან II საფორტეპიანო კონცერტის III ნაწილში; ვუჭერტედი იმ ნისლივან მოციმციმე ნათებას, რომელშიც დროდარო იძირება მისი მუსიკა; ვაგოზიარბნობდი იმ შმაგ ალტყინებას, რომელსაც გამოსცემენ მის ნაწარმოებთა ფინალების ხალხური ფერხულები; თვალს ვავესწორებდი იმ ნაიფვან ათინათებს, რომელთა ელვარებითაც ბრწყინავს IV სიმეზიანი კვარტეტის „აღკვერტო პიციკატო“; ჩვენ ერთად მოვუსმენდით ხუნების ხმებს და თაყვანს ვცემდით მის სიღაფდეს; ვაგუზიარბნობდი ერთმანეთს ორკესტრისათვის კონცერტის ელვებით მოგვრილ ნათელ სედას; და ვეცდებოდი არ შეგვენიშნა გულაჩვილებულებს თვალზე მოდგარი ცრე-



მღებში, როდესაც III საფორტეპიანო კონცერტის ადგილის მოვლსმენით.

სამწუხაროდ, ყოველივე ეს აღმატება ჩემ ძალას... ეს მუსიკისმოყვანის საქმეა. მხოლოდ ახლა ვხვდები რა რთული ყოფილა მუსიკისმოყვანის ხელობა, უფრო სწორად, ხელოვნება! მუსიკისმოყვანე ხომ ისაა, ვისაც უნარი შესწევს სიტყვიერ ვადროსის მუსიკა შეუძლია მუსიკალურ სახეებს მოუძებნოს სიტყვიერი ექვივალენტები! მუსიკისმოყვანე, გარკვეული მნიშვნელობით, მთარგმნელია, იგი უნდა იყოს შესანიშნავი მუსიკოსი, რომ ღრმად ჩაწვდეს თხზულებას და ასეთივე, თუ გნებავთ, პოეტი, რომ მიაგნოს საჭირო სიტყვებს.

მე აბ ბენდინიო შეხამების, სულ ცოტა, ნახევარს მაინც ვარ მოკლებული და ამიტომ, ვეფიქრებ, არაინდ დამძახავს თუ არც ვეცდები. ის სათაურში დასმულ კითხვაზე ისეთი პასუხი გავცე, როგორც მუსიკისმოყვანის მოეთხოვება.

არაინ კომპოზიტორები, რომლებიც ცდილობენ განახლონ მუსიკის გამომსახველი საშუალებანი. უთუოდ მათი მუსიკალური იდეების ბუნებაა იმდაგვიანი, რომ მაინც და მაინც ახალ შესაბამის, განახლებულ გამომსახველ საშუალებებს მოითხოვს. მათი თხზულებები მდიდარია ნაირგვარი ნოვაციებით. მათ, ჩვეულებრივ, რეფორმატორებს უწოდებენ. მუსიკის ისტორია იცნობს არაერთ კომპოზიტორს, ვინც ცნობიერად თუ გაუაზრებლად მოახდინა მუსიკალური ხელოვნების რეფორმა. ბეთოვენი, ბერიოლიზი, ვაგნერი, დებიუსი, სტრავენსკი, შონბერგი, აი, ზოგიერთი მათგანის სახელი.

მეორეს მხრივ, არაინ ისეთი შემოქმედნიც, რომელთაც ჩვეული წარმოდგენების დარღვევის არავითარი მოთხოვნა არაა აქვთ. საშუალებათა ტრადიციული სისტემის სულაც არ ზღუდავენ მათი თვითგამოსახვის ფარგლებს. არ იტყვიან და სწორი გვეფიქრა, თითქოს ასეთ მუსიკაში არაფერი შეიძლება იყოს ახალი. ერთხელ ბლუზ პასკალს უსაყვედურეს, რომ მისი გამოკლევა გეომეტრიის დარღვი ახალს არავფერს შეიცავდა. „ეს არ არის სწორი. — უპასუხა მეცნიერმა, — მასალის განლაგებაა ახლებური!“ ამიტომ, თუ, ვთქვათ, ბოპსი ის ჩაიკოვსკი არ ისწრაფოდნენ მუსიკალური ხელოვნების რეფორმისაკენ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათი ხელოვნება მოკლებულია სიახლეს. ახალია, თუნდაც, თითოეული კონკრეტული მუსიკალური რეპერტობის განუმეორებლობა.

კომპოზიტორების ასეთი დაყოფა რეფორმატორებად და ტრადიციონალისტებად მე საკმაოდ პირობითი მეჩვენება. და მაინც, ის რამდენადმე გამოხატავს მუსიკალური ხე-

ლოვნების ევოლუციის რაღაც გარკვეულ ტენდენციას.

ბარტოკი თამამად შეიძლება მივიკუთვნოთ რეფორმატორი ხელოვანის ტიპს. თანაც მის ნოვაციები შეგვიმუსიკის უმნიშვნელოვანეს სფეროს და ხელოვნების ამ დარგის განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით უაღრესად ნაყოფიერი ამოიონდა. ყოველივე დაიწყო მუსიკალური ფოლკლორის ღრმა და მრავალმხრივი შესწავლით. მეცნიერული ანალიზის საფუძველზეც არა მარტო უნგრული არამედ ბულგარული, რუმინული, სერბული, ხორვატული, თურქული და არაერთი სხვა ხალხური მუსიკალური კულტურა, მუსიკის „პირველწყაროებში“ რომ მიმართა, ბარტოკმა თითქოს ხელახლა აღმოაჩინა მუსიკის პირველქმნილება, აღადგინა და სწორად ამით განახლა და გაამდიდრა მისი ინტონაციური ლექსიკა, გააცოცლა უძველესი რიტმული ფორმულები.

ამ მუსიკალურ-ეტიმოლოგიური კვლევის შედეგად სრულად გაიშალა და დამშვენდა მუსიკის გენეალოგიური ხე.

პრინციპულად ახალი ის იყო, რომ ეს „ხე“ შესაბამის „ეკოლოგიურ“ გაუმომში მოექცა. ბარტოკმა გენიალური ინტუიციის წყალობით შექმნა ხალხური პანგენისა და რიტმების ბუნების შესატყვისი მუსიკალური ატმოსფერო.

დღეს ხომ უკვე ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ინდური რაპის, გრუნული კრიმინალის, კოლგისპირების ძველებური პანგის ან აზერბაიჯანული მელამის და სხვ. პარამონზაცია მხოლოდ კლასიკური პარამონის კანონთა სისტემის ფარგლებში მიუღებელია, მხატვრულად გაუმართლებელია. ეს მოვლენები ორგანულად შეუთავსებელია.

მაგრამ თითოეული ჩვენგანს შეუძლია სურვილისამებრ მოიგონოს მსგავსი ხელოვნური „ტრანსპლანტაციის“ არა ერთი მაგალითი. დღესაც კი ბევრ ჩვენგანს ეს მხატვრული შეუთავსებლობა ვერ გაუაზრებია. ხალხური მუსიკალური კულტურის შედეგებმა სწორედ იმიტომ გავლეს საუკუნეთა მანძილზე ეამთა ცვლას, რომ ადამიანის მეხსიერება ამ შედეგებს ინახავდა შესატყვის პარამონულ და რიტმულ „მუსიკალურ გარემოში“, რომლისთვისაც მათერულ-მინორბული პრივილეგიები სრულად უცხო იყო.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხალხური მელოდის მისი უთვინილი პარამონული გარემოდან მათერულ-მინორბულში გადატანის ნებისმიერ ცდას მუსიკალური პირველწყაროს უხეში დეფორმაცია უნდა გამოეწვია. შეიცადეთ ნაზი მიხედვის ყვაილის მისთვის სრულიად უცხო კონტრასტულ კლბმბტურ პირობებში გადაარგვას. ხომ არავის გააცვირვებს, ყვაილი რომ დატყვნება. იგივე მოიუვა

ხალხურ მელოდიასაც. თავისუფალ კლო-  
პარმონიულ სივრცეებში ვალაღებული, იგი  
ჯერ მოიწყენს მყოფულ-მინორულ ტყეობა-  
ში და მერე უკნება კიდევ. ოლინდ, სამწუხა-  
როდ, ბეერი ვერ ხედავს ამ სევიდისმგვრელ  
სურათს.

ბარტოკმა თავის რეფორმის გაბედულად  
წაილაშქრა მუსიკალურ-პარმონიული გარე-  
მის „სტერილიზაციის“ წინააღმდეგ.

ამგვარი რეფორმა იშვიათია, რომ მხოლოდ  
ერთი რომელიმე ხელოვანის დამსახურება  
იყოს. მართლაც, ვასილი საუქუნის ბოლო  
მეოთხედის დასაწყისიდან მოყოლებული  
კომპოზიტორები აშკარად გრძნობდნენ ხალ-  
ხური პანგებისათვის შესატყვისი პარმონიუ-  
ლი გარემოს შექმნის აუცილებლობას, და ეს  
მისწრაფება განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ერ-  
ოვნულ მუსიკალური სკოლების განვითარე-  
ბაში. ამ ტენდენციამ სხვა და სხვა დროს თა-  
ვი იჩინა მუსორგისკის, გრიგის, დევალიას და  
სხვათა, რომ არაფერი უთქვამს სტრავენსკის  
„კურობეულ გაზაფხულზე“, შემოქმედებაში.

რას წარმოადგენს ეს მასულდამუღებელი  
პარმონიული გარემო?

თუ უტოვლებთ მოუვლმენთ ძველ ხალ-  
ხურ სიმღერებს, არ შეიძლება არ შევნიშნოთ  
ერთი საკვლეოსიმო გარემოება: ზოგიერთ მა-  
იორულ-მინორულ თავისებურებასთან ერ-  
თად, ამ სიმღერებში შეიძლება მრავალი  
სხვავე შეიგრძნოთ — ერთგვარი ინტონაციური  
გაურკვევლობა, ტემპერაციის მოთხოვნების  
„უპატვიკემლობა“, გამოხატული ისეთ ინ-  
ტერვალებში, რომელთა მნიშვნელობა განუ-  
წყვეტლევ მერყეობს ნახევარტონზე მეტ ან  
ნაკლებ ფარგლებში; სხვადასხვა მოდალურ  
ნიშანთისებრათა თანაარსებობა; რიტმული და  
ბეგრაოსიზალაციი გადახრები, რომელთა სა-  
ნითო ფიქსაცია შეუძლებელია, და სხვა.

მუსიკის ამოცანა სწორედ ის იყო, რომ ეს  
ყოველივე მეტაფორულად გამოეხატა მაიორ-  
რულ-მინორულ ურთიერთობათა სისტემაში.  
ბარტოკმა ეს შეძლო, მაგრამ ამისათვის, უწი-  
ნარეს ყოვლისა, საჭირო გახდა ერთგვარი  
ტონალური დიქტატის დაქვეყნება.

ამ ჩვენ კვლავ მუსიკალური იდეათა ისტო-  
რიული განვითარების დინებას უნდა მივყ-  
ვეთ. ტონალური საყრდენების გადაღახვის  
შინაგანი მოთხოვნა, ტონალობიდან „განდგო-  
მისაკენ“ სწრაფვა არის ბარტოკის ეპოქის  
დაშხასათებელი მუსიკალური ტენდენცია.  
ჩვენ საუქუნის პირველი ათწლეულის მიწუ-  
რულს უკვე მომწიფდა მუსიკალური პარმონი-  
ის სფეროში დიდი ძვრები, და ეს ცვლილებე-  
ბი კვლავ უკავშირდება არა ერთ რომელიმე  
სახეს, არამედ მუსიკოსებს, რომლებმაც  
ერთნაირად შეიგრძნეს პარმონიული „კატა-  
ლიზმის“ გარღვევალობა მუსიკაში, თუმცა

სხვადასხვაგვარად შეეცადნენ თავისი წინათ-  
გრანობის გააზრებას. დღეს ცნობილია,  
რომ ეს რეფორმატორული დღეები ყველაზე  
მეთოდურად გამოხატა არნოლდ შონბერტმა  
რომელმაც, მრავალი წლის შემოქმედებითი  
ძიების შედეგად, ჩამოაყალიბა მწყობრი თე-  
ორიული სისტემა, რაც არსებითად იყო ტო-  
ნალობის წინააღმდეგ მიმართული „სანქცია“.  
ტონალობის გაუქმებით შონბერტმა უზრუნ-  
ველყო მუსიკის ერთგვარი „პარმონიული  
უწინააღობა“. სხვა გზას დაადგინეს ისეთი მუ-  
სიკოსები, როგორც სტრავენსკი, პოკოციფე-  
ვი, ჰინდემიტო. ბარტოკი და ამ მიმართულუ-  
ბამ მიგვიყვანა ტონალობის ერთგვარ ნეიტ-  
რალიზაციამდე.

ტონალობის ნეიტრალიზაციის მოთხოვნი-  
ლება თითქოს და მუსიკის მონაგანი არსით  
არის ნაკარზავე. არსებითად ეს შეგრძნება  
ისეთივე ბუნებრივია, როგორც თვით ტონა-  
ლობის მოთხოვნილება. ტონალური შეგრძნე-  
ლის ნეიტრალიზაციის შესაძლებლობა ემაჩ-  
ნება ადამიანის სრულად უზრალო პერკეპ-  
ტულ თავისებურებას: თუ გარკვეულ  
ზღვრამდე გავზრდით სხვადასხვა ტონალური  
საყრდენების მონაცვლეობის სიხშირეს, ჩე-  
ნი სმენა მეტ-ნაკლებად დაეცემა ამ ტონა-  
ლურ საყრდენებს, რაც გამოიწვევს ტონალუ-  
რი შეგრძნების ნეიტრალიზაციას. აღქმის ამ  
თავისებურების გამოვლენების მაგალითად  
შეიძლება დავასახელოთ შოპენის სი-ბემოლ  
მინორული სონატის ფინალი, რომელშიც ნა-  
ირტონალური პარმონიული ფიგურაციები  
მონაცვლეობენ საკმაოდ მაღალ სიხშირით,  
რომ შეფერხდეს ტონალურ საყრდენთა შეგ-  
რძნება. ამიტომ იქმნება სონატის მხატვრული  
კონცეფციისათვის აუცილებელი ტონალური  
გაურკვევლობის შობამდე ილება.

მაგრამ თუ შონბერტის მიზიდენა წარმოგ-  
ვიდგება როგორც ცალკეული გამოხატვის  
როგორც სისტემიდან გადახრა, ბარტოკიან  
ნაირტონალური „ცდომილება“ სისტემის  
აქსს შეადგენს. ბარტოკი თითქოს და „მომ-  
თახარობს“ სხვადასხვა კილოებში.

ავლით, მაგალითად, პირველი სიმღერა  
ბარტოკის „15 უნგარული გუნდური სიმღე-  
რიდან“ და თვითონ შევეცადოთ მის პარმო-  
ნიზაციას. დასაწყისისათვის შემოვიფარგ-  
ლოთ კლასიკური პარმონიის შესაძლებლობე-  
ბით:



მართლაც, რა უშეუიკა ეს ცდა. პარმონიუ-  
ლი მზიდულობის სულ რაღაც ორი სფერო  
შეგვჩრჩა და განა ოცტა ვიციო უძველესი

ხალხური მელოდების ამგვარი პარმონიზაციის მავალითი!

ახლა ვცადოთ ოდნავ უფრო გაბედული პარმონიზაცია:



ეს უკვე უფრო ახლოა ხალხურ სტიქიასთან. იღუბლის შექმნას ხელს უწყობს მყოფი სუბლომინანტისა და მინორული დომინანტის თავისებური „ოპაში“.

ახლა კიდევ უფრო გაბედულად ვცადოთ პარმონიზაცია.



აქ ჩვენ უკვე ძალიან ახლო ვართ მიზანთან, მაგრამ მაინც ვერაფრით ვერ გადავლახეთ ზღურბლი. ბარტოკისეულ პარმონიზაციასთან შედარებით ყოველთვის ეს ჩანს როგორც მეტნაკლებად კარგი სტილიზაცია. ჩვენ „გავეთამაშეთ“ ბუნებას, მაგრამ ვერ გადავიქციეთ მის შემადგენელ ნაწილად.

ახლა ამ მელოდის თვით ბარტოკისეულ პარმონიზაციას გავეცნოთ.



მართლაც შესანიშნავია! ჩვენ განწყობილი ვეძებთ კილოებრივი მიზნების სხვადასხვა სფეროში. ეს არ არის პარმონიზაციის ვარიანტულობით მიღწეული მელოდის კოლორისტული შეფერვალება. ეს პრინციპულად სხვა რამ არის, ახალი აზროვნება. მელოდია შერწყმულია მისი ბუნების შესაბამისი ატმოსფეროს, მის განვითარებას ასაზრდოებს მასულდგმულეული წყარო, იგი გვატყვევებს და გვიხილავს თავისი ბუნებრივი სილამაზით.

მარტივად რომ ვთქვათ, ბარტოკმა გვასწავლა ხალხური პანგების მათი ბუნების შესატყვისად პარმონიზაცია, და რადგან ყველა ხალხს თავისი ძველი პანგები შემორჩა, არ შეიძლება დავიწყებამს მიეცეს ამ მუსიკოსის დიდი ღვაწლი და დამსახურება თაობათა წინაშე.

ცხადია, ბარტოკს ერთბაშად არ შეუქმნია ეს პარმონიული ვარგო. მისი სხვადასხვა ნაწარმოები ნათლად გვიჩვენებს ამ ახალი კონცეფციის მომწიფების სხვადასხვა ეტაპს.

კილოებრივ „მერყეობასთან“ ერთად, ამ კონცეფციის დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს ბგერათა ვერტაკალური (ერთბრუნული) შეხამების ტრადიციით ნებადართული ჩარჩოების მნიშვნელოვანი გაფართოება. დღეა როდესაც ამ მხრივ, არსებობდა, აღარ მოქმედებს არავითარი შეზღუდვა და გაუქმებულია ყოველგვარი ტაბუ, შეიძლება ზოგიერთმა გულწრფელად შეიკადოს: „მერყე და რა არის აქ ასეთი?!“ მაგრამ ზუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ აქ წარსულს ვიხსენებთ და, რაც მთავარია, რომ ბარტოკს, ბევრი თანამედროვე ავტორისაგან განსხვავებით არასოდეს გაუხდია საუკვოდ ამ ვერტიკალურ შეხამებათა მხატვრული გააზრების აუცილებლობა.

დასასრულს, სწორად რომ გამოვიჩინოთ, მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ერთი რამ. ბარტოკი იმისათვის კი არ ესწრაფვოდა მუსიკალური ხელოვნების განახლებას, იმისათვის კი არ ეძიებდა და პოულობდა, რომ საბოლოოდ ხალხური მელოდების „სწორად“ პარმონიზაციის ხერხებისათვის მიეღწეო. მან იცხოვრა, რომ მუსიკის ენით გამოეხატა უღრმესი და უფაიზუსტო გრანოზები და ქვეყანა გაეოცებინა ჰუმბოლტის მშვენიერების ახალი, თავისებური ხილვით.

ბარტოკის სილიადე მისი მუსიკა.



# ანსამბლი «მხედრული»

პროკოფი ხვიჩია

1980 წლის აგვისტოში შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ბულგარეთის ქალაქ ბურგასში გაიმართა ხალხური ცეკვის XVI საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს 21 ქვეყნის თვითმომქმედი კოლექტივი. ბურგასის სტადიონზე ერთმანეთს სცვილდნენ მოცეკვაეთა ანსამბლები ჩეხოსლოვაკიიდან, კუბიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან, იტალიიდან, ბელგიიდან, ინდოეთიდან, იაპონიიდან, ბირმიდან... ამ დიდ ფორუმში მონაწილეობდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლთან არსებული ქართული ცეკვის ანსამბლი «მხედრული», რომლის ცეკვამ აღაფრთოვანა მრავალათასიანი მყურებელი. ქართული მოცეკვაეების მიერ შესრულებული «ფარიჯოზა», «ლაშქრული», «ხოროში», «მხედრული», «ხევსურული ბალადა», «ანარარი» და სხვა ხალხური ცეკვები მჭახარე ტაშს იწვევდა. ეს იყო მრავალაუქუნოვანი ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება.

ანსამბლ «მხედრულის» დახვეწილ ოსტატობაზე წერდნენ ბულგარეთის გაზეთებიც, ეს წარმატება მით უფრო აღსანიშნავია, რომ იგი მოიპოვა თვითმომქმედმა კოლექტივმა, რომელშიც გაერთიანებული არიან მოცეკვარული მოცეკვაეები.

ანსამბლ «მხედრულის» ისტორია იწყება 1939 წლიდან, როცა იგი წარბაქებით გამო-

ვიდა თვითმომქმედი კოლექტივების დათვლილებზე. 1940 წელს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მილიციის სამმართველომ ანსამბლი დააკომპლექტა თავის დაწყოფებში მომუშავე ცეკვის მოყვარულთა საუკეთესო ძალებით.

დიდი სამამულო ომის პერიოდში «მხედრული» სისტემატიურად გამოიღოდა ევაკოპოსპიტლებში, საბჭოთა არმიის ნაწილებსა და ფრონტზე მიმავალ მებრძოლთა წინაშე. ამასთან ერთად, კოლექტივი მართავდა ფასიან კონცერტებსაც, რომელთა შემოსავალი თავდაცვის ფონდში ირიცხებოდა.

ანსამბლია წარმომადგენლები მხედრული შემართებით იბრძოდნენ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. სოლისტები: რ. მეტრეველი, ნ. რაზმაძე, ა. ლევიძე, შ. გოცირიძე გამორულად დაეცნენ ბრძოლის ველზე, ხოლო ერთ-ერთი წამყვანი მოცეკვავე გალაქტიონ რაზმაძე საბჭოთა კავშირის გამირი გახდა.

დაარსების დღიდან ანსამბლს ხელმძღვანელობს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მილიციის მაიორი მიხეილ (გრიგოლ) კობეშვიძე, 1954 წლიდან კი მიხეილთან ერთად, ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფია მისი შვილი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ჰამლეტ კობეშვიძე. ახლახან ანსამბლ «მხედრულს» 40 წელი შეუსრულდა, ამასთან დაკავშირებით, ჰ. კობეშვიძეს მიენიჭა ხელ-



ოცნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1943 წელს ანსამბლმა „მხედრულმა“ მონაწილეობა მიიღო მოსკოვში გამართულ ლენინური კომკავშირის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტში. საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ ანსამბლის სოლისტები და მისი ხელმძღვანელი.

ომისშემდგომ წლებში „მხედრული“, რომელიც მილიციის რესპუბლიკური სამმართველოს ცენტრალურ კვლბთან არსებობდა, აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო ოლიმპიადებსა და ფესტივალებში, რისთვისაც მას მრავალჯერ მიენიჭა ლაურეატის წოდება. მდიდარია და მრავალფეროვანი ანსამბლის რეპერტუარი, რომელშიც ქართული ხალხური ცეკვების გვერდით ზევდებით ეროვნული ტრადიციების საფუძველზე შექმნილ ახალ-ახალ ქორეოგრაფიულ სურათებს. მაღალია ანსამბლ „მხედრულის“ მხატვრული და ტექნიკური დონე, დახვეწილია მისი სამემსრულებლო ხელწერა და სტილი. ყოველივე ამის წყალობით ანსამბლ „მხედრულს“ სიხარულით ხვდებიან როგორც ჩვენს მომეჩ რესპუბლიკებში, ისე საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს საბჭოთა და უცხოეთის პრესა, რომელიც ანსამბლ „მხედრულის“ დასახსიათებლად არ იშურებს ეპითეტებს.

1974 წელს „მხედრული“ წარსდება კომინიოვში გამართულ ევროპის ქვეყნების ფესტივალზე, სადაც მან დიდი წარმატებით

დაიცვა მშობლიური ქორეოგრაფიული სტილი ლოცნების ღირსება. ამ დიდ პაექრობაში მარჯვებისთვის ანსამბლს მიეკუთვნა ფესტივალის „დიდი პრიზი“, პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება.

1975 წელს „მხედრული“ მონაწილეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. რუდოლფტატში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მას მიენიჭა პირველი პრიზი.

ანსამბლში აღიზარდა მრავალი ნიჭიერი შემოქმედი, დღეს ისინი წარმატებით მოღვაწეობენ პროფესიულ კოლექტივებში, ზოგიერთი მათგანი კი ხელმძღვანელობს თვითმომქმედ კოლექტივებს.

ანსამბლ „მხედრულში“ გაერთიანებულია 70 ქალიშვილი და ჭაბუკი, რომლებიც დიდი მონდობით სწავლობენ ფოლკლორულ მეგვიდრეობას, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხურ ცეკვებს.

ანსამბლის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ახალ საცეკვაო კომპოზიციებს — „მველი თბილისის ბოქვმა“, „ქართული „სიუიტი“, „ლხინი აფხაზეთში“, „შემთხვევა პაემანზე“, „მაღლა ხელური“, „ოსური მიპატიება“, „აპკრული სიუიტი“, „ხევსურული ბალადა“ და სხვა.

ამჟამად ანსამბლმა „მხედრულმა“ მოამზადა ახალი პროგრამა, რომელიც ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავის იუბილეს.







# ისტორიის საკითხები

## 1879—1913 წლების

## ზოგიერთ ქართულ

## საბავშვო

## კატალოგები

სოს თავისი მდგომარეობა. აკაკი წერეთლის ხელოვნების მიერ შექმნილი მხატვრული სახეობები დღლად და ისეთი სიმართლით უნდა ასახავდეს ცხოვრების ავ-ჯარგს, რომ ადამიანი „მშვენიერებისაკენ სიზარულთი მისიწრაფოდეს“, ხოლო ცუდს კი „ზიზღით გატრიაოდეს“ (აკაკის სიტყვა თქმული ქართული თეატრის არტისტთა წინაშე, ვაზ. „ივერია“, 1903 წ. № 192). მაშასადამე, ხელოვნება უღვიძებს ადამიანს შემოქმედებით: უნარს, აძლევს ბიძგს სილამაზის საძიებლად.

სხვაგვარად ესმოდათ ჩვენში ხელოვნების მიზანი და უწინააღმდეგო პრედონისტებს. მათი კონცეფცია მოდურია იყო, რასაც როგორც გ. წერეთელი აღნიშნავს, თვით გენიოსი ვ. ზოლაც ვერ ასცდა: რომ თითქოს ხელოვნება უნდა „მსახურებოდეს ცხოვრებას შიშის საშუალებით“-ო (გ. წერეთელი, „ორი ობოლი“ დრამა, ვაზ. „აკადემი“, 1893, ნ. 49). ხელოვნების დანიშნულების ამგვარ გაგებაში ნაგულისხმებია, რომ თუ საზოგადოებაში გაბატონებულია რომელიმე უაზროფიით თვისება, ხელოვნება ასეთი უაზროფიით თვისების მქონე ადამიანი მხატვრულ ნაწარმოებში ბოლომდე უნდა გამოამჟღავნოს და ბოლოს დაამარცხოს; ამას დინახავს მათურებელი ან მკითხველი და თეორიანიც. ვიდრე ცუდ შედეგამდე მივიდოდეს, გამოიწერებს მსგავს უაზროფიით თვისებას, ეს კი, როგორც ცნობილია, ხელოვნების თეორიაში ნიშნავს, რომ „ვენება იწმინდება მისი მსგავსი ვნების ტრაგიკული ასახვით“. პრედონისტების ენაზე კი ასე ითქვამს, რომ „ხელოვნება ემსახურება ცხოვრებას შიშის აღქმის საშუალებით“-ო.

ამ პერიოდში მსოფლიო ლიტერატურასა და დრამატურგიაში თავი იჩინა ნატურალისტურმა მიმდინარეობამ, რასაც დაეთანხმა გ. წერეთელი. ამ მხრივ საყურადღებოა დისკუსია, რომელიც გაიმართა ვაზზეთ „თიფლისკი ვესნიკ“-ის ფურცლებზე 1879 წლის მარტი, მწერალ ა. პალმა, რომელიც თბილისის რუსულ თეატრს ხელმძღვანელობდა და გიორგი წერეთელს შორის. ა. პალმა თბილისის ერთ-ერთ წრეში გამოვიდა ლექციით და ანეითარებდა ასეთ აზრს: „დრამის ტიხანის შეადგენს ცხოვრების ასახვა, ტიპების შექმნა; ტიპი კი თავისთავად სხვა არაფერია თუ არა გარკვეულ პირობებში ისეთ ნიშანთა კონცენტრირება, რომელნიც ყველაზე უკეთ წარმოგვიჩინენ მოცემულ ცხოვრებას თავისი დადებითი და უაზროფიითი მხარეებით, ტიპში თავმოყრილი უნდა იყოს მრავალი პიროვნებისათვის და მახასიათებელ თვისებათა ურჩხვი რაოდენობა“. გ. წერეთლმა კი მას დაეხვედრა ახალი აზრი ხელოვნების გაგებისა და ტიპიურობის შესახებ: „მხატვრულმა ლიტერატურამ უნდა იხელმძღვანელოს ცხოვრებაში ისეთივე მიზნებით, როგორცათვე ხელმძღვანელობდნენ სხვა ნებისმიერი გამოცდილი მეცნიერებანი: ცხოვრებაზე უშუალოდ დაკვირვების გზით კვშმარტების ძიება. ხელოვანი, რომანისტი იქნება ის თუ დრამატურგი, ვაიღებულა ჩვენ შეგვიქმნას ცხოვრების სახე ყველაჯისი გარემომცველი ვითარებით ისე, როგორც ეს არის, რათა წარმოგვიდგინოს მისი მართებული გამოსახულება. მასში ყოველი ცოცხალი პიროვნება თავისთავად არის ტიპი. იგი თავის თავში ატარებს ღრმა ანაბეკს იმ ცხოვრებისას, რომელიც ქმნის ამ პიროვნებას. ურჩხვი რაოდენობის ამგვარ პიროვნებათა გეგრილი არიან ისეთებიც, რომლებიც სხვა მათ მსგავსზე

ეფემია ხარაძე

80-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ ესთეტიკურ აზროვნებაში ხელოვნების დანიშნულების სხვადასხვაგვარი გაგება არსებობდა. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ძირითადად ჩერნიშევსკის ესთეტიკური ნააზრეიდთან ამოდიოდნენ, ხოლო ჩერნიშევსკის მიხედვით ხელოვნება დამოკიდებულია ცხოვრებაზე და მისი ღრმადულების საზომი იმაშია საძიებელი თუ როგორ ემსახურება იგი ცხოვრების მიერ დაყენებული ამოცანების გადაწყვეტას.

მოაქვს თუ არა საზოგადოებისათვის სარგებლობა. კუშმარიტი ხელოვნება უნდა იყოს რეალური სინამდვილის ასახვა და ამკვე დროს ამ სინამდვილის შესახებ განაჩენის გამოტანა, ამიტომ ცუდია ის ხელოვნანი, რომლის ნაწარმოები არ წარმოადგენს „ცხოვრების სახელმძღვანელოს“, რათა სწორად შეიციოს და შეაფა-



მთელი თავით მალა დგანან. მათი მოქმედებანი ცხოვრებაში მტრ ეფექტს ახდენენ და ყველას ყურადღებას იქცევენ. ამგვარი პროფენებები თვალში საცემნი არიან და სწორედ ისინი არიან ნამდვილი ცხოვრებისული ტიპები, რომლებიც ცოცხალ შობებულებას ახდენენ ყველაზე. მაგრამ მხოლოდ იმას შესწავს მათი ასახვისა და გაყოცლების უნარი, ვინც ფლობს ჩანსალ გონებას, ფაქიზ მგრძობლობის ნერვებსა და სწორად განვითარებულ ჩანსალ გრძობის ორგანოებს. მაგალითად, მისთვის, რომ იდეალურად ასათ რუსეთის არმის მართებული ნიშნები, საქმარისა შეგვიძლია დამაჯერებელი საღებავებით დახატო მისი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, თუნდაც მაგალითად სკოძოლევი, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისთვის დაამახასიათებელი სუბიექტური ნიშნების უკუღვებელებით. მის ამგვარად გამოხატვის შემთხვევაში, იგი იქნებოდა საუკეთესო ტიპი“ (გ. წერეთელი, ვაზ. ტიფანსკიი вестник 1879, № 38, „Лекции в кружок г. А. Пальм и Эришова“).

ხელოვნისაგან ასეთნაირად წარმოსახული მხატვრული სახით „მთელი საზოგადოება და მთელი ერი დაინახავს სატიკიარს და დამაუძღურებელს სენისაგან ავაგა ვანიკურნავს“ (გ. წერეთელი, ჩვენი სახიბა, ვაზ. „კვლევი“, 1894 № 5). გ. წერეთელი უარყოფს ხელოვნის ფანტაზიას და იმას, რომ მხატვრულ სახეში (ტიპში), გაერთიანებული უნდა იყოს უმარავ პროფენებთან დაამახასიათებელი ნიშნები, თვისებები. ასე რომ, გ. წერეთლის მიხედვით ხელოვნების მიზანია ცხოვრების გაუმჯობესება, რასაც ახერხებს სინანდელის მხოლოდ ფტორაგიული ასახვა.

საინტერესოა, რომ ამ დროის საქართველოში უკვე იყო კათარხისის არისტოტელესეული ცნების შესახებ გარკვეული შეხედულება. ფილოსოფოს არჩილ ჯორჯაძის მიხედვით ხელოვნება აღფრთოვანებაა, — ის ადამიანს აძლევს საზეიმო განწყობილებას, ავიწყებინებს საკეთარ თავს და აცოცლებს და აცხოვრებს სხვისი სიხარულითა და მწუხარებით. მაგალითად, მხატვრობა ავიწყებინებს ადამიანს ცხოვრების ერთფეროვნებას, მუსიკა აღფრთოვანებასთან ერთად ზოგჯერ შემოთთობის უგრძობობა იწვევს. სათეატრო ხელოვნება, სადაც მათურებელი სხვისი სიხარულით, მწუხარებით, გაკირვევით და ტანჯვით არის გატაცებული, იწვევს სიბრალეობის გრძობასა და თანაგრძობასაც, ხოლო სადაც თანაგრძობაა, იქ უანგარი სიხარულიცაა. გამოდის რომ ხელოვნება იწვევს აღფრთოვანებასაც, საზეიმო განწყობილებასაც, შემოთთობასაც, თანაგრძობასაც, სიბრალეულსაც, სიხარულსაც, რითაც ავიწყებინებს ადამიანს საკეთარ პროზაულ ცხოვრებას. მაგრამ, არჩილ ჯორჯაძის აზრით, მხოლოდ ამით არ ამოიწურება სათეატრო ხელოვნების მნიშვნელობა. ეს ხელოვნება სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანებს (მაყურებელს) ერთი ფქით, ერთი აზრით, ერთი მისწრაფებითა და სიხარულით მსჭვალავს და „ეს ერთი“ კი იდეაა ჰეილისა, რაც მსახიობს მოაქვს მაყურებელამდე. სწორედ ამ უმარავ ადამიანთა ერთი იდეალით გამსჭვალული ხედავს ქართული ფილოსოფოსი ხელოვნების საზოგადოებრივ მნიშვნელობას (ხელოვნების გამარჯვება. — ვაზ. „ცნობის ფტრცელი“, 1902 წ. № 1798).

ა. ჯორჯაძე არ ახსენებს არისტოტელის კათარხისის ცნებას, მაგრამ, როგორც ვხედავთ, საინტერესოა აქვენი დებულება, რომ „ატრავდია სიბრალეულსა და შიშის აღდგირის საშუალებით მსგავს ვნებათაგან განწყენდა ალწესს“ (საბჭოთა პერიოდში პროფ. ს. დანელიამ ეს აზრი მეცნიერულად დასაბუთა. იხ. არისტოტელი, პოეტიკა, პროფ. ს. დანელიას თარგმანით, წიგნისტევათით და შენიშვნებით, თბ. 1944 წ.).

ამ პერიოდში რაკი ხელოვნებას და ეკრძოდ სათეატრო ხელოვნებას ესოდედ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება, ჩადან ეს უკანასკნელი „უტყუარი ერთხული სარკეა („თეატრის მოყვარული“, „ქართული თეატრი“. — ვაზ. „ივერია“, 1895, ნ. 62), რადგან თეატრა აერთიანებო ადგილი, სადაც ქართული საზოგადოება თავს იყრის და საიდანაც ქართული ენა ისმის“ (ს-ი, „თეატრის მატეანე“, — ვაზ. „ივერია“, 1895, ნ. 260). „ამგლებო თეატრი კაცმა ყოველმხრივ უნდა განსაჯოს“ (გ. საყვარელიძე, „თეატრის მატეანე“. — ვაზ. „ივერია“, 1900 ნ. 237) — ვკითხულობთ იმ დროის პრესის ფტრცლებზე.

ამ დროს პრესის ფტრცლებზე თავს იჩენდა რაკი მოთხოვნების სათეატრო ხელოვნების მიმართ.

თეატრის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი დრამატურგია, რომელიც ცხოვრებას უნდა წარმოსახადდეს მალამხატვრული სერხებითა და საშუალებებით და სცენის კანონების ცოდნით. ამასთანვე ის „სამშობლო ნიადეგ უნდა იყოს დამუშავებული“ (ილია ჭავჭავაძე, „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“, — თხზ. სრული კრებულო, ტ. 3, თბილისი, 1958, გვ. 156). ამგვარად დაწერილი პიესები პირდაპირ თეატრში არ უნდა მილიოდეს, ის ჰერ დრამატულმა კომიტეტმა უნდა განიხილოს, შემდეგ ამ პიესაზე უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი, აზრა სპეკილისტებისა, „წყაითონ ხან სცენია და ლეტერატურა წარმომადგენლით“ (ე. ა. „იანიჩარი“, ისტორიული დრამა 5 მოქმედებად და 7 სტრათად და ნახუციშვილისა“ — ვაზ. „ცნობის ფტრცელი“, 1901, ნ. 1366) და თუ საერთო მოწონებას დაიმსახურებს, მხოლოდ მაშინ დადგან სცენაზე. ეს ეკით გავლენას იქონებო თვით დრამატურგის ჩამოყალიბებაზე, ნაწარმოების დახვეწაზე, მაყურებლის აღზრდაზე. სცენაზე განხორციელებულ პიესაში დრამატურგი ერთ-ერთ კიდევ დაინახავს ჰეილის დადგობის და უარყოფით მარეებს (იერ. გულისაშვილი, „ლია წერია დრამატული საზოგადოების გამგეობას“, — ვაზ. „ივერია“, 1896, ნ. 20).

როგორც იმდროინდელი პრესის ფტრცლებიდან ვხევებლობთ, რეპერტუარის პრობლემა მაშინაც ძალიან მწვევდ იდეა ქართული თეატრის წინაშე. განუორჩევლად იდგებოდა ყოველნარი ხარისხის ჰეისა და აი, ამ საქმის მოსაწესრიგებლად ქართული საზოგადოებრიობა დრამატული კომიტეტისაგან მოითხოვს, რომ „საეკრბოს ის 140 ორიგინალი ქართული პიესა, რომლებიც დღემდე ქართულ სცენაზე დადგმულან, მაგრამ ვერც არ დაბეჭდილან და დაბეჭდოს“. (გ. წერეთელი, „ჩვენი საიბობა“, — ვაზ. „კვალა“, 1895, № 6).

ცნობლია, რომ იმდროინდელ ქართულ თეატრში ხშირად ვადმოქართულებდნენ ხოლმე უცხოურ პიესებს, ჰეილის ვადმოქართულება მხოლოდ მომქმედ პი-



ბოთა გავარების შეცვლა როდია" (S-son ქართული სცენა ქუთაისში". ვახ. „ივერია“, 1899, № 253). „გადმოკეთებული ბიესა საჭიროა. მაგრამ ისეთი, რომელსაც საერთო აქვს ქართულ ცხოვრებასთან და ერის თავისებურებასთან“ (ლილი ჰეგეაძე, „ქართული თეატრი“, წერილი მეხუთე, თხზ. სრული კრებული, ტ. 111, თბილისი, 1958, გვ. 125). საზოგადოება მოითხოვს, რომ გადასწონ „გადმოკეთებული ბიესის ორიგინალია“ (გ. საყვარელიძე, „ქუთაისი, 28 იანვარი“ — ვახ. „ივერია“, 1901, № 34). უცხოელ კლასიკოსთა ორიგინალის ფაქტობრივ მოთხოვნა იმით იყო გამოწვეული, რომ უფრო ღრმად შეესწავლათ დრამატურების სტილი, მიერ მინარაულებდა. თავისებურებანი და ეს ეპოქა, როგორც ის ასახავს, რაც შეეხებდა თარგმანი ბიესების ავტორებს, მათგან მოითხოვდა რომ ბიესაში „ქართულობა უნდა მოჩანდეს“ და რომ „მთარგმნელისათვის საჭიროა ეგრეთვედებული დრამატული ძარველი“ (ილ. პონტელი, „ქართული თეატრი ქუთაისში“ — ვახ. „ცნობის ფურცელი“, 1897, № 337). კრიტიკოსსაც გარკვეულ მოთხოვნებს უყენებდა ქართული საზოგადოებრიობა: კრიტიკოსი შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული ისეთი თეატრკოსო უნდა იყოს თეატრიონა, რომელიც ხელოვნების თეორიის ცოდნას ეროვნულ დრამატურგიაზე გავარკველვს და შესაძლებს გერაც განუხილველი ბიესის ავტორების მიყნობის დასაბუთებას (ლილი ჰეგეაძე, „რა მიზეზია რომ კრიტიკა არა ვაძეკეს“, თხზ., ტ. 111, თბილისი, 1958, გვ. 156).

შეიღწეო მთავარი კომპონენტი თეატრის არის მსახიობი, მსახიობის მიმართაც გარკვეული მოთხოვნები არსებობდა ამ ეპოქაში. სახელდება: „ვერავთათი კრიტიკოსი ვერ წარმოადგენს, ვერ განვგვიმართებს დრამატულ წარმოებებს ისე, როგორც არტისტი“ (ილ. პონტელი, „ქართული თეატრი ქუთაისში“ — ვახ. „ცნობის ფურცელი“, 1897, № 337). მაგრამ მსახიობად ვახლომ მხოლოდ იმას შეუძლიან. ვისაც უნარი აქვს სცენაზე სხვად ქცევისა, სხვისი სახის წარმოდგენისა: „სცენა საკურთხეველი უნდა იყოს ხელოვნებისა, სადაც შეესწავა შეუძლიან მარტოდენ განწმენილით“ (ქრ. გახლავარ, „თეატრის მატეანე“, — ვახ. „ივერია“, 1898, № 66). თანამედროვე მსახიობისაგან მოითხოვენ როლის შეცნობის შესწავლას, განსაკუთრებით კლასიკურ პიესებში (გ. წერეთელი, „ჩვენი სახიობა. ავაზკენი, დრამა: 5 მოქ. შილდერისა, თარგ. ნ. ავალიშვილი“ — ვახ. „ივერია“, 1893, № 50). ემოციების გამოხატვას გარეგნული სიძნეწით და სისადავით, უშუალობას, სცენურ სიმართლეს, ბუნებრიობას სცენის კანონებისა და ზომიერების დაცვით (ილ. პონტელი, „ქართული თეატრი ქუთაისში“ — ვახ. „ცნობის ფურცელი“, 1897, № 337. ქრ. ყიფიანი, „ქართული თეატრი“ — ვახ. „ივერია“, 1904, № 71). მაგრამ თუ მსახიობი სუსტ ბიესაში თამაშობს: „მაშინ უფრო მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება როლის მიმართ“, რადგან „ცუდი ბიესის ვაგეითება შეუძლიან კარგ მსახიობს“ (გ. წერეთელი, „ჩვენი სახიობა“, — ვახ. „ივერია“, 1895, № 44; „თეატრი, ქართული წარმოდგენა“, — ვახ. „ცნობის ფურცელი“, 1900, № 1329).

რეჟისურის საკითხი კი ამჟამად ირჩეოდა: რეჟისორი განათლებული უნდა იყოს, აგრეთვე უნდა ჰქონ-

დეს ცხოვრების სათანადო, ღრმა ცოდნა, უნარი შექმნა ტრში შემოქმედებითი დისკოპონის დამყარებასთან სათვის, რომ მსახიობი ამოქმედის სწორ მოცემულ ან-საბეზის რეჟისორმა უნდა იბრძოდეს თეატრში სა-საბეზის ჩამოყალიბებისათვის და შევანების მსახი-ობის რომარ არსებობს დიდი და პატარა როლები“ (გ. წერეთელი, „ახანგანი“, დრამა მეველესი. — ვახ. „იველი“, 1894, № 5).

რაც შეეხება თეატრში მხატვრის ფუნქციას, ამ დროს სტანდარტული დეკორაციები წესად იყო შემო-ღებული“ (ს. გერსამია, ქუთაისის თეატრი, თბილისი, 1947, გვ. 47), ვინაიდან არ არსებობდა საშუალება თე-ატრული ბიესის, მისი სტილის და მასში ასახული დრო-ის მიხედვით, მხატვრული გაფორმებისათვის.

თეატრის საყურადღებო ფაქტორი არის მაცურებელი, სექტაკული მხოლოდ მაცურებელი თანდასწრებით იქ-მცნება: „ყოველნაირი ხელოვნება და განსაკუთრებით სცენური ხელოვნება, მათი წარმოება და ავეციება სა-ზოგადოების თანამგრძობლობაზე დამოკიდებული“ (ნ. დლიანი, სიტყვა თქველი თავ. ნ. ტ. დლიანის მიერ ქუთაისის თეატრის გახსნაზე 1896 წ. 31 მარტს. — „საქართველოს კალენდარი“, 1897 წ.). ამიტომ აკაცი წერეთლის აზრით „ქართული საზოგადოება კირისუ-ფალი უნდა იყოს ჩვენი საზოგადო საქმიების“ (ავ. წე-რეთელი თეატრის შესახებ“, თბილისი, ხელოვნება, 1955, გვ. 151).

მაგრამ საქმე ისაა, რომ ვასული საუქუნის 80-90-იან წლების პროფესიული ქართულ თეატრში მხოლოდ მა-ღალი ფენები დაირგობდნენ. ქართული თეატრის პრო-გრესულ მსცეურთ კი ეს დღესმარეობა არ ამაყოფი-ლებდით და ამას ყოველთვის ხაზს უსვამდნენ. „თეატ-რი — ამბობდა ლადო მესხიშვილი — ერთ რომელიმე კლასს არ უნდა ეკუთვნოდეს, ის უნდა ემსახურებო-დეს მთელ ერს“ (იმერეთის სათავად-აზნაურთა საგანგე-ბო კრება, ვახ. „ივერია“, 1905 წ. № 55). რადგან თეატ-რი არის ეკლესია, ტაძარი, რომლის კარები ყოველსა-ათვის ღია უნდა იყოს, განსაკუთრებით მშობლითათვის“ (ვლ. მესხიშვილი იუბილე ჩოხატაურში. — ვახ. „სი-პართლის ხმა“, 1913 წ. № 7, 15 მაისი). მამ, თეატრი არც ღმერთებს სკირდებოთ და არც ღელამიწაზე მოსი-არულე ზედნიერთ. თეატრი სკირდებოთ გაქრევილებოთ და მშობლით, რომელითაც დროებით მაინც დააიწყე-ბინებს დღეპირ ცხოვრებას და აზარაობს მაღალ იდე-ვებს. ამიტომაც ქართველი საზოგადოებრიობა დრამა-ტული საზოგადოებისაგან მოითხოვს, რომ სახალხო თე-ატრის მზრუნველთ აღმოუჩინოს შესაფერისი დასმა-რები, ბიბლიოთეკა, ტანსაცმელი, რეპერტუარი, ფულა-ლი სახსრები, რადგან „კარგი სახალხო თეატრი ეროვ-ნული საქმეა, (ორიოდ სიტყვა დრამატული სახეის სა-ყურადღებო, — ვახ. „ივერია“, 1905 წ. № 231).

საყურადღებოა, რომ იმდროინდელი ქართველი საზო-გადოებრიობა არ ემაყოფილებოდა მხოლოდ ქართულ თეატრის არსებობით, და ჰქონდა სურვილი, რომ საქართველოში ყოფილიყო რუსული თეატრიც. „ჩვენი და რუსის ცხოვრება ერთმანეთზე ძალიან დაახლოვე-ბულია, თუმცა ამას კი ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი იმის უდრადეს და იმათი ჩვენსას არას სჭირდება, ამ შემთხვე-ვაში სცენა შეიქმნება ერთ საუკეთესო საშუალებად.



რომლითაც უფრო გონება-განსილი ცხოვრება კეთილად იზიარებს ნაყვებად განთავსებულს... ეჭვი არ არის რუსული სცენა ამ აზრით არის გამართული ტვიფის რუს და ყველაზე უნდა ვიყოთ ამ კეთილის საქმის მოყვარულნი“ (გ. წერეთელი. „პროლოგი. სიტყვა კომედიანზე“ „ვია ჰუკისაგან“ და რუსულ ტაქტურაზედ, — გაზ. „დროება“, 1868, № 11).

პრუსის გავითლებულ ფურცლებზე დარჩენილი მასალებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ნიკო დადიანის სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა ქუთაისში 1896 წლის 31 მარტს, ქართული თეატრის განახლებულ შენობის გახსნისას. ნიკო დადიანის მიხედვით ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში ცხოვრების არსებით მამოძრავებელ პუნქტებად მიჩნეულია ოთხი მხარე: ოჯახი, სარწმუნოება, სკოლა და სცენა. ამ ოთხ მხარეში ერთ-ერთი პუნქტი სათეატრო ხელოვნებაა.

ნიკო დადიანის აზრით დაძინარი სათეატრო ხელოვნების საშუალებით ხედვას იმ არსებობის, რაც შეიძლება გამოირჩეს ცხოვრებაში. სცენაზე ცხოვრების ავკარგის ხედვა ესეთიკერუტ განდის აძლევს მას. ამით აერთიანებს მათეურებელს დრამატურგის მიერ ხორკშესმულ ობიექტთან, რაც სცენაზე მსახიობს მოაქვს, მათეურებელს სათეატრო ხელოვნება დროებით ავიწყებინებს ყოველდღიურ ბოროტულ ცხოვრებას: „სცენა ხორკშესმული გამოსახვა არის ცხოვრების ავკარგისა, რომელიც ცხოველ ნაკადულად ჩამდინარებს გულსა და გრძნობაში, ასევენებს ყოფის ვარძით დაღალულ სულს, თან აჩენს ღრმა ეკლს და უძლიერ სურვილსა და მისწრაფებას წარმატების გზაზე“. ასეთ ღიღ საზოგადოებრივ მნიშვნელობას აძლევს ნიკო დადიანი თეატრს და თან დასძინებს: „სცენა მარტო დამოკიდებულია ხალხის გრძნობასა და ცნობაზე, ჩვენს კისრად არის“. ნიკო დადიანი შეუხო ქართული თეატრის ისტორიასაც. წარმართობის დროის ქართულ თეატრს „სახალხო გამოყენებას და სახიობას ე. წ. წარმოდგენას“ ეძახის. ანტიკური ქართული თეატრი მისტერიებმა და სასულიერო წარმოდგენებმა შეცვალა. მე-13 საუკუნის მისტიკრიების ატროზად არ სცენა კათოლიკოსის ბულმანისი ძეს ასახელებს. გიორგი ერისთავის თეატრს განახლებულ სცენას ეძახის, ხოლო 1879 წ. აღდგენილი, აღორძინებულ ქართულ თეატრს „ახლად ფეხადგმულ სცენას“ (სიტყვა თქმული თავ. ნ. ტ. დადიანის მიერ ქ. ქუთაისის თეატრის გახსნაზე 1896 წ. 31 მარტს. — „საქართველოს კულტურა“, 1897). ნიკო დადიანის სიტყვიდან ჩანს, რომ ქართული თეატრის სახე ყოველი ფორმაციის შეცვლასთან დაკავშირებით იცვლებოდა, იცვლებოდა მისი მიზანიც და ფუნქციაც.

ბოლოს, გვინდა შეეჩერდეთ ლაღო მესხიშვილის ერთ სიტყვაზე, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა გამოირჩეილი ქართველი ხელოვნების მოქალაქეობრივ მრწამსზე და თეატრის საზოგადოებრივი ფუნქციების შესახებ მის შეხედულებაზე. ამ სიტყვას ჩვენ მივაკვლიეთ განხუთი „სიმაართლის ხმა“ (1913 წ. № 7, 15 მაისი, „ვლ. მესხიშვილის იუბილე ჩოხატაბურში“, ამ გამოკვლევას ღიღ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმდენად, რამდენდაც ლაღო მესხიშვილის ნააზრევი ჭერ-ჭერობით ნაკლებადაა შესწავლილი. მოვიტანთ სიტყვას მთლიანად.

„მე ორკეც სიამოვნებას ვგრძნობ აქ, თქვენე ბატონო ვისკეპით, ვინაღდან თქვენ ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებას მოწყვეტომა პატარა დაბამ და საზოგადოებამ დააფასა თეატრი, აიგეთ ხელოვნების ტაძარი. მით უფრო საკვირველია ეს, რომ ტაძარი აიგო იმ ხალხმა, გურულეებმა, რომლებსაც მრავალი აგებულ ტაძარი დაუნგრავს. მაგრამ ხალხი ძლიერი და ყიაროი სახედამოდ არასოდეს არ დამარცხდება, საბოლოოდ ის თავისას მინც გაიტანს და თუ შეერთებულ ძალით იმოქმედებს, უძლიერეს მებრუნს კი დაამარცხებს. შე ვიბოვით იმოქმედებ შეირბოვლად, იაზრთ თეატრში, სამეცნიერეობებში, ვისაც კი გაინტერესებთ სწავლა და წიხსვლა, აღზარდეთ შვილები; ეს უნდა ეკუთვნოდეს თეატრს? ამაზე ახსნით ჩვენ თუ მეორე კითხვას დაუპირისპირებთ: ვისი უნდა იყოს ეკლსა, ვინ უნდა დადიოდეს შიე? ვისაც სწამს ის. ასეთიო თეატრიც, თეატრი არის ხელოვნების სკოლა, რომელშიც ხალხი პოულობს სულიერი საზრდოს, შეგება-განვითარებას, მისწრაფის ახალ ცხოვრებისაკენ. შრომას და ენერგისა ძლიერი მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ მისით შეიძლება ადამიანობას მიენიოს სულიერი კეთილდღეობა. თეატრი არის სკოლა გონების და სულიერი საუნჯე. იშრომეთ, იშრომეთ სულ ყველაზე, შეერთებული ძალით. გააკეთეთ ვისაც რამდენი შეგიძლიათ და მომავალი თქვენი იქნება, კვლავ გისურვებთ დღეს ნაყროსხი თქვენი პატარა ტაძარი რამდენიმე წელწიღს შემდეგ საგრძნობლად გადიდებულიყოს“.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა რეაქციის ბატონობის პერიოდს ემთხვევა, ჩვენ შეგვიძლია ერთხელ კიდევ დავინახოთ თუ რამდენად თანმიმდევრულად ინარჩუნებდა ღიღი მსახიობი და რეჟისორი იმ პროგრესულ მოქალაქეობრივ მრწამსს, რომელსაც მთელის ალტკინებით 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში ავლენდა და რის გამოც მას სამართლიანად შეარქვეს მსახიობი-ტრიბუნი. ეს სიტყვა ადასტურებს, რომ ლაღო მესხიშვილი ისეთვე მსახიობ-ტრიბუნად დარჩა რეაქციის პერიოდშიც, როგორც ის წარსულად 1905 წლის აპრილში იმერეთის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე, სადაც მან შეკრიბილი მიმართა: „...მესხიშვილი მხოლოდ თავად-აზნაურობას არ ეკუთვნის თავად-აზნაურობას არ ემსახურება, არამედ მთელს საქართველოს. მესხიშვილი თქვენი ცხოვრების სარკეა და ამ სარკეში ნათლად ხედავთ თქვენი ზნეობის დაცემას. თქვენს უვიკობას და გათახსირებას, ...ახლა იმავე სიტყვაზე ვდღევართ და იმასვე გუეზნებით როგორც ქართველი: ქვეყნის საუნჯე თქვენვე შთანთქოთ თქვენი სიხარბითაც და უვიკობითაც! ახლა როდესაც ყველა ცხოვრების განმჯობესებას ცდილობს, ნუ გგონიათ, რომ მესხიშვილი გარემდეს... გავიმეორებთ: დაივიწყეთ თქვენი წოდება, ამოუღებეთ გვერდში ხალხის უმრავლესობას, თორემ პეტრეკებთ და დრესებთ ვერაფერს გიშველით!“ (გაზეთი „ივერია“, 1905 წ. № 55).

ეს მოკლე მიმოხილვა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა იმ საერთო ტენდენციებზე, რაც ქართულ ესთეტიკურ აზრს ახასიათებდა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში.

# ისტორიულ პირთა პორტრეტები ტაბაქინის ეკლესიაში

ირინე მამაიაშვილი

ისტორიულ პირთა — კტიტორთა გამოსახულებანი ქართულ ხელოვნებაში უძველესი ხანიდან გვხვდება. დროთა მანძილზე საერო პორტრეტი სახეს იცვლის, — ძველ მხატვრულ ტრადიციასთან გარკვეული კავშირის შენარჩუნებასთან ერთად ჩნდება ახალი ნიშნები. XIV საუკუნიდან ისტორიულ პირთა გამოსახულებებში შეინიშნება მკვეთრი ცვლილებები, როგორც კომპოზიციათა მხატვრული გადაწყვეტის, ისე კტიტორთა რიცხვის გაზრდის მხრივაც.

კტიტორთა პორტრეტებს სპეციალური გამოკვლევები უძღვნა გ. ალიბეგაშვილმა.<sup>1</sup> ადრე გამოცემულ ნაშრომში საფუძვლიანად არის შესწავლილი XI-XIII სს. კტიტორთა გამოსახულებანი და მოკლედა დახასიათებული გვიანი პერიოდის ნიმუშები; ბოლო გამოკვლევაში თუმცა ყურადღება ისევ ადრინდელი პერიოდის პორტრეტებზეა გამახვილებული, მაგრამ მასში განალოზებულია გვიანდელი ნიმუშებიც, გამოკვლილია სტილისტიკური ცვლილებანი.

გვიანშუასაუკუნეთა ქედურ ხატებზე გამოსახულ კტიტორთა პორტრეტების განხილვისას ლ. ხუსცივიძე ავლენს იმ სტილისტიკურ ცვლილებებს, რაც განიცადა საერო პორტრეტმა ქედურ ხატებზე, წინა ხანასთან შედარებით.<sup>2</sup>

კტიტორთა პორტრეტების შესწავლას ეხება აგრეთვე მ. ვაჩაბაძე. იგი შენიშნავს კახეთის XVI ს. მხატვრობაში (ალვანი, გრემი, შუამთა, ნერკესი) წარმოდგენილ ისტორიულ პირთა გამოსახულებების კავშირს ადრინდელი პერიოდის კტიტორთა პორტრეტებთან.<sup>3</sup> გვიანშუასაუკუნეთა „ხალხური“ მხატვრობის

საერო პორტრეტის თავისებურებები მოკვლეულია ჩემს ნაშრომში.<sup>4</sup>

გვიანშუასაუკუნეთა საერო პორტრეტის კლევა გრძელდება. ყოველი ნიმუში ახალ, მეტად საინტერესო მასალას იძლევა.

სტილისტიკურად მკვეთრად განსხვავებულია პროფესიული და „ხალხური“ მხატვრობის ნიმუშები. ხალხურ ნიმუშებს, უმეტეს შემთხვევაში შედარებით მკირვ ზომის ეკლესიებში ვხვდებით. მათში შეინიშნება ისტორიულ პირთა გამოსახულებების სიმრავლე — კტიტორები თითქმის მთლიანად ავსებენ ქვედა რეგისტრებს და ეკლესიაში შესული მლოცველი საერთო პირთა გარემოცვაში ხვდება.

ტაბაქინის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის მოხატულობა წარმოდგენს ხალხური მხატვრობის ნიმუშს. მასში გამოსახულია რამდენიმე ისტორიული პირი — მთავარეპისკოპოსი გერასიმე ჩხეტიძე და ექვსი ფეოდალი.

ტაბაქინის ეკლესია VI-VII საუკუნეების ორნავიანი ნაგებობაა კრიპტის, სამხრეთის მხარეს სტოათი და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს — ეკედერიით. XVI საუკუნის მხატვრობა, რომელშიც წარმოდგენილია მრავალფეროვანი იკონოგრაფიული პროგრამა და კტიტორთა გამოსახულებანი, ამკობს მხოლოდ ნავეებს; ეკლესიის სხვა ნაწილებში მოხატულობის კვალი არ შეინიშნება.

ცენტრალურ ნაწილში, სამხრეთის კედლის შუა მონაკვეთში მხოლოდ მთავარეპისკოპოს გერასიმე ჩხეტიძის პორტრეტია მოთავსებული, ფეოდალთა ფიგურები კი ჩრდილოეთის ვიწრო ნაწილა დატანული, რომელშიც ზედა რეგისტრები განკითხვის დღის ვრცელ

კომპოზიციას უჭირავს. ცალკე, ნავის დასავლეთის კედელზე, ქვედა რეგისტრში შემორჩენილია ფეოდალის გამოსახულება ეკლესიის მოედლით ხელში, ხოლო ჩრდილოეთის კედელზე — ფეოდალთა ხუთი ფიგურა. ეს პორტრეტები მთლიანად ავსებენ კედლის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთს კარამდე, ხოლო კარის მეორე მხარეს გამატარობა დაღუპულია. არ არის გამოჩენილი, რომ კედლის ამ ნაწილშიც გრძელდებოდა ფეოდალთა რიგი. სამხრეთის საყრდენ სვეტზე, შემორჩენილი ქსოვილის ფრაგმენტის მიხედვით, რომლის ბადისებრი ორნამენტი ეტიკორთა ტანსაცმლის ქსოვილის მსგავსია, საერო პირის გამოსახულების არსებობას ვვარაუდობთ.

გ. ჩხეტიძის გამოსახულების მოთავსება ცენტრალურ სთავსში, თვალსაჩინო ადგილას, მიუთითებს, რომ მთავარი დამკვეთი არქიეპისკოპოსი უნდა იყოს. ამასვე ადასტურებს გრძელი ასომთავრული წარწერა, რომელშიც აღნიშნულია ეკლესიის აღდგენა და მოხატვა მისი ინიციატივით (წარწერა ნუსხნარევი, „ამბებით“ შესრულებული).

„აქა წამიღის: გიორგის: მონასტერი: ძალევისა: და ყოლაწმინდისა დამათის: მამობლისა: დაქნილებული დაოხებულნი: აღვაშენე: მე ჩხეტიძე: ქათათელმა: გურასიმე: ცაოღვანი მისნი შეონდო: ღმერთამა ამინ: და კირიალუსო:“

„აქა წმინდა გიორგის მონასტერი ძლევისა და ეველაწმინდისა ღმრთის მშობლისა დაქნილებული დაოხებულნი აღვაშენე მე ჩხეტიძემ ქათათელმა გურასიმემ ცოღვანი მისნი შეუნდოს ღმერთმა ამინ და კირიალუსო.“

ხელნაწერთა მიხედვით ჩვენთვის ცნობილია გურასიმე ჩხეტიძის გარდაცვალების თარიღი — 1529 წელი.<sup>5</sup> ვინაიდან მთავარეპისკოპოსი მხატვრობის დამკვეთია, მისი სიკვდილის თარიღი მოხატულობის შესრულების ზედა ზღვარი უნდა იყოს.

ტაბაქინის მხატვრობა XVI საუკუნით არის დათარიღებული შ. ამირანაშვილის მიერ.<sup>6</sup> ნაგებობის არქიტექტურის კვლევისას, მოხატვის დროის დაზუსტების მიზნით ნ. ჩუბინაშვილმა და გ. გაფრინდაშვილმა სცადეს დანარჩენ ისტორიულ პირთა ვინაობის განსაზღვრა.<sup>7</sup>

ჩრდილოეთის ნავის ჩრდილო კედელზე წარმოდგენილ ფეოდალთა პორტრეტებთან მათ ამოკითხეს წარწერის ფრაგმენტი — ჩხ.. (ამჟამად არ იკითხება), რომლის მიხედვით და რაც მთავარია, იმ ფაქტზე დაყრდნო-

ბით, რომ ტაბაქინი ჩხეტიძეთა სამფლობელოში შედიოდა. ეს გამოსახულებანი მკვლევარებმა ჩხეტიძეთა გვარის წარმომადგენლებლად მიჩნეს.

ჩრდილოეთის ნავის დასავლეთ კედელზე, ცალკე გამოსახულ ისტორიულ პირს განსაზღვრავს ასომთავრული წარწერა — „ს (ო) ლ კურთხელსა ბგ (რტ) ს შეუნდნე ღმერთმა ამნ“ — სულკურთხელსა ბაგარტს შეუნდნე ღმერთმა ამინ. (ნ. ჩუბინაშვილმა და გ. გაფრინდაშვილმა გამოაქვეყნეს წარწერა).

წარწერის საფუძველზე მკვლევარებმა აღნიშნული პიროვნება დაუკავშირეს იმიერეთის მეფე ბაგრატ III (1510—1565 წწ.), ხოლო 1510—1529 წწ. — ბაგრატ III და გურასიმე ჩხეტიძის ერთდროულად მოღვაწეობის პერიოდი, მათ მიიღეს მხატვრობის შესრულების ხანა.

დასავლეთ კედელზე გამოსახული ისტორიული პირის ბაგრატ III-ედ მიჩნევა არ შეიძლება დავითანხმით. წარწერის მიხედვით, აქ გამოსახულია „სულკურთხეული“ ანუ გარდაცვლილი ბაგრატი, მეფე ბაგრატი კი მხატვრობის დამკვეთ გურასიმე ჩხეტიძეზე ვიან გარდაცვლია (გ. ჩხეტიძე — 1529 წ., ბაგრატ III — 1569 წ.).<sup>8</sup>

გარდა ამ ფაქტისა, პორტრეტზე გამოსახული პიროვნება ტანსაცმლის მიხედვით მეფე არ უნდა იყოს. ბაგრატს აკვია მის გვერდით ჩამწკრივებულ ფეოდალთა მსგავსი ჩასაცმელი — ამ ხანაში ფართოდ გავრცელებული წელიწადი გამოყვანილი კაბა. თემომზე გადაფენილი ქაბით. ასურავს მაღალი, ორმაგფარფლებიანი, ძვირფასი ქვებით შემკული ქელი. ამგვარი ფორმის ქუდიც გვხვდება ფეოდალთა გამოსახულებებში ვიანაშუასაუკუნეთა მხატვრობაში — ობჩაში, იღმში, მარტვილში.

ამგვარად, ბაგრატის გამოსახულების მეფედ მიჩნევის საფუძველს არაფერი იძლევა. მისი საგანგებოდ გამოყოფა და ეკლესიის მოედლი უნდა მიუთითებდეს, რომ ამ უკვე გარდაცვლილმა ფეოდალმა თავის დროზე მონაწილეობა მიიღო ეკლესიის განახლებაში.

ამრიგად, მხატვრობის დათარიღების საშუალებას იძლევა მხოლოდ გურასიმე ჩხეტიძის გარდაცვალების წელი — 1529 წ. და რადგან დამკვეთი გამოსახულია ჰალარა მოხეცი სახით, საგარეოდ, რომ ეკლესია მოხატულია მისი ცხოვრების ბოლო პერიოდში — ე. ი. XVI საუკუნის პირველ მეასეწელში.

გერასიმე ჩხეტიძის პორტრეტი წარმოდგენილია მრავალფიგურიან კომპოზიციაში. მოხატვის შემდეგ ვაჭრობა სამხრეთის კარმა დააზიანა გამოსახულება — ფიგურა ანადგურდა წელს ქვემოთ, ბათქაში აცენილია მკერდზე. კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია თალი გამოყოფილი კტორის დიდი, ფრონტალური ფიგურა, ეკლესიის მოდელით ხელში; მას აცვია წრებში ჩასმული ჯვრებით მოფენილი მოხაერისფრო ფელონი, ახურავს მინანქრის პატარა ხატებით შემკული მოწითალო-ყავისფერი მიტრა. თლსა და კტორის ფიგურას შორის დარჩენილი ღერძი ფონი შეესებულება ზემოთმოყვანილი ასომთავრული გრძელი წარწერით, თლის მარჯვენა მხარეს დგას მთავარანგელოზი, რომელსაც ორივე ხელით სამწერობელი უჭირავს, ხოლო მარცხენა — მღვდელთმსახური გრავნილით, ორივეს აცვია მოხაერისფრო ქიტონი, მთავარანგელოზის ზემოთ მოთავსებულია ანგელოზის ძალიან პატარა გამოსახულება სამწერლობით ხელში. ფიგურები მიმართულნი არიან ცენტრში მოთავსებული მთავარპისკოპოსისაკენ.

საყურადღებოა, რომ გერასიმე ჩხეტიძემ დგას ვედრების გარეშე, ფრონტალურად, ხოლო მოდელი მიმართული არა აქვს რომელიმე წმინდანისკენ ან საკურთხევისკენ, რასაც ჩვეულებრივ ეხედებოდა შესაბამისი თაქრთულ მხატვრობაში. კტორის მოდელი მარცხენა ხელში უჭირავს და საზეიმოდ წარმოადგენს მას.

გვიანშუაუკუნეთა მხატვრობაში სამღვდელი პირთა საკმაოდ ბევრი გამოსახულება გვხვდება: გელათის წმ. გიორგის და ლვის-მშობლის ეკლესიებში — ევდემონ ჩხეტიძის პორტრეტები (XVI ს.); ვანის მოხატულობაში — მელქისედეგ საყვარელიძე (XVI ს.); წითლხევში — საბა კვირიკაძე (XVI—XVII სს); მარტვილის დას. ნართქისის სამხრეთის ეკლესიის ნიშაში — ჯონდიდელი ზოსიმე; წალენჯიხის სამხრეთის ეკლესიის ჩრდ. კედელზე — კანდელაკი მოძღვარი ეფემიძე მელქისედეგი. ყველა სამღვდელი პირი ვედრების გარეშე, კურთხევით არის გამოსახული, რაც მიუთითებს, რომ მათთვის შემუშავებული იყო საერთო პირთაგან განსხვავებული იკონოგრაფიული სქემა.

ტაბაინის მხატვრობის კტორის გ. ჩხეტიძის გამოსახულება დაზიანებულია, სავარაუდოა, რომ მარჯვენა ხელით ისიც აკურთხებდა, რიც გამოც მოდელი მარცხენა ხელში უჭირავს.

მეორე კტორის, გარდაცლილი ბაგრატის გამოსახულებას მთლიანად უჭირავს ჩრდილოეთის ნაის დასავლეთის ეკლესიის

ქვედა რეგისტრი. ფიგურა ძალიან დაზიანებულია.

კტორი წარმოდგენილია ფრონტალურად, ხელში უჭირავს ეკლესიის მოდელი, რომლისკენაც მიმართულია ცის სეგმენტოდან დამუშავებული ღვთის მავურთხეველი მარჯვენა. მარცხენა კუთხეში მოთავსებულია ანგელოზის პატარა ფიგურა კურთხევით აღმართული ხელით. ის ნათელ, ყვითელ ფონზეა გამოსახული, რომელიც ფიგურის წელს ქვემოთ შესებულია მსხვილი, სტილიზებული ყვავილევანი ორნამენტით. ეკლესიის მოდელის ქვემოთ ასომთავრული წარწერაა მოთავსებული.

ბაგრატს აცვია მოწითალო-ყავისფერი კაბა ფართო ყვითელი ქაშრით, რომელიც დაბოლოებულია მოწითალო-მოყავისფრო ფოჩებით. ქსოვილი დაფარულია თეთრთა და წითლით შესრულებული ნუშისებრი ორნამენტითა და მარჯალიტებით. კაბის ქვეშ აცვია თეთრი პერანგი, რომელიც სამკუთხედის სახით ჩანს ყელთან. ქუდი მოწით

წითლხევი. კტორი საბა კვირიკაძე





ბუგაველი. კტორები — ლაშვილები

თალო-ყავისფერია, შემყული მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით; უკეთია გრძელი საყურეები.

ჩრდილოეთის კედელზე ჩამწკრივებული ზეით ფეოდალის გამოსახულება იმდენად დაზიანებულია, რომ მთავან მხოლოდ უმწიფველი ნაშთიღა დარჩენილი — გაირჩევა ფარფლებიან ქუდის კონტური, ტანსაცმლის ქსოვილები ბადისებრი ორნამენტითა და მარგალიტებით, ისრისპირის მსგავსი ორნამენტით. ყვითელი ფონი, დახალოებით ფიგურათა წელამდე, ბაგრატის კომპოზიციის მსგავსად, მსხვილი სტილიზებული მკეწარეული ორნამენტით არის დაფარული.

კტორთაგან მხოლოდ გ. ჩხეტიძის პორტრეტის ადგილი გამოირჩევა თვალსაჩინოებით — ჩრდილოეთის კარიდან ჩრდილოეთის ნაწილში შესვლისას მხედველობის არეში, პირველ რიგში, ეს პორტრეტი აღმოჩნდება. გარდა იმისა, რომ გამოსახულება თავისთავად დილია, მის ზომას ხაზს უსვამს კომპოზიციის შემომსაზღვრელი ზედა ხაზის მეზობელ სცენებზე ზემოთ აწევა და თლის ზედა რეგისტრში შეჭრა. ამის შედეგად გ. ჩხეტიძის პორტრეტი უფრო მეტადაა ხაზგასმული, ვიდრე მის ვეგრდით მოთავსებული „ალევის“ წმ. გიორგის ასევე საკმაოდ დიდი კომპოზიცია.

გ. ჩხეტიძის გამოსახულება ხაზგასმულია მისი შემომსაზღვრელი თლით და მასში მოქცეული, კომპოზიციის საერთო ყვითელი ფონისაგან განსხვავებული ლურჯი ფონით. მთავარ ფიგურაზე ყურადღებას ამახვილებს დიდი ყვითელი შარვანდიც, რომელიც მუქ

ფონზე მკვეთრად ელერს (სცენის მონაწილე ანგლოზებს ცისფერი შარვანდები ეტყობათ).  
გ. ჩხეტიძის გამოსახულება

გ. ჩხეტიძის ფიგურის საგანგებოდ გამოყოფა მისი შემოსასვლელის პირდაპირ, თვალსაჩინო ადგილს მოთავსება ქართულ მხატვრობაში დამკვიდრებულ კტორთა გამოსახვის ტრადიციის შეესატყვისება.

ფეოდალთა ფიგურები ვიწრო, შედარებით ცუდად განათებულ ჩრდილოეთის ნაწილში არიან მოთავსებულნი, მაგრამ ნათელ ფონზე განლაგებულ ფეოდალთა რიგი გარკვევით იკითხება არა მარტო ნაწილში შეტყვისისას, არამედ ცენტრალური სათავსიდანაც ჩრდილო-დასავლეთის თლის დიობში. ფიგურათა ზომები, განსაკუთრებით კი ბაგრატის გამოსახულების სიდიდე, ბევრად აღემატება განკითხვის დიდი კომპოზიციის პერსონაჟებს და ამით თვითდამწვე იპყრობს ყურადღებას ნაწილში მოხატულობაში.

დიდი ზომების მიუხედავად, კტორთა პორტრეტები ერწყმიან მხატვრობის ანსამბლს — ამის მიზეზია, პირველ რიგში. საერთო ფერადოვანი ვაშა, შექმნილი მოწითალო-ყავისფერი, ლურჯი, ყვითელი ლოკალური ფერადოვანი ლაქების ურთიერთდაპირისპირებით. ვარდა ამისა, მხატვრობის ავების საერთო სისტემა ხალჩისებრია — ერთმანეთში გადახალართული სცენები არ არის მკაფიოდ შემოსაზღვრული; გერასიმე ჩხეტიძის პორტრეტში, სცენის მონაწილე ფიგურათა პატარა ზომები ასევე ერთგვარად აკავშირებენ გამოსახულებას მხატვრობასთან.

ამრიგად, კტორები დიფერენცირებულნი არიან. ყველაზე თვალსაჩინო ადგილს მოთავსებულია მთავარი კტორი — მთავალი წოდების სამღვდელთა პირი გერასიმე ჩხეტიძე. ჩრდილოეთის ნაწილში ხაზგასმულია ეკლესიის მოედლითა და ცალკე კედელზე გამოსახვით ბაგრატის პორტრეტი. როგორც ჩანს, ბაგრატსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ეკლესიის შემუშავებაში. დანარჩენი ფეოდალები მთითვის გამოყოფილი ადგილის სიდიდის მიხედვით, უფროდ მოედლის გარეშე იყვნენ გამოსახულნი.

ფეოდალთა გამოსახულებების ჩრდილოეთ ნაწილში მოთავსება, პირველ რიგში, განპირობებული უნდა იყოს ნაგებობის სპეციფიკით — რადგან ცენტრალური ნაწილში თვითდამწვე ჩრდილოეთის ნაწილში, ადგილი კტორთათვის არება მხოლოდ სამხრეთისა და დასავლეთის კედელზე. დასავლეთის კედელი ვიწროა. მასზე ვერ მოთავსდებოდა კტორთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, ხოლო მათი სამხრეთის კედელზე ჩამწკრივების შემთხვევაში მთავარი კტორი აღარ იქნენ-



ბოლა საგანგებოდ გამოყოფილი. ფეოდალთა ფიგურების ჩრდილოეთის ნაწიში მოთავსებით, მხატვარს მიეცა საშუალება თავისუფლად განეღებინა ისინი ამ სათასში.

კტიტორთა დიფერენცირების მავალითები ბეგრის როგორც ადრინდელ პერიოდში, ასევე გვიანშუასაუკუნეებშიც, მაგრამ თუ ადრინდელ პერიოდში მათი ფიგურები დიფერენცირებული არიან კუთრი სქემის ფარგლებში, გამოსახულ პირთა საზოგადოებრივი მდგომარეობის იერარქიის შესაბამისად, გვიანდელ ნიმუშებში ისინი უფრო თამამად არიან გამოყოფილი, რითაც ირღვევა დამკვიდრებული ტრადიცია და საერო პირთა განლაგებაში მეტი თავისუფლება შეინიშნება. მავალითად: ვანის ეკლესიის XVI საუკუნის მონასტრობაში მეფე ალექსანდრეს პორტრეტი კტიტორთა რიგის ზემოთ, მეორე რეგისტრში, სახარების სცენათა შორის არის ჩართული, ხოლო მთავარეპისკოპოსი მეღქმისედაც საეკლესიო-ბე ახლოსში, მღვდელმთავართა რიგშია წარმოდგენილი; წითელზევის ეკლესიაში სამღვდელ პირი საბა კვირიკაძე ასევე ახლოსშია გამოსახული.

გარდა კტიტორთა თავისუფალი დიფერენცირებისა, საერო პირთა სიმრავლის გამო, მათ აღარ უჭირავთ გარკვეული ადგილი და მწკრივებად ავსებენ ქვედა რეგისტრებს (ქალა, ბუგეული, წითელზევი).

გვიანშუასაუკუნეთა პორტრეტში ტრადიციონალ დადასრუბები ჩანს არა მხოლოდ კტიტორთათვის ადგილის შერჩევას, არამედ კომპოზიციათა მხატვრული გადწყვეტის მხრივაც.

ტაბაქინის მხატვრობაში კტიტორთა ყველა გამოსახულება ფრონტალურად არის წარმოდგენილი.

გ. ჩხეტიძის პორტრეტი, რომელშიც კტიტორი ეკლესიის კუთხეების სცენაშია გამოსახული, არატიპური კომპოზიციაა. ფიგურა მოქმედების დროს არის გამოსახული, მაგრამ მისი მკაცრი ფრონტალური პოზა ყოველგვარ მოძრაობას გამორიცხავს, მით უმეტეს, რომ გამოსახულება თაღით არის შემოსაზღვრული და კავშირი მისკენ მიმართულ ფიგურებთან ფორმალურია.

ცალკე კედელზე გამოყოფილი ბაგრატის პორტრეტი უშუალოდ ემთხვევა ფეოდალთა გამოსახულებებს და ამ მხრივ მათი მწკრივის გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოსახულება სრულიად დამოუკიდებლად იკითხება, რადგან ფრონტალური ფიგურა სტატიკურია, ხოლო ეკლესიის მოდელი და ანგლოზის ფიგურა ორივე მხრიდან სახლტრავენ შას.

კტიტორთა მწკრივი იმდენად ცუდად არის დაკული, რომ კომპოზიციის საერთო სქემის წარმოდგენა ამ ხანაში ფაქტობრივად გავრცელებული — კტიტორთა სხვა მწკრივების მიხედვით გვიჩვენებს — ესენია ფიგურები აღმოსავლეთისკენ ვედრებით მიმართული ხელებით.

კტიტორთა მწკრივებს ადრინდელი ხანის მავალითშიც ხშირად ხვდებით (უდაბნო, ზემო კრიხი), მაგრამ ამ ნიმუშებსა და გვიანშუასაუკუნეთა პორტრეტებს შორის მკვეთრი განსხვავებაა.

XIV საუკუნემდე ფიგურები გამოსახულნი არიან მუდამ სამი შეიხებით, ისინი თითქოს ვედრებით მიიმართებიან საკუთარ თავსკენ. გვიანშუასაუკუნეებში კტიტორები, თითქმის გამონაკლისის გარეშე, წარმოდგენილი არიან ფრონტალურად, უფრო გარინდებულ კომპოზიციებში. სცენათა სტატიკურობას განაპირობებს ფრონტალურობა, რომლის პირობითობა ხაზგასმულია ფიგურის მდგომარეობასთან კონტრასტული, გვერდზე გაწეული ხელების მიმართულებით და სხვადასხვა მხარეს მიმართული ტერაზები.<sup>11</sup>

ფიგურათა სტატიკურობას განაპირობებს პრიმიტივი მხატვრის შესრულების მანერაც. ბაგრატის ფიგურა გარემომხატულია ძალიან ზოგადი, შავი კონტრით, რომელიც მარტე სილუეტს იძლევა. ფორმები უზნაია, კუთხოვანი, ზედმიწევნით გოლდასმით დახატული. ქსოვილის ორნამენტი შესრულებულია სხეულის მოკულობის გათვალისწინებით გარეშე, რაც აბრტყელებს გამოსახულებას. გერასიმე ჩხეტიძის ფიგურაც მარტევი, დაუნაწევრებელი კონტურით არის გარემომხატული, ხოლო ჯერებით მოფენილი ქსოვილი აბრტყელებს მას.

დიდი ზომითა და ზოგადი სილუეტით ეს ფიგურები მთლიანად გარკვეული მონუმენტურობის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ხაზგასმული დეკორატიულობით, კომპოზიციის დაქუცმაცებით ეს შთაბეჭდილება ნელდება.

კომპოზიციაში შეინიშნება მხატვრის მისწრაფება მთლიანად დაფაროს სცენისათვის განკუთვნილი სიბრტყე. ყველა სცენაში მთავარი ფიგურა იჭერს მის მთელ სიმაღლეს (ზედა რეგისტრშიც იჭრება), ზედა კუთხეებში დარჩენილი ადგილები შევსებულია ლევაებრივ მფარველ ძალით, მკირე ზომის გამოსახულებებით, ეკლესიის მოდელებით. ფიგურათა, შორის ჩაწერილია განსხვავებული წარწერები, ხოლო ფონი გამოსახულების წელს ქვემოთ დაფარულია ორნამენტით, რაც ხალხის ფონზე ფიგურათა მოთავსების შთაბეჭდილებას ახდენდა (ფეოდალთა პორ-

ტრეტებში). გერასიმე ჩხეტიძის გამოსახულების შემომსახლეველი თაღის შიგნით მოთავსებული თვითრი შესრულებული გრძელი ასომთავრული წარწერა მთლიანად ფარავდა ლურჯ ფონს და შორიდან ორნამენტის შთაბეჭდილებას ახდენდა. მორთულობის სიღრმეს განაპირობებს სხვადასხვა ორნამენტული სახეებით დაფარული ტანსაცმლის ქსოვილები, ძვირფასი თევლები, საყურეები.

